# საერთო გაზეთი

№19 (331) • 27 მაისი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი





ჯერჯერობით უცნობია, რა მოხდა 20 მაისის ღამეს და დავრდომილ-დაჩაჩანაკებული ლარი ერთბაშად რვა პუნქტით რამ გაამყარა?

ცხრამეტში, სამშაბათს, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 2.34 იყო, ოთხშაბათი გათენდა და, ჰოი, საოცრებავ — კურსი 2.26 გახდა.

მართლაცდა, ძალიან საინტერესოა, რა უნდა მომხდარიყო ამ ერთი ღამის განმავლობაში და რით შეიძლება აიხსნას ლარის ასეთი უეცარი გამოჯანმრთელება?

ოთხშაბათს საქართველოს სავალუტო ფონდის წარმომადგენლები ესტუმრნენ, რომლებიც ლარის სამკურნალოდ სპეციალურად არიან მოწვეულები საქართველოს ხელისუფლებისგან.

ჩამოვიდნენ ეს ჩვენი პატივცემული სტუმრები და აქამდე სულთმობრძავი და სასიკვდილოდ გადადებული ლარი უცებ მოკეთებუული და მოფერხორციანებული არ დახვდათ?

რა მოხდა, ლარმა სსფ-ის ხათრით და რიდით გამოიხედა თვალში, რომ საწოლიდან წამომდგარიყო და საყვარელ სტუმარს ფეხზე დამდგარი დახვედროდა?

როგორც ჩანს, შამანები არიან ეს სსფ-ის წარმომადგენლები, დაუძახებენ მთავარ შამანს, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს, სუმა ჩაკრაბარტის, მის მოწაფეებს — ქადაგიძეს, ხაზარაძეს, გილაურს, შემოუსხდებიან კოცონს და იწყებენ შელოცვას.

შელოცვა ორნაირია — ერთი დასასუსტებელი, მეორე — გასამყარებელი.

— დიახ, ნამდვილად ასეა! შელოცვით და სხვა შამანურ-ჯადოქრული მეთოდებით ახერხებენ ამას, თორემ ლარის ასეთი დასუსტება-გამყარების ახსნა ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორებით შეუძლებელია! — ამტკიცებენ ექსპერტები.

ოთხშაბათს, ეტყობა, გასამყარებელი ლოცვა შეულოცეს ამ უბედურ დღეს გაჩენილ ლარს შამანებმა და ისიც გამყარდა, თუმცა რად გინდა — გაივლის მცირე ხანი და ისევ დასასუსტებლისას შეულოცავენ და ისიც ჩამოჭკნება და ჩამოიღვენთება.

აი, ასეთი შელოცვების წყალობით აკეთებენ ეს ავაზაკი შამანები მილიონებს და მილიარდებს, ხოლო მათ მიერ გაძარცვულ-გალატაკებული საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო ღატაკდება და ღატაკდება.

როგორც ჩანს, ეს შამანები მანამდე არ მოისვენებენ, სანამ ქართული პროლეტარიატის რვაასათასიანი არმია ქვასა და ჯოხს არ წამოავლებს ხელს და ამ შარაგზის ყაჩაღებს ძვალ-რბილს არ გაუერთიანებს.

ერთი ხალხოსანი პოეტი ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ლარს კრუნჩხვები დაეწყო, წერდა:

„ლარი დავარდა, დავარდა,
საქმე წავიდა შავადა,
ნუ გეშინიათ, დავარდნას
ყოველთვის მოსდევს ავარდნა“.

როგორც ვთქვით, შელოცვის გამო ხდება ასე — შეულოცავენ — დავარდება, შეულოცავენ — ავარდება, ჩვენ კი ვზივართ და პირდაღებულნი შევყურებთ ამ ჯადოქრობას.

---

ქართველი კაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უკადრებელს აკადრებს, ან დიდი უნამუსოა, ან დაქირავებული პროვოკატორი

---

აზრი არ შემიცვლია, კვლავ მივიჩნევ, რომ საქმე გვაქვს გამიზნულ ეკონომიკურ დივერსიასთან

---

საუკუნეებით დაუბანელმა ევროპამ საქართველოს როგორ უნდა მიუთითოს, რა არის სწორი და რა არის არასწორი?

---

შეხედოს სომხეთმა, როგორი ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანელებს და ქართველებს და მიხვდებიან, როგორ უნდა მეგობრობა და მეზობლობა

---

გენმოდიფიცირებული პროდუქტი ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს უქმნის

---

ვინ არის კაცი, რომლის ტვინშიც 200 000 კალენდარია თავმოყრილი?

---

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:



„საქართველოს დამოუკიდებლობა ეს ნიშნავს ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს არის დასაწყისი ქართული სახელმწიფოებრიობის. ეს ნიშნავს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას, ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვას და სახელმწიფოს, როგორც ერთიანი ოჯახის, გაძლიერებასა და გამტკიცებას. დამოუკიდებლობის დღე არის, ამავე დროს, ჩვენი სახელმწიფოებრიობის დღე. როცა ყველა ერთად უნდა ვაცნობიერებდეთ იმ საერთო სიკეთეს, რაც სამართლებრივ სახელმწიფოს მოაქვს. ამ იდეას მრავალი თაობა შეეწირა. მრავალი მათგანის ოცნებად დარჩა მისი ხილვა, ხოლო დღეს ჩვენ გვაქვს პატივი, რომ ვიცხოვროთ დამოუკიდებელ, ქართულ სახელმწიფოში. სწორედ ეს არის პასუხისმგებლობა იმ თაობების წინაშე, ვინც ეს იდეა განახორციელა. ვინც ჩვენ ქართული სახელმწიფო დაგვიტოვა. ეს არის პასუხისმგებლობა ამავდროულად, ჩვენი მომავალი თაობის წინაშე, ვისაც უნდა დავუტოვოთ ერთიანი, ძლიერი და სამართლიანი სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე“.










„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ქართველი კაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უკადრებელს აკადრებს, ან დიდი უნამუსოა, ან დაქირავებული პროვოკატორი

ვახტანგ ხარჩილავა

ინგა გრიგოლიას გადაცემაში „რეაქცია“ ქალბატონი გურანდა გაბუნია ადგა და გადაცემა დატოვა: მე ვერ დავუშვებ, ჩემი თანდასწრებით აქ ბიძინა ივანიშვილი ლანძღონო.

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორიაში საკმაოდ მრავლად იყვნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, მაინც ვერავინ ვერ მიხვდა, ქალბატონ გურანდასთან ერთად მათაც დაეტოვებინათ ეს სადომაზოხისტური მიდრეკილებების თოქშოუ და ინგა გრიგოლია, „ნაცმოძრაობა“ და მისი ფანები პირში ჩალაგამოვლებულები დაეტოვებინათ.

ნამდვილად არ ვარ ადამიანთა გაკერპების და გაფეტიშების მომხრე.

ნებისმიერი ადამიანის მისამართით შეიძლება კრიტიკული მოსაზრება გამოითქვას, მაგრამ ერთია კრიტიკა და სულ სხვაა უხამსობა, უდიერობა, უზრდელობა.

ქართველი კაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უკადრებელს აკადრებს, ან დიდი უნამუსოა, ან დაქირავებული პროვოკატორი.

სამწუხაროდ, ერთიც და მეორე კატეგორიაც საკმაოდ მრავლად ჰყავს ჩვენს საზოგადოებას და მათი აქტიური და თავხედური ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ჩანან წინა პლანზე და მათი ხმაც ხშირად ფარავს ხოლმე წესიერი და გაწონასწორებული ადამიანების ხმას, ხოლო როცა საქმეში საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით ელექტრონული მედია ჩაერთვება და ამა თუ იმ პიროვნების გასალანძღად უნამუსოების და პროვოკატორების მობილიზებას ახდენს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ეს გასალანძღად წინასწარ შერჩეული პიროვნება ანგრევს ქვეყანას და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის მთელი მოსახლეობა მის წინააღმდეგ უარყოფითად და აგრესიულად არის განწყობილი.

ამგვარი მოდელირებულ-ვირტუალური სურათის დახატვა ელექტრონული მედიით ადვილია, თუ გადაცემის ავტორი სინდისთან მწყრალად არის და ამასთან ერთად მის უსინდისობას შემკვეთი და დამფინანსებელიც ჰყავს.

* * *

ისტორიის ბედუკუღმართობის გამო ქართველი მეფეები ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ, ჩალმა დაეხურათ თავზე, რომ ქართული საქმეების კეთება შეძლებოდათ.

საბჭოთა პერიოდშიც ბევრ ქართველს ეხურა თავზე წითელი ვარსკვლავით დამშვენებული „ჩალმა“, მაგრამ შიგნით, გულის სიღრმეში ქართველობა არ დაუკარგავთ და თავისი სამშობლოსთვის არ უღალატიათ.

დღესაც იგივე სიტუაციაა საქართველოში...

**მართალია, წითელვარსკვლავიანი ჩალმის დახურვას არავინ გვაიძულებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა ჩალმას გვაზომებენ თავზე.**

დროა ისეთი, რომ ყველაფერს ვერ იტყვი და ვერ გაშიფრავ, რადგან ამით შეიძლება საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენო.

ამიტომაც უნდა ისწავლოს ქართულმა საზოგადოებამ ქვეტექსტის ამოკითხვა და სიტყვებიდან დაშიფრული შინაარსის გამოტანა.

თუ რაღაც ისე ვერ კეთდება, როგორც ჩვენ გვინდა, იმწამსვე საქართველოს ხელისუფლებისაკენ ან ბიძინა ივანიშვილისკენ კი ნუ გავიშვერთ თითს, ცოტა სხვა მიმართულებითაც გავიხედოთ.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლამდეც, პოლიტიკაში მოსვლის და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც, ქართულ საქმეს აკეთებდა და აკეთებდა არა სპონტანურად, არა იმპულსურად, არამედ კარგად გააზრებული და აწონილ-დაწონილი გეგმის მიხედვით.

პერსპექტივაზე გათვლილი ამ გეგმის მასშტაბები, რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი და ნათელი ხდება.

ეს საქართველოს გადარჩენის გეგმაა და, დარწმუნებული ვარ, ის აუცილებლად განხორციელდება ბოლომდე, თუ ჩვენ, ქართველები, არ შევუშლით ხელს ჩვენი სულსწრაფობით და სულმოკლეობით...

* * *

ერთი უცნაური ზნე გვჭირს ქართველებს — თანამემამულეების კილვა და ძაგება გვიყვარს.

რაც უფრო დიდია ეს თანამემამულე, მით უფრო დიდი ხალისით და ენთუზიაზმით ვაკეთებთ ამას.

მიზეზი ამისა, ალბათ, ისიც არის, რომ იმ ერთმა დიდმა კაცმა გვინდა ყველაფერი გაგვიკეთოს, მან იცხოვროს ჩვენს ნაცვლად, მან იშრომოს, მან აგვისრულოს ყველა ოცნება და როცა ის ერთი კაცი ამას ვერ ახერხებს, რადგან ერთია და მილიონების გასაკეთებელს, ცხადია, ვერ მოერევა, ვბრაზდებით და ვებუტებით, იმას კი ვერ ვაცნობიერებთ, რომ არ შეიძლება ერთ კაცს წამოვკიდოთ ტვირთად მთელი ქვეყნის უილაჯობა, უიმედობა, სასოწარკვეთა, სიღატაკე, ჩვენ კი ველოდოთ, როდის მოგვერთმევა ხონჩით ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება.

* * *

ბოლო ხანებში ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: — რა გაგვიკეთა ბიძინა ივანიშვილმა? აბა, ერთი თქვით, რა გაგვიკეთა? ამ რიტორიკულ ტონალობაში დასმულ კითხვას კი პასუხსაც თვითონ მოაყოლებენ ხოლმე: რა გაგვიკეთა და არაფერი!

ამის მთქმელი ერთი და ორი რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ როცა მსგავსი სისულელე ბევრისგან გესმის და ბევრჯერ გესმის, არ შეიძლება ამას წაუყრუო.

ბიძინა ივანიშვილს იმდენი სიკეთე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული, ერთ კაცს კი არა ათი ათას კაცს ეყოფა თავის მოსაწონებლად და სამშობლოს წინაშე ვალის პირნათლად მოსახდელად.

ის, რაც ახლა ვთქვი, იმდენად ცნობილია ყველასთვის, იმდენად უდავოა, რომ ამის ათასმეერთედ თქმა თითქოს არც არის საჭირო.

**რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმადურობით გაჯერებული დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია?**

**საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს.**

აი, ეს ეგოიზმი, ეს სახიფათო ფაქტი საკუთარი თავის სამშობლოსგან განცალკევებულად წარმოჩენისა, ეს გაუცნობიერებელი სეპარატიზმი, პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის თვითონ პიროვნების მიერ გავლებული მავთულხლართი, არის მიზეზთა მიზეზი ზემოთნახსენები იმ ფრაზის დაბადებისა.

ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთე აუცილებლად გადანაწილდება მის თითოეულ მოქალაქეზე, ანუ აუცილებლად მოვა შენამდეც, ისე როგორც მზის სინათლე და სითბო, რომელიც ყველასია, მაგრამ იმავე დროს თითოეული ჩვენგანისაცაა.

ვისაც ამის გაგება და გაცნობიერება უჭირს, მას სწორად არ აქვს გაგებული თავისი როლი და ფუნქცია იმ ქვეყნის წინაშე, რომლის მოქალაქედაც თავის თავს თვლის.

**სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბიძინა ივანიშვილს, როგორ შეიძლება მას დავუკარგოთ, თუნდაც ის, რომ მან ქართველ ხალხთან ერთად, უსისხლოდ, მსხვერპლის გარეშე, შეუძლებელი შეძლო და „ნაცმოძრაობა“ დაამარცხა.**

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, საქართველოში შეიძლებოდა ახალი სამოქალაქო ომი გაჩაღებულიყო, რაც ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ შეიწირავდა.



# ირაკლი სესიაშვილი:

# საზოგადოება ქვეყანაში დემოკრატიის აშენებას დიქტატორული მეთოდებით ითხოვს, რაც შეცდომაა...



**„საერთო გაზეთი“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ირაკლი, ევროკავშირის რიგის სამიტი, რომელზეც გამუდმებით საუბრობდით, დეკლარაციის მიღებით დასრულდა. როგორია თქვენი შეფასება. სამიტიდან, სადაც ელოდით, რომ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა და სრულიად მოულოდნელად უარი მივიღეთ, დადებითი რა მიიღო საქართველომ?**

— ყველაზე კარგი შეფასება არის შედეგი და შედეგებით ვიმსჯელებთ. პირველი, ჩვენ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, შესაბამისად, მოგეხსენებათ, რეალურად გვაქვს ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე სავაჭრო ურთიერთობა ევროკავშირთან, რაც არის ძალიან კარგი ჩვენი ბიზნესსექტორის განვითარებისთვის და ჩვენი ექსპორტის გაფართოებისთვის. ჩვენ ასოცირების შეთანხმების შემდეგ და რიგის სამიტის შემდეგ მნიშვნელოვან მხარდაჭერას მივიღებთ ფინანსურს, რომელიც მოხმარდება სხვადასხვა დარგების განვითარებას, მათ შორის სოფლის მეურნეობას. ჩვენ შევთანხმდით, რომ წლის ბოლოს უკვე გვექნება, ფაქტობრივად, შეფასება და დარწმუნებული ვარ 100 %, რომ ჩვენ გვექნება ძალიან დადებითი, პოზიტიური შეფასება და 2016 წელს უვიზო რეჟიმს მივიღებთ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მოსახლეობას ავუხსნა რას ნიშნავს ეს. ზოგადად ევროკავშირის წევრობა მოიცავს შემდეგს: პირველი, თავისუფალ გადაადგილებას, მეორე, ვაჭრობას ყოველგვარი დაბეგვრისა და გადასახადების გარეშე და მესამე, საერთო პოლიტიკის გატარებას. ჩვენ, ფაქტობრივად, 2016 წლისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსად ყველა სიკეთით ვისარგებლებთ, გარდა იმისა, რომ ჩვენ ევროპარლამენტში არ ვიქნებით არჩეულები. ფაქტობრივად, მოვექცევით ევროკავშირის იმ რეგულაციებში, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებს ერთმანეთთან გააჩნიათ.

**— თუმცა გია ხუხაშვილის თქმით, ჩვენ მხოლოდ უვიზო მიმოსვლა გვექნება, სხვა სიკეთეებით ვერ ვისარგებლებთ...**

— ახლა, გია ხუხაშვილი სიკეთეს თუ არ ეძახის იმას, რომ ჩვენი პროდუქცია ყოველგვარი ლიმიტების გარეშე თავისუფლად გაიყიდება ევროკავშირში, თუკი ჩვენ მათ სტანდარტებს დავაკმაყოფილებთ, მაშინ არ ვიცი, რა ვთქვა. აი, ეს თუ არაფერია, არ ვიცი, რა გითხრათ. ეს ერთი, მეორე, გია ხუხაშვილი თუ თვლის, რომ ჩვენ ისეთი მიმოსვლა გვინდა, რომ შრომის უფლება მოვიპოვოთ ევროკავშირის ტერიტორიაზე, ვფიქრობ, ეს ჩვენ არ უნდა გვსურდეს. იცით, ეს შეიძლება ვიღაცისთვის მიმზიდველი იყოს, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ეს ძალიან ცუდი იქნება. ცუდი იქნება იმ კუთხით, რომ თუ ჩვენს მოსახლეობას, ფაქტობრივად, მივცემთ ისეთ რეჟიმს, რომ მეტწილად წავიდეს საზღვარგარეთ სამუშაოდ, მაშინ ჩვენ, ფაქტობრივად, მუშახელის გარეშე დავრჩებით და არ მგონია, ეს კარგი იყოს. დიახ, დავრჩებით იმ ადამიანების გარეშე, რომლებმაც ქვეყანა უნდა ააშენონ და შექმნან. მეტსაც გეტყვით, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ტრაგედია დღესდღეობით არის დემოგრაფიული პრობლემები. და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ დემოგრაფიაზე, ამ მიმართულებით ფული უნდა დავხარჯოთ, მშობიარობა უფასო იყოს, 2-3 ბავშვზე დახმარებები გავწიოთ და გაიზარდონ ეს ჩვენი შვილები და უცხო ქვეყანაში წავიდნენ სამუშაოდ, თანაც ძირითადად მომსახურების სფეროში? არ მგონია, ეს მიმზიდველი იყოს. მე ვთვლი, რომ ჩვენ ეს პერიოდი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში საკმარისი სამუშაო ადგილები, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა ჩვენთან იმუშაონ, პროდუქტი ჩვენთან შექმნან და სარგებელი მიიღოს ქვეყანამ და მოსახლეობამ.

**— სამუშაო ადგილები ახსენეთ, რატომ არ იქმნება, რა გიშლით ხელს? სად არის დაპირებული 100-ზე მეტი ქარხანა, რაიმე რეალურად კეთდება ამ მიმართულებით?**

— მე შემიძლია გითხრათ, რომ 100-ზე მეტი ქარხანა აშენდა, ხაზს ვუსვამ სრულებით ახალი და დაახლოებით 600-დე ქარხანას რეაბილიტაცია ჩაუტარდა, გადაიარაღდა და განვითარდა სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში. მართალია, შუქდება ეს ყველაფერი, მაგრამ ტელევიზიები, ჩემი აზრით, სამწუხაროდ, ახალ დემოკრატიულ რეალობას ვერ მოერგნენ. მედიამ მიიღო თავისუფლება, რითაც ვამაყობ, მაგრამ ცდილობს გაყიდოს საკუთარი ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის მიხედვით, ეს ერთი. მეორე, მედიაში არის პოლიტიკური ინტერესები. ახლა, მოგეხსენებათ, რომ „რუსთავი-2“-ს „რუსთავი-2“ არ უნდა ერქვას, მას „ნაციონალური მოძრაობა“-2 უნდა ერქვას. „რუსთავი-2“ შავ პიარზე მუშაობს, რომლისთვისაც მთავარი არის მკვლელობები და ის, თუ სად რა ფუჭდება. დიახ, სად რა სტიქია მოხდა და ა.შ, აი, ეს არის მისთვის მთავარი, რადგან ამით გარკვეულ სიამოვნებას იღებს „ნაციონალური მოძრაობა“. აი, ეს რეალობაა და ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ ამ რეალობას. „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰგონია, რომ ქვეყნის გამარჯვება მათ განადგურებას ნიშნავს. სხვათა შორის, ამას არიან აყოლილნი და კონკურენციაში შედიან მათთან სხვადასხვა მედია-საშუალებები, მათ შორის საზოგადოებრივ მაუწყებელი. მაგალითად, მინდია ჯანელიძე, როდესაც იყო საკომიტეტო მოსმენაზე, სადაც მან საათნახევარი ისაუბრა მიღწევებზე, რეფორმებზე და გეგმებზე, აი, ამ საათნახევრიდან არც ერთმა ტელეკომპანიამ ერთი წუთიც კი არ გაუშვა იქედან, მაგრამ გაუშვა ირმა ნადირაშვილის კითხვა, რომელიც ჟღერდა ასე - ბატონო მინდია, იყავით თუ არა ბიძინა



ივანიშვილის შუამავალი პუტინთან?! აი, ასეთი იდიოტური კითხვები გაუშვა მედიამ. ასე რომ, თუ ვინმე ჩვენს პიარს რამეს აბრალებს, აცხადებს არ აქვთ კარგი პიარიო, ცდება. ეს ყველაფერი პიარის არქონის ბრალი კი არ არის, ეს მედიის თავისუფლების შედეგია. **ჩვენი ხელისუფლება გაცილებით დემოკრატიულია, ვიდრე საზოგადოება ამას ითხოვს. საზოგადოება ითხოვს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიას დიქტატორული მეთოდებით, აი, ეს არის რეალობა.** საზოგადოებას უნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ მაღალჩინოსნებს თავები დავაყრევინოთ, ზოგი პირდაპირ ციხეში ჩავსვათ, თუმცა ამასთანავე გვთხოვს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იყოს, პოლიტიკური დევნა არ არსებობდეს და მედია თავისუფალი იყოს. აი, ასეთი მიდგომებია, და რა გავაკეთოთ, მითხარით? სამწუხაროდ, ამ ვითარებაში რადიკალები ქულებს იწერენ და ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ამბობენ, იცით, ეს ხელისუფლება უნიათოა, იმიტომ რომ, დიქტატორულ მეთოდებს არ იყენებსო.

**— შედეგად „ქართული ოცნების“ რეიტინგმა საგრძნობლად იკლო, ქართველი ამომრჩეველი დიდად აღარ გწყალობთ...**

— მინდა საზოგადოებამ ის დაინახოს, რომ ჩვენ, ჩვენი ხელისუფლება საკუთარ პოლიტიკურ მომავალს რისკავს იმის სანაცვლოდ, რომ ქვეყანაში დემოკრატია იყოს, ადამიანს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების არ ეშინოდეს, სასამართლოსი არ ეშინოდეს და იმის არ ეშინოდეს, რომ ბიზნესმენს დაადგება ვიღაც და ეტყვის, აბა, დროზე ან ფული მოიტანე ან წილი გადმოაფორმეო. აი, ამას დანახვა უნდა.

**— სხვათა შორის, ლალი მოროშკინა ირწმუნება, რომ პოლიციელები (ნაციონალების დროინდელი კადრები), მოქალაქეებისთვის ნარკოტიკისა და იარაღის ჩადებას არ ერიდებიან. ორიოდე დღის წინ აქციაც გაიმართა სახელწოდებით: - „არა ჩადებას“...**

— ეს ასე ნამდვილად არ არის. თქვენ იცით, რომ რამდენიმე ასეთი შემთხვევა თავად გამოვკვლინეთ და პასუხისგებაში მივეცით პოლიციელები. მე შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე ასეული პოლიციელი არის ამის გულისთვის პასუხისგებაში მიცემული. მათ შორის, რამდენიმე ფაქტი არის სწორედ ნარკოტიკის ჩადებასთან დაკავშირებით.

**— ისინიც ნაციონალების დროინდელი კადრები იყვნენ? არ თვლით, რომ შსს-ში დიდი წმენდა უნდა დაიწყოს?**

— მოდით, მე არ დავიწყებ დახარისხებას. მთავარი არის, რა პოლიტიკური ნება არსებობს, და მე მგონი, ყველა დამერწმუნება, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური ნება, პირველ რიგში ემყარება, ადამიანს და მის უფლებებს და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას. თქვენ ვერ მეტყვით, რომ ამ ხელისუფლებას აქვს ზრახვა იმისა, რომ ძალადობით ძალაუფლება შეინარჩუნოს ან ძალადობის იდეოლოგიით გარკვეული რეჟიმი დაამყაროს ქვეყანაში, რასაც წინა ხელისუფლება შვრებოდა. თუ ისეთ გამოვლინებას ჰქონდა ადგილი, რომ ვიღაცამ მოქალაქეს ნარკოტიკი ჩაუდო, ეს არის ცალკეული პოლიციელების უკანონო ქმედება და ამაზე ხელისუფლებასა და შესაბამის სტრუქტურებს ექნება უმკაცრესი რეაგირება. ასე რომ, გავმიჯნოთ ინდივიდუალური დანაშაული სახელმწიფო პოლიტიკისგან. ჩვენ რომ ნარკოტიკის ჩადებით რაიმე მიზნის მიღწევის სურვილი გვქონდეს, მაშინ ბიზნესმენებსაც დავატერორებდით, სასამართლოსაც და ა.შ. ასე რომ, პრობლემები არის და ამ პრობლემებს ჩვენ სალი თვალებით ვუყურებთ. დიახ, არავის ეგონოს, რომ ირაკლი სესიაშვილი დაბრმავებულია, კაბინეტში ზის და ვერაფერს ხედავს. არა ბატონო, ახლაც გარეთ ვარ, არც მანქანა მყავს, არც მძღოლი მელოდება, არც დაცვა მყავს და არავინ არ მყავს, აგერ, ღია კაფეში გარეთ ვზივარ.

**— არადა, სოციალურ ქსელებში აცხადებენ, სწორედაც რომ დაბრმავებულია, ჰგონია, უკვე ნატოში ვართო ...**

— დიახ, მესმის. სამწუხაროდ, სოციალური ქსელი გადაიქცა ირონიის პოლიტიკის გატარების ადგილად. ირონიის პარლამენტი თუ არსებობს, ეს არის დღესდღეობით სოციალური ქსელი - ფეისბუკი. ვინ უფრო მწარედ უკბენს მეორეს, ეს არის მოდაში, სამწუხაროდ. და ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი (რა თქმა უნდა, ყველაზე ვერ ვიტყვი, ამის უფლება არ მაქვს) რადიკალიზმშია გადავარდნილი. მე მგონი, ზოგ-ზოგიერთებს დღეს მეხსიერებაში გარღვევა აქვს, არ ახსოვთ სად ვიყავით, რა პირობებში და სად ვართ დღეს. და წარმოსადგენი იყო თუ არა, რომ შეიძლება მოსულიყო ხელისუფლება, რომელსაც შეეძლო შეეცვალა დიქტატორული რეჟიმი. მე, ხანდახან ჩემს ოპონენტებს ვეუბნები ხოლმე, რომ ბიძინა ივანიშვილის სურათი ჩამოიკიდეთ კედელზე ოთახში-მეთქი, რადგან მხოლოდ ამ კაცს შეეძლო უმტკივნეულოდ ქვეყნის განვითარება.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

**გვესაუბრება „ქართული ოცნების" დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი დავით ფაცაცია:**

**— ბატონო დავით, 2012 წლის არჩევნების შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ქვეყანაში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, თუნდაც ჯანდაცვის სფეროში, მაგრამ მოსახლეობა უკმაყოფილოა, თუნდაც იმ გარემოებით, რომ „ნაცმოძრაობის" წევრები კვლავ იკავებენ საკვანძო თანამდებობებს.**

— საუბარს თქვენი გაზეთის მიმართ სამადლობელო სიტყვებით დავიწყებ, რადგან „ნაცმოძრაობის" რეჟიმს არ ეპუებოდით, აქტიურად იბრძოდით და ახლაც აგრძელებთ სიმართლის თქმას. დავიწყოთ იმით, რომ დღეს საქართველოში თავისუფლებაა, როგორც მედიაში, აგრეთვე სხვა ნებისმიერ სფეროში, რაც აღიარებულია კიდეც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი, რაც გვაქვს არჩევნების შემდეგ, სწორედ დღევანდელი ვითარება გახლავთ. ნუ დაგვავიწყდება ის სოციალური პროგრამები და პაკეტები, რაც განხორციელდა ქვეყანაში და თქვენც ნაწილობრივ აღნიშნეთ. ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული პროგრამები მსოფლიოს ბევრ წამყვან ქვეყანასაც შეშურდება. იგივე „C ჰეპატიტის" პროგრამა ავიღოთ. ჩვენ ამერიკულ პრეპარატებს ვიღებთ. ამ დაავადების ამერიკაში მკურნალობა რამდენიმე ათეულ ათას დოლარს აღწევს. საქართველოში კი უფასოა. ყოველივე ეს მოხერხდა სახელისუფლებო ინტერესების პირობებში.

პირადად ჩემთვის ყველაზე მტკივნეული დევნილთა საკითხია. გახსოვთ, წინა წლებში დევნილებისთვის უაღრესად მძიმე პირობები იყო შექმნილი. მაშინ, როდესაც საქართველოში ოთხ მილიარდ დოლარზე მეტი იყო შემოსული სწორედ დევნილებისთვის. ამ თანხის ნახევარიც საკმარისი იყო მათთვის ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. დღევანდელი ხელისუფლების პირობებში შენდება უამრავი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც დევნილთათვის არის განკუთვნილი. აგერ, თუნდაც ავიღოთ თბილისის ზღვაზე აშენებული კორპუსები, სადაც შემოდგომაზე შესახლდებიან ჩვენი დევნილები. ეს, ვიმეორებ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ხელისუფლების მიერ გადადგმული.

თქვენ სოფლის მეურნეობაც ახსენეთ. ბოლო წლებში ნახეთ, არნახული რაოდენობის მიწები მოიხნა. ეს ნიშნავს, რომ სოფელში მცხოვრებს შეიძლება ფული უჭირდეს, მაგრამ სარჩო გაუჩნდეს.

**— თუმცა, როგორც დასაწყისში გკითხეთ, ხალხი მაინც უკმაყოფილოა. რატომ თუ იცით?**

— აქ რამდენიმე მიზეზის დასახელება შეიძლება. გახსოვთ, მთელი ცხრა წელი ჩვენ საზოგადოებას ილუზიებში ამყოფებდნენ. სხვადასხვა ტელეარხებით თუ გადმოცემებით ხალხს, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის, მაგრამ გვატყუებდნენ, ყველაფერი კარგად არისო. დღევანდელი ხელისუფლება კი რეკლამებისგან თავს იკავებს, ამ საკითხზე გვიკამათია კიდეც. ბიძინა ივანიშვილის ღვაწლზე ლაპარაკი, ალბათ, შორს წაგვიყვანს. ის მუდამ ამბობდა, რომ აჯობებს ხალხმა თავად იგრძნოს ის სიკეთე, რასაც ხელისუფლება გააკეთებსო. ალბათ, მართალიც არის. ამიტომ ყალბ პიარს მიჩვეული საზოგადოება, ალბათ, ითხოვს გაიგოს, რას აკეთებს ხელისუფლება. სამწუხაროდ, ხშირად არაფერს ვამბობთ გაკეთებულ საქმეებზე. ყველაფერთან ერთად ზოგიერთი ტელევიზიის გადაცემები ყოველგვარ ზღვარს გადადიან. ამაზე საზოგადოებამ უნდა გასცეს პასუხი, როგორი მოსასმენია, როდესაც დამნაშავე ხელისუფლების წარმომადგენელი გამოდის და ჭკუას გვასწავლის. როდემდე უნდა ვისმინოთ მათი დემაგოგია, ხომ უნდა დამთავრდეს ოდესმე. ძალადობით მოქმედება. ადვილია, რასაც სააკაშვილი აკეთებდა — უსამართლო დაჭერები, ქონების წართმევები... საზოგადოება უკმაყოფილო იქნება, ვიდრე არ შეწყდება დასაქმების პრობლემა.

**— დღევანდელი ხელისუფლების ხელფასებზე და პრემიებზე ბევრს საუბრობენ...**

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე არჩევნების შემდეგ ხელფასი არ მიმიღია. როგორც ყველას, მეც მაქვს ყოფითი პრობლემები, მაგრამ ვერავინ იტყვის დათომ რაღაც უკანონობა ჩაიდინაო. ჩემი მორალური პრინციპები მაქვს. ხალხის გასაჭირს ვერ გაიგებ თუ მათ ტყავში არ იქნები ადამიანი.

**— მოდით, დავუბრუნდეთ კონკრეტულ თემებს, მოსახლეობა გამუდმებით საუბრობს, რომ რა გახდა ამ ველოსიპედის აღება და აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნებაო.**

— მე რომ ვიყო ამ გადაწყვეტილებების მიმღები, ველოსიპედს ავიღებდი, თუმცა ხარჯებთან არის დაკავშირებული. უფრო რთული რიყეზე დადგმული გაურკვეველი მილების თუ ზარბაზნების დემონტაჟია. აშენებაზე ძვირი მათი დანგრევა დაგვიჯდება. იგივე შუშის ხიდი, რომლის იქ დადგმასაც ვაპროტესტებდით, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. ვთვლი, რომ იმ უსახური ნაგებობების დადგმა ქვეყნის წინაშე დანაშაული იყო, რადგან უამრავი ფული წყალში გადაიყარა და როგორც გითხარით, უფრო ძვირი მათი დემონტაჟი დაგვიჯდება. ქვეყანაში და თბილისშიც უამრავი საქმეა გამოსასწორებელი. ამიტომ საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს.

**— თბილისში ტრანსპორტი პრობლემა გახდა. თუ იცით, გამოსწორდება ვითარება თუ იგივე დარჩება?**

— როგორც დადასტურებულად ვიცი თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი სრულიად გადასხვაფერდება, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ. შემოვა ახალი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა იქნებიან. ვიცი ისიც, რომ თბილისში ერთ წელში საცობების პრობლემაც გადაიჭრება. ამასთან, ქვეყანაში შემოვა მაღალი ხარისხის ბენზინი, რაც ეკოლოგიას ნაკლებად დააბინძურებს.

**— დათო, თქვენ ხშირად ახსენებთ სამუშაო ადგილებს. თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენი საწარმო გაიხსნება თუნდაც წლის ბოლომდე?**

— შემიძლია დადასტურებით გითხრათ, რომ რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი საწარმო გაიხსნება თუ უფრო მეტი არა. რაც გვაქვს, მინიმალურია. გახსოვთ, საბჭოთა დროს საქართველო ჩაის წარმოებაში მსოფლიოში მეხუთე ადგილზე იყო. იმ მასშტაბებზე ვერა, მაგრამ გარკვეულ დონეს მივაღწევთ. ამოქმედდება აგრეთვე ხილის გადასამუშავებელი, წვენების თუ სხვა სახის საწარმოები, ბევრი პროექტი განხორციელდება. **ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ — ქობულეთში გაიხსნება ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც ბერა ივანიშვილის ინიციატივით ხორციელდება.** ეს იქნება აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო და სამაგალითო. მერწმუნეთ, რომ მოკლე ხანში, ერთ-ორ წელში, ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ასევე გაიზრდება ქართული პროდუქციაა, მზა ნაწარმის გატანა უცხოეთში. მუშაობაში ჩვენს ხელისუფლებასაც აქვს ნაკლოვანებებიც, მაგრამ მიღწევებიც ბევრი აქვს.



# დავით ფაცაცია:

# ჩვენს ხელისუფლებას აქვს ნაკლოვანებები, მაგრამ სერიოზული მიღწევებიც ბევრი აქვს...



**გია ბურდული**
551 71 27 07

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# შეცდომა თავიდანვე იყო დაშვებული — არამარტო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, არამედ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველა უნდა გამოეცვალათ



ლია ელიავა:

გვესაუბრება საბანკო საქმეთა სპეციალისტი, პროფესორი **ლია ელიავა:**

**— დაახლოებით, ერთი კვირის წინ, ლარი მოულოდნელად გამყარდა. ექსპერტების ნაწილი, ამ მოვლენის შემდეგ ღიად ალაპარაკდა, რომ ქადაგიძემ კრიმინალი ჩაიდინა. რამ გაამყარა, რეალურად, ლარი — ეს იყო სავალუტო სპეკულაცია ანუ, ფულის სწრაფად შოვნის საუკეთესო საშუალება თუ საქმე გაცილებით რთულადაა?**

— მარტივად, რომ გიპასუხოთ, ლარის კურსი კომერციული ბანკების სურვილმა გაამყარა, თუმცა, მოდით, ამ საკითხს უფრო ჩავუღრმავდეთ. ლარის როგორც გაუფასურება ისე გამყარება, ეკონომიკურ პროცესებთან კავშირში არაა. თუ ევროპაში და ამერიკაში, სადაც საბანკო ზედამხედველობა საკმაოდ მკაცრია, კომერციულმა ბანკებმა გაბედეს და რამოდენიმე წლის განმავლობაში სავალუტო კურსით მანიპულირებას ახდენდნენ, გამორიცხული არაა საქართველოშიც ჰქონდა ამას ადგილი. ამ მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს. ამის დადასტურება რთულია, მაგრამ დიდი ალბათობით, კურსით მანიპულირება ჩვენთანაც ხდებოდა. დააკვირდით, მთავრობა უკვე ეროვნულ ბანკს ხელს აღარ აფარებს და მის დანაშაულზე მიუთითებს. ასეთ პოლიტიკურ ფონზე სავსებით შესაძლებელია, ეროვნულ და კომერციულ ბანკებს გადაეწყვიტათ — საკმარისია, ხალხის ბედით თამაში და მოდით, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ხელი შევუწყოთ, რათა პარლამენტში წლიური ანგარიში წარმატებით გაიტანოსო. ამას კიდევ ერთი გარემოება დაემატა, ესაა ვიცე-პრემიერის დაინტერესება კომერციული ბანკების განხორციელებული ტრანზაქციებით. ეს საკმაოდ საინტერესო საკითხია. მეტიც, ეროვნული ბანკი სისტემატიურად აცხადებდა, რომ ქვეყანაში სავალუტო შემოდინებები შემცირებულია და ამის გამო კომერციული ბანკები იძულებულნი არიან ვალუტის უფრო მაღალ ფასად ივაჭრონ, მაგრამ მას არასდროს უთქვამს, რამდენია ქვეყნიდან ვალუტის გადინება, რა თანხები გააქვთ კომერციულ ბანკებს არამარტო კლიენტის დავალებით, არამედ საკუთარი ინიციატივითაც. სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები კაპიტალის გადინების მაჩვენებელს ყოველთვის ითვლიან. დათვლა მარტივად ხდება, საგადასახდელო ბალანსის საფუძველზე სპეციალური ფორმულები არსებობს, რომელსაც ეროვნული ბანკი ადგენს. ასე, რომ მისთვის კაპიტალის გადინების დათვლა ყველაზე მარტივია. ამასთან, საგადასახდელო ბალანსიდან შეიძლება დაითვალოს არამარტო კაპიტალის გადინება, არამედ კაპიტალის გაქცევა. არის ასეთი ეკონომიკური ტერმინი — „კაპიტალის გაქცევა“ რომელიც ქვეყნიდან კაპიტალის პანიკურ გასვლას გულისხმობს. შესაბამისად, როდესაც მოვლენები ცალმხრივად შუქდება და იმის ობიექტურ სურათს ვერ ვხედავთ თუ რატომ და როგორ ხდება ლარით გაცვლითი კურისის ფორმირება, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვები, კითხვები, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელია.

**— პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენის შემდეგ ნათელი მოეფინა ამ საკითხს თუ ვინ არის დამნაშავე?**

— არა, ეს საკითხი საზოგადოებისთვის ცხადი რომ გახდეს, აუცილებელია, ეროვნული ბანკის საქმიანობაში დეტალური ჩახედვა. სწორედ ამიტომაცაა საჭირო პარლამენტის სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც დაადგენს თუ რა წილით, რა დოზით ვერ მიხედა ეროვნულმა ბანკმა ლარის ფორმირების საკითხს და რამდენადაა იგი დამნაშავე ქვეყანაში მიმდინარე მძიმე ეკონომიკურ პროცესებში.

**— თქვენ, ახლა, მნიშვნელოვან პრობლემას კაპიტალის გადინებას და მეტიც, გაქცევას შეეხეთ. როგორ დგინდება ჰქონდა თუ არა ადგილი კაპიტალის გაქცევას?**

— გარდა იმისა, რომ კაპიტალის ქვეყნიდან გასვლას საგადასახდელო ბალანსის მეშვეობით ითვლიან, ასევე, კომერციული ბანკების გადარიცხვების გაანალიზების შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს ტენდენცია — რომელი კლიენტების დავალებით ხდებოდა უცხოეთში თანხების გადარიცხვები; ამას ჰქონდა ეკონომიკური დანიშნულება თუ კაპიტალი ბიზნესწრეებს გაჰქონდათ; თავად, კომერციულ ბანკებს გაჰქონდათ თუ არა კაპიტალი ქვეყნიდან. მათ, ძალიან თავისუფლად შეუძლიათ, სხვადასხვა უცხოურ კომერციულ ბანკებში, თავიანთი თანხები მკვდრად დადონ და ფაქტობრივად, უცხოური ვალუტის საკმარისი ოდენობის გარეშე დარჩნენ. ამის გაკონტროლების ფიზიკური და იურიდიული უფლება ეროვნულ ბანკს გააჩნია. კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკს ყოველდღიურად აწვდიან თავინთ საფინანსო ინფორმაციას, საბალანსო უწყისებს, ათასგვარ ანგარიშებს, მათ შორის, ფულის მოძრაობის ანგარიშებსაც. ამიტომ, ეროვნულ ბანკს დადასტურებით შეუძლია იმის თქმა, ადგილი ჰქონდა თუ არა ქვეყნიდან კაპიტალის არაეკონომიკურ გადინებას.

**— თქვენი აზრით, არაეკონომიკური გადინება მოხდა, ქვეყნიდან კაპიტალი გაგვექცა?**

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ პანიკა, ყოველთვის, ქვეყნიდან კაპიტალის გაქცევას გულისხმობს. ეს პანიკური განწყობები ყველა ქვეყანაში იყო, სადაც ეროვნული ვალუტა დავარდა. საქართველოსგან განსხვავებით, სხვა ქვეყნებმა ეს საკითხი ძალიან სწრაფად მოაგვარეს. ჩვენ, ხშირად გვსმენია ეროვნული ბანკისგან განცხადება, რომ სავალუტო ინტერვენციებს აზრი არ აქვს, რომ ეს კონტრპროდუქტიულია, აი, შეხედეთ, სხვა ქვეყნებმა რამდენი მილიარდი დახარჯეს თავის რეზერვებიდან, ჩვენ, ტყუილად უნდა დაგვეხარჯა რეზერვებიო. საქმე ისაა, რომ ეს ოფიციალური სავალუტო რეზერვები იმისთვის არსებობს, რომ გარეშოკების ზეგავლენა მათი ხელშეწყობით განეიტრალდეს. სხვა შემთხვევაში, რად გინდა ფული თუ მკვდრად გიდევს და ვერაფერში ხარჯავ?! სხვა ქვეყნებმა სავალუტო რეზერვების დახარჯვით პანიკა ჩააცხრეს. გარდა სავალუტო რეზერვებისა, მათ, ასევე, სავალუტო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები გამოიყენეს როგორიცაა კონტროლი კაპიტალის შემოდინებასა და გადინებაზე, რაც ჩვენს ეროვნულ ბანკს საერთოდ არ გაუკეთებია. მას პანიკის და ამ სპეკულაციების ჩაცხრობა სულ მარტივი რამით შეეძლო — ის სავალუტო რეზერვები, რომელიც გააჩნია კომერციული ბანკებისთვის სესხად მიეცა. ახლა, ეს სავალუტო რეზერვები მსოფლიოში სადაა მიმოფანტული, რომელ ფასიან ქაღალდებში, რომელ კომერციულ ბანკებში, ან რა ფონდებშია განთავსებული, კაცმა არ იცის. მაგრამ ეროვნულ ბანკს სავალუტო რეზერვები რამოდენიმე მსხვილი კომერციული ბანკისათვის რომ მიეცა, ეს თან სესხი იქნებოდა, თან ეს თანხა უკან დაბრუნდებოდა და კომერციულ ბანკებსაც სათქმელი აღარ ექნებოდათ — უცხოური ვალუტა გვაკლდა და ლარის გაცვლითი კურსი ამიტომაც დავარდაო. ანუ, ყველაფერს ჭკუა, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ცოდნა სჭირდება. ელემენტარულად, იმის დანახვაა საჭირო რას აკეთებს სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკი და იმის გააზრება, გამოგივა თუ არა იგივე მეთოდებით პანიკის ჩაცხრობა. ეს რომ პანიკა და სპეკულაცია იყო ამაზე ორი აზრი არ არსებობს.



**— რატომ არ მოიქცნენ ასე, შეგნებულად ხომ არ მოხდა სხვა ქვეყნების გამოცდილებებზე თვალის დახუჭვა?**

— ეს უცოდინარობის, უპასუხისმგებლობის, დაუსჯელობის სინდრომის შედეგია — როცა რაღაცას აკეთებ და მომკითხავი არავინაა. ამაში, გარკვეულწილად, მთავრობაა დამნაშავე. თუნდაც იმაში, რომ მან შესანიშნავად იცოდა, რასაც აკეთებდა ეროვნული ბანკი და მას ხელს აფარებდა. ეს არ უნდა გაეკეთებინა. მთავრობას ეროვნული ბანკისკენ თავიდანვე რომ გაეშვირა ხელი და ეთქვა — აი, ვინ არის ამ პროცესებში დამნაშავე, ახლა, ასეთი მძიმე შედეგი არ გვექნებოდა.

**— რამდენად შეეძლო მთავრობას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა შეეცვალა, თუნდაც, დამდგარიყო ქადაგიძის იმპიჩმენტის საკითხი, რაზეც საუბარი ურემი რომ გადაბრუნდა, მას მერე დაიწყო მავანმა?**

— მთავრობას ამის ძალიან კარგი შეასაძლებლობა მართლაც ჰქონდა იმიტომ, რომ 2012 წლის შემოდგომაზე ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა უკვე თავიანთ თანამშრომლებს შემდეგი ტექსტით ემშვიდობებოდა — ჩვენ წავაგეთ. ყველა ელოდა, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას გამოცვლიდნენ. თუმცა სიტუაცია, აბსოლუტურად, არაპროგნოზირებადი კუთხით შეტრიალდა. ივანიშვილის პოზიცია შეიძლება, ნაწილობრივ გავიგოთ იმით, რომ მას არ უნდოდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის გაშვება შურისძიების ფონზე მომხდარიყო. მისი მხრიდან, ეს, შეიძლება, გამართლებული ნაბიჯი იყო, თუმცა ქვეყნის ეკონომიკის პოზიციების მხრიდან, როგორც აღმოჩნდა, ამან დამანგრეველი შედეგი მოიტანა. კი, ერთი წლის მანძილზე ეროვნული ბანკი აბსოლუტურად, წყნარად მუშაობდა, არავის აზარალებდა, მაგრამ როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია აიმღვრა თავის კლანჭები და კბილები გამოაჩინა. შეცდომა თავიდანვე იყო დაშვებული — არამარტო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, არამედ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველა უნდა გამოეცვალათ.

**— გავიხსენოთ, რა მოხდა ცოტა ხნის წინ მოლდოვაში, მოლდოვის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, ისეთი ზარალი, რაც ბანკებმა საკუთარ ქვეყანას მოუტანეს, უკრაინისთვის ომსაც კი არ მიუყენებიაო. თუ ეს მოლდოვაში დანაშაულად ითვლება, ჩვენთან რატომ არ არის ასე?**

— გეტყვით, რატომ არ ითვ-

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# აზრი არ შემიცვლია, კვლავ მივიჩნევ, რომ საქმე გვაქვს გამიზნულ ეკონომიკურ დივერსიასთან


დავით გაგნიძე

მიმდინარე წლის დასაწყისში, როდესაც პირველად დაფიქსირდა ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგნიძემ, რომელიც პროფესიით ეკონომისტია, ეს პროცესი ეკონომიკურ დივერსიად შეაფასა და სამართალდამცავ სტრუქტურებს მოუწოდა ეროვნული ბანკის საქმიანობით დაინტერესებულიყვნენ, მან გაკვირვებაც გამოთქვა, რომ ამ კუთხით სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ იყო. ბოლო ხანს ლარის კურსმა მოულოდნელად გამყარება დაიწყო, რამაც ისევ მკვეთრად დაარტყა ჩვენი თანამოქალაქეების ისედაც მწირ ბიუჯეტს. ლარის გამყარება საეჭვოდ დაემთხვა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტს, რომლებიც სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად უმაღლეს შეფასებას აძლევენ სებ-ის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის მოღვაწეობას, რაც ბუნებრივია, საზოგადოებაში ბევრ კითხვას აჩენს. სებ-ისა და მისი პრეზიდენტის საქმიანობის მიმართ ეჭვები აქვს ხელისუფლებასაც, თუმცა გიორგი ქადაგიძე დღემდე ინარჩუნებს თანამდებობას. საკითხავია ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რატომ არ გაათავისუფლეს ესოდენ საკვანძო თანამდებობიდან ნაციონალების მიერ დანიშნული კადრი, რომელიც ეკონომიკური საკითხების ცნობილი ექსპერტის დემურ გიორხელიძის განცხადებითაც, თავის დროზეც დაუმსახურებლად დასვეს ხსენებულ თანამდებობაზე. სებ-ის პრეზიდენტის გათავისუფლების უფლება თურმე მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს აქვს, „ვადაგაგრძელებული“ მიხეილ სააკაშვილი რომ ქადაგიძეს პოსტს არ დაატოვებინებდა, ისედაც ცხადია, რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, ის მხოლოდ ვეტოების დადებითაა დაკავებული, მაგრამ რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება? როცა, როგორც კვალიფიციური იურისტები და ეკონომისტები აცხადებენ, სებ-ის საქმიანობაში აშკარად ჩანს დანაშაულის ნიშნები, რატომ არ ხდება სათანადო სამართლებრივი რეაგირება? ჩვენ ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას არ ვაპირებთ, მაგრამ, როცა ამდენი კითხვა არსებობს, საქართველოს კონსტიტუციის მოშველიება რბილად რომ ვთქვათ, უსუსური არგუმენტია, არ მგონია კონსტიტუცია სავარაუდო დამნაშავეთა დაცვას ითხოვდეს.

**დავით გაგნიძე:** „აზრი არ შემიცვლია, კვლავ მივიჩნევ, რომ საქმე გვაქვს გამიზნულ ეკონომიკურ დივერსიასთან. მე არ ვამბობ, რომ კონკრეტულად ვინმეს მიმართ, მაგრამ ფაქტზე აუცილებლად უნდა აღძრულიყო სს-ის საქმე რამდენიმე ბრალდებით. სს-ის კოდექსის მე-11 კარი მთლიანად ეხება სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებს. ჩემი აზრით, საქმე უნდა აღიძრას შემდეგი ბრალდებებით: უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება (309-ე მუხლი); შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად (315-ე მუხლი); საბოტაჟი საქართველოს დასუსტების მიზნით (318-ე მუხლი); უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება (319-ე მუხლი); ტერორისტული აქტი (323-ე მუხლი), რაც მარტო აფეთქებას და იარაღის გამოყენებას არ ითვალისწინებს. იქ მითითებულია, რომ ქმედება, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ქონებრივ ზიანს ან სხვა მძიმე შედეგს. რა მატერიალური ზიანი განიცადა ჩვენმა მოსახლეობამ ლარის კურსის მკვეთრი რყევებით, ყველას კარგად მოეხსენება. უამრავი ადამიანი მოხვდა ჯანმრთელობის გაუარესების გამო საავადმყოფოში, ეს არ არის მძიმე შედეგი? ვფიქრობ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ნიშნებიც სახეზე გვაქვს. მართალია სასჯელების შეკრებითობის წესი გააუქმა ახალმა ხელისუფლებამ, მაგრამ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, სასჯელი მაინც ძალზე მკაცრი იქნება. მე ადრეც გითხარით, რომ ლარის კურსის ვარდნით, რამდენიმე ბანკმა მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბების ხარჯზე კოლოსალური მოგება მიიღო. ლარის კურსს ურთიერთმოლაპარაკებით ფაქტობრივად ისინი ადგენენ, რაც არის კარტელური გარიგების კლასიკური მაგალითი. ამგვარი შეთანხმება სს-ის კანონმდებლობით დასჯადია. ნაციონალებმა ანტიმონოპოლიური სამსახური საერთოდ გააუქმეს, დღევანდელმა ხელისუფლებამ მართალია ის სხვა სახელით აღადგინა, მაგრამ ამ სამსახურის მუშაობას მე ვერ ვხედავ.

არ მომერიდება იმის თქმა, რომ საქართველოს ეკონომიკის განადგურებაში, მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონს დიდი წვლილი მიუძღვით, კრედიტის გაცემისას, საკუთარ პირობებს გკარნახობენ, ანუ მათი მითითებით უნდა გახარჯო ეს თანხა, უფლება არ გაქვს ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარებას მოახმარო. გადასახადები უნდა გაზარდო, არ უნდა გასცე სოციალური დახმარებები, თურმე მათ მიერ მოცემულ კრედიტსა და სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა გაუფრთხილდე, თუ მოსახლეობის სასიკეთოდ ვერაფერს გააკეთებ, მაშინ რაში გჭირდება ეს კრედიტი და გაზრდილი ბიუჯეტი. თუ შეეწინააღმდეგები, კრედიტს აღარ მოგცემენ, არ არის ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება და გარიგება ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობა? საქართველოდან დაუზუსტებელი მონაცემებით 50-55 მილიარდი დოლარია გატანილი, ჩვენ კი ამ დროს სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს ვეხვეწებით, რომ კრედიტი გამოგვიყონ თუნდაც ლარის კურსის გასამყარებლად, ხელისუფლება არ უნდა დაინტერესდეს ვინ და სად წაიღო ის კოლისალური თანხები, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს მოსახლეობას მოპარეს.



**- ბატონო დავით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაფორმებას მარტო გიორგი ქადაგიძეს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. ეს 90-იანი წლებიდან მოყოლებული სახელისუფლებო პოლიტიკა იყო.**

- იმიტომაც ვამბობ, რომ სს-ის საქმე თავიდან ფაქტზე უნდა აღიძრას და არა რომელიმე კონკრეტული პირის მიმართ, ძიების პროცესში გამოიკვეთება ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი. გამოძიება საჯარო უნდა იყოს, საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს, ხელისუფლება ჩვენს მიერაა დაქირავებული, ხელფასს ჩვენი ჯიბიდან ვუხდით, ამიტომ ვალდებულია საქმის კურსში ჩაგვაყენოს. ობიექტური ძიების ჩატარების შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ 10-15 პირის დანაშაული მაინც გამოიკვეთება. ქადაგიძემ ერთი თვის მერე რომ გააკეთა განცხადება, ეს არაფერს ნიშნავს? თვითონ ნუ გამოჩნდებოდა, მაგრამ მის ქვემდებარე უწყებას ზომები უნდა მიეღო, რაც არ მომხდარა. სწორედ ამან გამოიწვია მოსახლეობაში პანიკა. სხვათა შორის, უმოქმედობაც დანაშაულია, სს-ის კოდექსში შესაბამისი მუხლიც იყო, მაგრამ ნაციონალებმა ამოიღეს და აღარ იყო დასჯადი, კანონმდებლობა მთლიანად საკუთარ თავზე მოირგეს, საერთოდაც, ბევრი უსამართლო კანონი მიიღეს. რამდენადაც ვიცი ეს მუხლი არ აღუდგენიათ, სამი წელია საშველი არ დაადგა საკანონმდებლო ხარვეზების გასწორებას. მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქადაგიძემ, ორი წლით ადრე დაუბრუნა მსოფლიო ბანკს საგარეო ვალი. არ გიჩნდებათ კითხვა ეს რატომ მოხდა, მით უმეტეს, რომ შეიძლებოდა ერთი წლის მერე გადაგვეხადა, ან სულაც ვალის რესტრუქტურიზაცია მომხდარიყო. ამას გარდა, ჩემი ინფორმაციით დამატებით 500-600 მილიონი ლარი გაუშვეს ბრუნვაში, ამის შემდეგ გვიკვირს, რომ ლარის კურსი მკვეთრად დაეცა? თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, ე.ი. აშკარად გვაქვს საქმე სს-ის დანაშაულთან. რატომ დუმს ხელისუფლება, ან დაადასტუროს, ან უარყოს ეს ინფორმაციები. მეეჭვება ქადაგიძეს ხელისუფლების წარმომადგენელთა დახმარების გარეშე ეს მოეხერხებინა. ყველას ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ ეტყობა არის რაღაც ჯგუფი, რომელიც ხალხის ზურგსუკან და მის საზიანოდ, შეთანხმებულად მოქმედებს. ახლა თურმე ეროვნულ ბანკს საზედამხედველო სააგენტო უნდა გამოეყოს, მერე ეს რას მოგვიტანს? რეალურს არაფერს, როგორც ჩანს, გიორგი ქადაგიძეს უპრობლემოდ დაასრულებინებენ სებ-ის პრეზიდენტის პოსტზე თავის „მოღვაწეობას“. თუ კვლავაც არ აღიძრა სავალუტო კრიზისთან დაკავშირებით სს-ის საქმე და ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქვა, ეს ნიშნავს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ან ეშინია ნაციონალების გავლენიანი უცხოელი მფარველების, ანდა მათთან გარკვეულ გარიგებაში არიან შესული.

***იგივე მოსაზრებები აქვს შს ექსმინისტრს, პოლიტიკური პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებლს კობა ნარჩემაშვილს.***

**კობა ნარჩემაშვილი:** „ლარის კურსის ვარდნაზე ბუნებრივია საგარეო ფაქტორმა დიდი გავლენა მოახდინა, რუსეთ-უკრაინას შორის დაპირისპირებამ, უკრაინაში ფაქტობრივად ომია, და იმ სანქციებმა, რომელიც ამერიკამ და ევროპამ რუსეთს დაუწესა, იმიტომ იმოქმედა ლარის კურსზე, რომ მყარი ვალუტის (დოლარის) მთავარი ასე ვთქვათ, ინექციონერი არის რუსეთი. იქ მარტო ქართველები კი არა, საქართველოს სხვა მოქალაქეებიც არიან წასული, სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებიც საქართველოში აგზავნიან ფულს, დაახლოებით მილიონნახევარი ადამიანია საქართველოდან გა-


კობა ნარჩემაშვილი

# შეცდომა თავიდანვე იყო დაშვებული — არამარტო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, არამედ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველა უნდა გამოეცვალათ

6 gv.

ლება იგივე აქ, დანაშაულად. შესაძლოა, მოლდოვაში მათი ცენტრალური ბანკი მართლაც ქვეყნის სამსახურშია და მის მიერ გამოვლენილი ფულის გატანის ფაქტები, საჯარო გახდა, მათ შორის, მთავრობისთვისაც ცნობილი, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა. საქართველოში კი ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მომსახურების სააგენტოდაა გადაქცეული. იგი არა ქვეყნის ეკონომიკას, არამედ კომერციული ბანკების ინტერესებს ემსახურება. შედეგად, ეროვნული ბანკისგან მამხილებელ განცხადებებს არ უნდა ველოდოთ, რომ თურმე, კომერციულ ბანკებს ლარის კურსის მანიპულირებაში დანაშაული მიუძღვით. ანუ, პირდაპირ საქართველოზე ამ სიტუაციის გადმოტანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენთან, ისევ და ისევ, ეროვნული ბანკი, აბსოლუტურად, ჩაკეტილი და ქვეყნის ეკონომიკას მოწყვეტილი დაწესებულებაა. თუ ეროვნულმა ბანკმა დანაშაულის გამოვლინებას ხელი არ შეუწყო, ისე როგორ მოხდება ეს საქმე? საიდან ეცოდინებოდა მოლდოვის პრეზიდენტს ამის შესახებ — ისევ და ისევ ცენტრალური ბანკის ინფორმაციისგან ხომ?

**— მსგავს შემთხვევებს, ამერიკაშიც ჰქონდა ადგილი...**

— დიახ, იქ ამას სისტემატიური ხასიათი აქვს. იქ, სხვათა შორის, საფინანსო კრიზისის დაწყებიდან 2013 წლამდე, წელიწადში, 100-150 ბანკს ხურავდნენ, ან კოტრდებოდნენ ან სახელმწიფო აკოტრებდა არამარტო ბუნებრივი ფინანსური პრობლემების გამო, არამედ გამოვლენილი მაქინაციებიდან გამომდინარე.

**— იგივე მეთოდით მომუშავე ორი ამერიკული ბანკი ახლახან, ერთი — ნახევარი მილიარდით, ხოლო მეორე — 900 მილიონით დაჯარიმდა. ჩვენ რა გვჭირს?**

— იცით, იგივე სიტუაციაში, ჩვენთან რამდენია ჯარიმა? — 500-1000 ლარი. ანუ, ეს კოღოს ნაკბენიც კი არ არის, ეს ზღვაში წვეთია კომერციული ბანკებისთვის. ეროვნული ბანკის ბრძანებების შესაბამისად, პრაქტიკულად, კომერციული ბანკების მატერიალურად დასჯა, შეუძლებელია, ისინი ყველაფერს ისხლიტავენ. ერთადერთი შიში რაც კომერციულ ბანკებს აქვთ, არ მიადგე და ანაბრების დეპოზიტები არ გამოიყენო. სხვა, მათ, არაფრის ეშინიათ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეროვნული ბაკი კომერციული ბანკების მომსახურების სააგენტოდ გადაიქცა. ბუნებრივია, მას ვისაც ემსახურები, ზიანს ვერ მიაყენებ.

**— საუბარში ახსენეთ, მსოფლიო ბანკი ჩვენს სავალუტო რეზერვებს ფლობსო. რატომ ჩააბარა ქადაგიძემ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტი სხვას?**

— დიახ, მსოფლიო ბანკს ჩვენი სავალუტო რეზერვების ნაწილი აქვს გადაცემული. ეროვნულ ბანკს რეზერვები ზოგი სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში აქვს განთავსებული, ზოგი კერძო კომპანიებში, კომერციულ ბანკებში და გარკვეული ნაწილიც სამართავად მსოფლიო ბანკისთვის აქვს გადაცემული. ასევე, ანგარიშსწორების საერთაშორისო ბანკისთვის, რომელიც ბაზელშია. ეს ბანკი იმითაა ცნობილი, რომ იქ საბანკო ელიტა იკრიბება, რომელიც კომერციული ბანკების საქმიანობის სარეგულირებლად სპეციალურ ნორმებს იმუშავებს. იგი საკმაოდ ავტორიტეტული ორგანიზაციაა, მსოფლიო საბანკო სფეროში ამინდს ქმნის. სხვათა შორის, მას მერე, რაც ეროვნულმა ბანკმა მას სამართავად ფული — ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე მისცა, ქადაგიძე იქ, საბანკო ზედამხედველობის სფეროში, როგორც ევროპის საუკეთესო ცენტრალური ბანკირი, მრჩევლად აირჩიეს. როგორც ევროპის საუკეთესო ცენტრალურ ბანკირს, ჯილდო ქადაგიძეს ერთ-ერთმა ბრიტანულმა ჟურნალმაც მისცა. თუ თქვენ მოგინდებათ ამ ინფორმაციის მოძიება, უნდა მოიმარაგოთ, დაახლოებით, 800 ფუნტი სტერლინგი იმისთვის, რომ გადაუხადოთ ამ გამოცემას და მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რა დამსახურებისთვის მისცეს მას ჯილდო. აქ აშკარად იკვეთება ბიზნესურთიერთობები. გამოცემა აჯილდოვებს რომელიღაც ქვეყნის ცენტრალურ ბანკირს და ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებს და მის მისაღებად ფულს ითხოვს. ეს ძალიან ჰგავს მარკეტინგულ კომპანიას. ასეთი მარკეტინგული კომპანიების ფონზე მიღებული ჯილდოები, ობიექტურად ვერ ჩაითვლება.

**— რატომ აჩვენებენ სავალუტო ჯიხურები ოფიციალური კურსიდან დიამეტრალურად განსხვავებულ კურსს?**



— თქვენ იცით, ამ სავალუტო ჯიხურების მეტი წილი კომერციული ბანკების სარგებლობაშია. ანუ, მას სულ არ აინტერესებს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი. ისინი უყურებენ, რას აკეთებენ კომერციული ბანკები ბლუმბერგში. როგორც კი ხედავენ, რომ უცხოური ვალუტის ღირებულება ვარდება, თვითონაც წევენ. მოსახლეობამ ძალიან იზარალა. ადამაინების შემოსავალზე ასეთი თამაში, არ შეიძლება, ამას წერტილი უნდა დაესვას.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

7 gv.

სული. მოგეხსენებათ, რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესადაა გართულებული, ნავთობის ფასი და რუბლის კურსი დაეცა, ამიტომ ამ ქვეყნიდან ფინანსურმა ნაკადებმა, რომელიც დოლარში შემოდიოდა, მკვეთრად იკლო. რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა უარყოფითად იმოქმედა ევროპაზეც, რადგან რუსეთმაც დააწესა სანქციები ევროპულ იმპორტზე, ეს იყო ჯაჭვური პროცესი. დასავლეთ ევროპა დიდწილად მისდა უნებურად აღმოჩნდა ამ სანქციების მონაწილე, მას პრინციპში არ უნდოდა ამ პროცესებში მონაწილეობა, რადგან რუსეთი იყო მთავარი სავაჭრო პარტნიორი იტალიის, გერმანიის, პოლონეთისთვის. ბუნებრივია, ამ ყველაფერმა გავლენა ევროპაშიც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, ჩვენი რამდენი მოქალაქეა წასული სამუშაოდ ევროპაშიც, ცხადია, ვერც მათ გამოუგზავნეს საკუთარ ოჯახებს ფული, ამ ყველაფერმა პირდაპირ დაარტყა ჩვენს ეროვნულ ვალუტას, დეველოპერულ ბიზნესს, მშენებლობებსა და ინვესტიციების განხორციელებას. ჩვენი ეკონომიკა ამისთვის მზად არ იყო, რადგან ექსპორტისა და იმპორტის სალდო, უკიდურესად უარყოფითია. ჩვენ იმპორტს ძირითადად დოლარში ვახორციელებთ, ანუ დოლარი ქვეყნის გარეთ გაგვაქვს, ხოლო შემოტანილ საქონელს ლარში ვყიდით, ათდღიან შუალედშიც კი იმდენს იზარალებ, რომ შეიძლება გაკოტრდე. რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, თუნდაც იგივე ინვესტიციების კუთხით, ზოგიერთი ტრაბახობს, ცნობილი ბრენდები კერავენ ჩვენთან ტანსაცმელსო, მაგრამ ეს ჩვენს ეკონომიკაზე დიდ გავლენას არ ახდენს, არ არის ეს ინვესტიცია. მაგალითად, „ბოსი“ რომ კერავს თბილისსა თუ ქუთაისში ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, პროდუქცია დასავლეთში გააქვს გასაყიდად, ასე რომ, მათი ნაწარმის რეალიზაციიდან მიღებული ფული საქართველოში არ შემოდის. ჩვენ საკუთარ თავზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, ბევრს წვრილი და საშუალო ბიზნესი ჰგონია ეკონომიკის გადამრჩენი, ეკონომიკას გადაარჩენს მსხვილი ინდუსტრიული, გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა პროდუქციაც მყარ ვალუტაში გაიყიდება. ამ ყველაფერს დაემატა რაღაცა დესტრუქციული ჯგუფის საეჭვო ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს, დახურულია სავალუტო ბაზარი, ჩვენ არ ვიცით მოთხოვნა-მიწოდების რეალური შინაარსი, ვინ და რატომ ყიდულობს დოლარს, ჭირდება თუ ზედმეტად ყიდულობს? ვაჭრობაში სულ რამდენიმე ბანკი მონაწილეობს, ასე ვთქვათ, სინდიკატურია ეს გარიგებები. ჩვენ არ ვიცით სხვა ბანკები რატომ არ არიან ჩართული ვაჭრობაში, შეიძლება იმათაც უნდათ დოლარის ყიდვა, მაგრამ ვერაფერს ვიგებთ, რადგან არასაჯაროა ეს ინფორმაცია. რაც ყველაზე მთავარია, სერიოზულად არის შესამოწმებელი ეროვნული ბანკის საქმიანობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინიმუმ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლარის კურსის რყევების დაწყებიდან ერთი თვის მერე არ უნდა აკეთებდეს განცხადებას. მისი პირდაპირი ვალდებულებაა, რომ, როცა ასეთი რყევები იწყება, მყისიერად ჩააყენოს მოსახლეობა საქმის კურსში. ზუსტად მისმა არ გამოჩენამ განაპირობა ამ სფეროში სპეკულაციური ფონის შექმნა“.

# აზრი არ შემიცვლია, კვლავ მივიჩნევ, რომ საქმე გვაქვს გამიზნულ ეკონომიკურ დივერსიასთან

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



**დემურ გიორხელიძე: „უცებ, ლარი „გამყარდა“, თურმე ამოწურულა ლარის გამბახებელი ფაქტორები! დღეს ლარი ისევ „გალაღებულია“ და სებ-ის თავხედი პრეზიდენტი მთელ ქვეყანას დასცინის. დავსვათ კითხვა, რამ გაამყარა ლარი, რა გააკეთეს რომ გამყარებულიყო? ეს სავალუტო სპეკულაციაა ფულის სწრაფად შოვნის საუკეთესო საშუალება, რაც სებ-მა მიზანმიმართულად გააკეთა. გავიხსენებ, მერაბ სტურუას შეფასებას „ჩვეულებრივი კრიმინალი და ბანდიტიზმი მთელი სახელმწიფოს წინააღმდეგ“. ჩემი მხრიდან, სებ-ს ვეკითხები: ვინ ექცევა ასე ბანდიტურად საკუთარ ქვეყანას, სად ხდება ეს?“**



**ნოდარ ჯავახიშვილი: „მთავრობამ პირველი შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა აცხადებდა სებ-თან კოორდინირებულად ვმუშაობო. არჩევნებში გავიმარჯვეთ თუ არა, ქადაგიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო.**

*რა საფრთხეს უქმნის გენმოდიფიცირებული პროდუქტი ჩვენს ჯანმრთელობას, საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით დარგის სპეციალისტებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს.*

# გენმოდიფიცირებული პროდუქტი ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს უქმნის



**გია გაჩეჩილაძე – „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე, პარლამენტარი:**

– წლების განმავლობაში ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პროდუქტის შემოტანა თუ წარმოება უკონტროლოდ მიმდინარეობდა. საბედნიეროდ, 2011 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების“ გამოყენების თაობაზე, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ შეიძლება მისი გაკონტროლება. კერძოდ, თუ კვების პროდუქტი მზა სახით შემოდის, ეტიკეტირებული უნდა იყოს წარწერით, რომ ის შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს – ეს აუცილებელია! მეორე, როდესაც ასოცირების ხელშეკრულებაზე მოვაწერეთ ხელი, იქ რატიფიცირებულია, რომ როდესაც ჩვენი ქვეყანა შედის ევროპის 500-მილიონიან ბაზარზე, იქ არსებობს დოკუმენტი,. ხელშეკრულება – **„ყოვლისმომცველი და საყოველთაო ვაჭრობის შესახებ“** – შეღავათიანი პირობებით. ამიტომ თუ გვინდა ამხელა ბაზარზე თუნდაც მცირე პროდუქციით შესვლა, უნდა გავითვალისწინოთ ევროსტანდარტები და წესები. დღეს აქტიურად საუბრობენ ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ევროპაში გატანაზე, იქ იმხელა კონკურენციაა, რომ თუ ჩვენ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს მოვამრავლებთ და გასაყიდად გავამზადებთ, ის იქ არავის არ უნდა. მთავარი მსოფლიოსთვის არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ცოტა, მაგრამ ხარისხიანი. დღეს კი რა გამოვიდა, კანონით ეს საქმე დავარეგულირეთ და, ყოფილმა მინისტრმა ხოკრიშვილმა „წასვლამდე“ 25 ტონა გენმოდიფიცირებული სოიას შემოტანას შეუწყო ხელი. მითხარით, რა გამოვიდა? კანონი ერთს ამბობს, მოქმედება მეორეს. ვის ვატყუებთ, საკუთარ ხალხს?

**– კანონით ამ პროდუქტის დათესვა აკრძალულია, მაგრამ არსებობს მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს, რომ ამდენი დავის შემდეგ ის არ დათესონ საქართველოში?**

– როცა შემოიტანეს ის ვინმემ გააკონტროლა? ასე მოხდება ამჯერადაც, თუ კატეგორიულად არ გავუწიეთ წინააღმდეგობა ამ ერთ შემთხვევას, მის დათესვას ვერავინ ვერ გააკონტროლებს, ამის მექანიზმი არ არსებობს, უბრალოდ შეუძლებელია რომელიმე ფერმერის შემოწმება თუ რომელ სოიას დათესავს ის. მთავარი ერთია – არ უნდა შემოსულიყო ის ქვეყანაში და ხოკრიშვილს არ უნდა მიეცა ამისი ნება, აი, ეს არის მთავარი! მის მიერ გაცემული ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს. კანონში მკაცრად არის განსაზღვრული, თუ როგორ შეიძლება ასეთი სახის პროდუქტის შემოტანა ქვეყანაში, იქ გარკვეული პროცედურული საკითხებია გასათვალისწინებელი მათ შორის მისი ტრანსპორტირება, ასევე უნდა იმყოფებოდეს ის დახურულ გრუნტში. მისი შემომტანი სამინისტროს აწვდის განცხადებას და 10 დღის ვადაში გარემოს დაცვის სამინისტროს კომისიის მიერ (რომელიც ჩვენ არა გვყავს) უნდა მოხდეს ამ პროდუქტის შემოწმება. ამ კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ დარგის სპეციალისტები, გენეტიკოსები, მეცნიერები, ეკოლოგები და ა.შ. პროდუქტის შემოწმება უნდა მიმდინარეობდეს 30 დღის განმავლობაში და მერე უნდა დაიწეროს დასკვნა, სადაც აღწერილი იქნება ამ პროდუქტის რისკები და საფრთხეები. არც ერთი **ეს პროცედურა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩატარებული არ არის!**

20 წელია რაც მე ამ საკითხებით ვარ დაინტერესებული და ვიბრძვი იმისათვის, რომ ასეთი პროდუქტი ჩვენს ქვეყანაში არ შემოიტანონ, რადგანაც მისი საფრთხეები სერიოზულია და რეალური. 1995 წელს, როდესაც პარლამენტში იყო „მწვანეთა პარტია“, შემოიტანეს გენმოდიფიცირებული კარტოფილის თესლი, რომელიც ჩვენი ძალისხმევითა და პარლამენტის აგრარული კომისიის დასკვნის საფუძველზე, უკან გავატანინეთ. ასეთი უკონტროლობა ქვეყანაში დაუშვებელია. **დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ამჟამად შემოტანილი 25 ტონა სოია საშიშია თუნდაც იმიტომ, რომ ის შედგება 7 სახეობისგან და ძირითადად სათესლე მასალას წარმოადგენს. თუ ცხოველებისათვის და საფურაჟედ უნდოდათ 7 სახეობა რა საჭირო იყო?** ამაზე პასუხი არ აქვთ. უფრო მეტიც, თუ ახლა ჩვენ ამ პრეცედენტს დავუშვებთ, ამის საფუძველზე სპეციალური რეესტრი უნდა შეიქმნას და ამით კარი ეხსნებათ, რომ შემდგომშიც შემოიტანენ სხვა გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, ამიტომ ამ ფაქტის წაყრუება შეუძლებელია. იმედი მაქვს, რომ ახალი მინისტრი, საქმის სწორად შესწავლის საფუძველზე, ამას არ დაუშვებს. ჩვენი ბრძოლა ამ საქმეში გამოგონილი არ არის, გაეროს დოკუმენტების საფუძველზე ვმსჯელობთ. 2000 წელს შეიქმნა **კარტახენას ოქმი,** რომელიც სწორედ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს ეხება და ეს დოკუმენტი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თუ ქვეყანას სურს, შეუძლია საერთოდ აკრძალოს ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემოტანა, რადგანაც ის ნებისმიერ ქვეყანაში პრობლემას უქმნის სოფლის მეურნეობის ბიომრავალფეროვნებას.

გენმოდიფიცირებული პროდუქტი რომ ჯანმრთელობისთვის საშიშია, ეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი და ამას დასკვნები და მაგალითები არ სჭირდება, ეკონომიკური თვალსაზრისით კი წამგებიანია, ის არავის არ სჭირდება ევროპაში და ვერ გავყიდით.

**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ბიძინა კოროხაშვილი:**

– ჩვენი კანონმდებლობით გენმოდიფიცირებული სოიას შემოტანა შეიძლება მხოლოდ გადასამუსავებლად, რომ შეერიოს ცხოველთა კომბინირებულ საკვებში არაუმეტეს 0,9 პროცენტის რაოდენობით, ე. წ. 1 პროცენტიც არა. მაგრამ დღეს ვერავინ ვერ გააკონტროლებს, თუ რამდენს შეურევენ და დაიცავენ თუ არა ამ წესს, სავარაუდოა, რომ უფრო მეტს შეურევენ იმიტომ, რომ ცხოველებისთვის ცილების ერთ-ერთი წყაროა სოიას რძის შრატი, ამის გარეშე მეცხოველეობისა თუ მეფრინველეობის წარმოება ფერმერებისათვის არის წამგებიანი, რადგანაც მისი დახმარებით, მაგალითად, ძროხის წველადობა იზრდება, ღორებში უფრო მეტ ნამატს ღებულობენ და ა.შ. უკონტროლო პირობებში ჩვენს ქვეყანაში მას დაფქვავენ და შეურევენ კომბინირებულ საკვებში. წესით კი ის მშრალი ექსტრუქციით ან ბენზოლით უნდა გადამუშავდეს შრატად და ზეთად – ამას ესენი არ გააკეთებენ, ინფორმაციამ იმაზეც გაჟონა, რომ აპირებენ მის დათესვას – ეს კი აკრძალულია! ეს ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს.



**– ბატონო ბიძინა, გენმოდიფიცირებული სოია რომ არ შემოიტანონ, ჩვეულებრივი არ არსებობს, რომელიც უსაფრთხო იქნება ჯანმრთელობისათვის?**

– ცხადია, არსებობს, მაგრამ ბიზნესმენებისათვის გენმოდიფიცირებული უფრო იაფი და ხელმისაწვდომია, ხომ ცნობილია, რომ ისინი, ვინც ასეთ პროდუქტს აწარმოებენ, თავად არ მიირთმევენ მას, სხვისი ჯანმრთელობის რისკები მათ არ ანაღვლებთ.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ ქართული რეალობიდან გამომდინარე, ამას არავინ არ გააკონტროლებს, თორემ წესის მიხედვით შეიძლებოდა მისი გამოყენება უსაფრთხოდ. მისი კონტროლი ეხება სურსათის ეროვნულ სააგენტოს. ცნობილია, რომ გენმოდიფიცირებული სოია ჩვენს ქვეყანაში ადრეც შემოჰქონდათ, ახლა იმიტომ გახმაურდა ეს ფაქტი, რომ მოინდომეს მისი დათესვა – რაც კანონით აკრძალულია. **ხშირად მოყავთ მაგალითი, რომ ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი, მიირთმევს გენმოდიფიცირებულ პროდუქტს და მერე რა მოხდაო, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ 300-მილიონიანმა და 3-მილიონიანმა ქვეყანამ ერთნაირად არ უნდა გარისკონ ხალხის ჯანმრთელობა,** ჩვენ ჩინეთი არა ვართ. ზემოთ მოგახსენეთ, რომ მისი შერევა ცხოველთა კომბინირებულ საკვებში ნორმაა 0,9 პროცენტი – ეს ევროკავშირის ნორმაა და ვფიქრობ, ამ სტანდარტს ჩვენმა ქვეყანამ არ უნდა გადაუხვიოს.

**ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ფიფილაშვილი:**

– გენმოდიფიცირებული პროდუქტების და კერძოდ სათესლე ჯიშების შემოტანა ქვეყნისათვის მეტად საზარალოა ბევრი თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში სოია, თუ ის დაითესა, გამოიწვევს ჩვენი ქართული ჯიშის სახეობების გადაგვარებას, მოდიფიცირებას. მოხდება დამტვერვა და გენთა აღრევა. შეიძლება ასეთი მოქმედებით საერთოდ დავკარგოთ ქართული მარცვლეულის უნიკალური ჯიშები.

**მეორე,** გენმოდიფიცირებულ პროდუქციას ადამიანი იყენებს საკვებად, რომელიც არის ორგანიზმის მომსპობი. ის იწვევს მრავალი ორგანოს დეგენერაციას. სწორედ ამით არის გამოწვეული ამდენი აუტიზმით დაავადებული ბავშვების გამრავლება მთელ მსოფლიოში. ის უარყოფითად მოქმედებს ორსულებზე, რადგანაც ნაყოფშივე მიმდინარეობს მუტაციური ცვლილებები.

ნებისმიერ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს აქვს რომელიღაცა X ნიშანთვისება, მაგალითად, მაღალცხიმიანობა, დაბალი ქოლესტერინის შემცველობა ან იზოქოლესტერინის შემცველობა, რომელიც შემდგომ მცენარის გენზე მოქმედებს, გენი კი არის დნმ-ის გარკვეული უბანი. **გენმოდიფიცირებული მცენარის გენი ცხადია მოქმედებს დამტვერვის შედეგად მეორე ეკოლოგიურად სუფთა ჯიშის გენზე. ამიტომ მათი ერთ უბანზე დათესვა დაუშვებელია. ვინ გააკონტროლებს რომ ერთმანეთის გვერდით არ განთავსდებიან? როგორ დაიცავს გვერდით მეზობელი თავის ეკოლოგიურად სუფთა ჯიშს?**

ჯიშის გადაგვარებას საკმაო დრო სჭირდება, ამიტომ თვალით შესამჩნევი დღეს შეიძლება ყველაფერი არ იყოს, მაგრამ შემდგომში უმძიმესი შედეგები მივიღოთ, რადგანაც გენმოდიფიცირებული პროდუქციის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ჯერჯერობით ბოლომდე შესწავლილი არ არის, კომერციულ სტრუქტურებს კი არც აწყობთ ასეთი სერიოზული საქმეების განსაჯაროება. ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს, ამ შემთხვევაში კი ხელისუფლების სერიოზული მოქმედებაა საჭირო, რათა საფრთხე არ შევუქმნათ ქვეყანას და მომავალ თაობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი ჯანმრთელობისათვის საზიანოა, ქვეყანას პრობლემებს უქმნის საერთაშორისო ბაზარზე და მესამე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის გადაგვარება-გადაშენების საფრთხეს ქმნის.

**P.S. გენმოდიფიცირებული პროდუქტი მიიღება ხელოვნურად შექმნილი თესლებისგან, რომლებიც შეიცავენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენებით მიღებულ გენომს, ეს უკანასკნელი კი ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ზომას, მიღებული პროდუქტი კი თითქმის არ შეიცავს ვიტამინებს.**

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

# დიალოგი მტერთან უფრო აუცილებელია, თორემ მოყვარე ისედაც გაგიგებს...

**გვესაუბრებიან არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ერთობის“ წევრები, აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანები: ლევან ღვინიაშვილი და მირიან როთველიაშვილი.**

**— რიგის სამიტი უკვე იყო. მოგეხსენებათ. არსებობდა იმედები, რომ ეს სამიტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების საკითხში. ისევ დაგრძელდა გზა ევროპისკენ. ევროპაც ველარ შემოდის ჩვენთან?!**





**მირიან როთველიაშვილი:** — ჩვენში ევროპა კარგა ხანია შემოსული იყო ისედაც, ეგ არის, ჩვენ ვერ შევედით ევროპაში.

ახლა, ვისაც უნდა ეწყინოს, სიმართლეს ვიტყვი, ევროპამ საქართველოს ანექსია მოახდინა. მეცნიერება წყალს გაატანეს, „ირმის ნახტომი“ გააკეთეს, მე-3-მე-4 კლასებიდან სექსოლოგიის შემოღების თემები გაიშალა, შემოიჭრნენ ზნედაცემული იდეოლოგიით, რაზეც ალენ დალესის თეორია მახსენდება — გაანადგურეთ მართლმადიდებლობა, რადაც უნდა დაგიჯდეთო. თავიდან ევროპა არ ჩანდა, ამერიკის სახელით კეთდებოდა ყველაფერი, მაგრამ მერე აღმოჩნდა, ამერიკა და ევროპა შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

**ლევან ღვინიაშვილი:** ვინც გადახედავს საქართველოს ისტორიას, გაიგებს, რომ ჩვენ ბოლო 20 წელიწადია კი არ ვიხედებით ევროპისკენ, არამედ თითქმის მთელი არსებობის მანძილზე. ერეკლე II-ის არჩევანიც ევროპული იყო, თორემ აზია და მუსულმანური სამყარო რომ მოენდომებინა, შორი საძიებელი არ იყო.

გიორგი ბრწყინვალის წერილებში აღმოაჩენთ, რომ იგი ევროპის ლიდერებს წერს მას შემდეგ, რაც უამრავი დაპირების შემდეგ საქართველო კვლავ მარტო აღმოჩნდა: თქვენი დაპირებები მხოლოდ დაპირებებად რჩებაო, — წერდა გიორგი ბრწყინვალე ევროპელებს.

ევროპა მიეჩვია სხვის ხარჯზე ცხოვრებას. სურს, რომ ყველამ ყველაზე კულტურულად ისინი მიიჩნიოს და ყველას ჭკუა არიგოს, მაგრამ ჩვენ ის ერი არ ვართ, ვისაც უნდა მიუთითო. ჩვენ კულტურულად მაღალგანვითარებული ერი ვართ. მაგრამ დღევანდელ ახალგაზრდებს რომ შეხედოთ, ეს არის უკვე უკან დახევა, დაცემაა, კულტურის მოსპობის ნიშანია უმეტესი მათგანის ქცევები ქვეყანაში.

ეს ჩვეულებრივი ამბავია: კულტურა უნდა მოუსპო იმ ერს, რომელსაც ხედავ, რომ შენზე ძლიერია ისტორიით და კულტურით.

როდესაც არჩევნებზეა საუბარი, ყოველთვის მიძნდება კითხვა: იციან თუ არა როდის ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები დედამიწაზე. პასუხზე, შეიძლება, ბევრმა თავი შეიკავოს, მაგრამ, სინამდვილეში, ყველამ იცის, როდის მოხდა ეს.

პირველი დემოკრატიული არჩევნები მაშინ იყო, როცა იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. ხალხმა ნება გამოხატა და აირჩია ბარაბა.

თუმცა დღემდე მაინც ვერ ვისწავლეთ ჭკუა. დაფიქრება და სიბრძნე სჭირდება ხალხს. სიბრძნე განათლებას მოაქვს. განათლებას უსპობენ ადამიანებს. ამის მაგალითია საქართველოში ბოლო წლებში მომხდარი მოვლენები.

კვლავ რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს მივუბრუნდები. დააკვირდით, ვინ ცხოვრობდა უკეთ სოციალურად, მენტალურად, ეკონომიკურად, ის ქართველები, რომლებიც რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მუსულმანურ სამყაროში დარჩნენ, ანუ თურქეთის მიტაცებულ ტერიტორიაზე თუ რუსეთის საფარველქვეშ?!

**— გეორგიევსკის ბაფთების ჩამოგლეჯის ფაქტი რუსეთის ოკუპაციისადმი პროტესტი იყო?**

**მირიან როთველიაშვილი:** — ეს ბაფთები რუსეთთან არაა დაკავშირებული, ის წმინდა გიორგის ლენტია და მასთან ბრძოლა ირიბად ნიშნავს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

2008 წლის ომს უკავშირებდნენ ამ პროტესტს, მაგრამ ჩვენ იმის გამო კი არ უარვყოფთ ლენტების ჩამოგლეჯის ინციდენტს, რომ 2008 წლის ომი არ გვაწუხებს, იმას ვცემთ პატივს, მეორე მსოფლიო ომში, მსოფლიოში აღიარებულ ფაშიზმს რომ ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები.

**ლევან ღვინიაშვილი:** — ჯერ ერთი, ფაშიზმი დაამარცხა ჩვენმა თანამემამულემ — სტალინმა. ამით ნებისმიერი ერი იამაყებდა და მეტიც, სამამულო ომის ბოლო და გადამწყვეტ ოპერაციას „ბაგრატიონი“ ერქვა. ჩვენს მისიას მსოფლიოში და დედამიწაზე ცოტა სხვა თვალითაც უნდა შევხედოთ.

ილია ჭავჭავაძეს გაიძახიან და ის არ იციან, რას ამბობდა ეს დიდი ადამიანი — ერს, რომელმაც თავისი ისტორია დაივიწყა, იმ ერს არსებობა არ უწერიაო.

ადამიანი, რომელიც ფიქრობს — მხოლოდ რუსეთი გვიშველისო, მეორე რომ ფიქრობს, ევროპაა ჩვენი მხსნელიო, მესამეს მშველელად თურქეთი ესახება, ეს იმედები სუყველა ფუჭია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა იმპერიას და დიდ სახელმწიფოს თავისი ინტერესები აქვს და ჩვენს სასიკეთოდ არაფერს გააკეთებს.

რუსს რომ აგინებენ, ახლო წარსულს რომ თავი დავანებოთ, ჯვაროსნული ლაშქრობები გავიხსენოთ, ევროპელმა ჯვაროსნებმა ათონის მთაზე ქართველ მართლმადიდებელ ბერებს რომ თავები დააყრევინეს და ვინც დარჩა, მონებად რომ გაყიდეს ევროპულ ბაზრებზე.

პროევროპელები ამბობენ, ბავშვი რომ გაიზრდება, მერე გადაწყვიტოს, რომელი სარწმუნოების მიმდევარი იყოს და იცხოს თუ არა მირონიო. ნახეთ, იმ ევროპელთა შთამომავლობა კუდს სად იქნევს? ახლაც ებრძვიან მართლმადიდებლობას.

ევროპელები თავიანთი წინაპრების გზა-კვალს რომ არ ღალატობენ, მოდით, ამაშიც მივბაძოთ და ჩვენც არ ვუღალატოთ ჩვენი წინაპრების გზა-კვალს!

**მირიან როთველიაშვილი:** — სახელმწიფო კულისებიდან გამოვიდა ხმები: ჩვენ რომ ევროპულ ბაზარს მოვერგოთ, რადგან მათი ბაზრის სტანდარტებს ვერ ვაკმაყოფილებთ, თურქეთში დამზადებულ პროდუქციას საქართველოში ქართული ეტიკეტი უნდა მიეწებოს და ევროპაში გასაღდება, როგორც საქართველოში წარმოებული პროდუქციაო.



**ლევან ღვინიაშვილი:** — რუსეთის ბაზარზე რომ ჩვენი პროდუქცია გადიოდა, ოდესმე ვინმეს უთქვამს, მაგალითად, ღვინო, რუსული სტანდარტებით დაწურეთო?!

გაიძახიან: ევროპული სტანდარტი, ევროპული სტანდარტი!

უკაცრავად, მაგრამ, ჩვენ გვაქვს ჩვენი სტანდარტი და არაა სასიამოვნო ისეთი ურთიერთობა, მუდმივად თავის „სტანდარტს“ რომ გახვევენ თავზე და შენსას უგულებელყოფენ. ანუ მონები ვართ?!

**— ე. ი. რუსებს უნდა შევურიგდეთ?!**

— ელემენტარული რამეა. ფაქტია, რომ ტერიტორიები წაგვართვა. მაგრამ, დავუშვათ, მე რომ თქვენ რამე წაგართვათ და თქვენ გაიბუტოთ, წართმეულს როგორ დაიბრუნებთ. უნდა დამელაპარაკოთ, ან ამიხსნათ, ან მუშტით გამოიწვიოთ ჩემზე. რაც უფრო ხმას არ გამცემთ, მით უკეთესი ჩემთვის. დამრჩება წართმეული.

დიპლომატიაა ეს, საუბარი უნდა დავიწყოთ. დიალოგი, მოლაპარაკება. აუცილებელია ეს.

**მირიან როთველიაშვილი:** — საქმე ისე მიდის, რომ ნახევარი პლანეტა რუსეთის გარშემო ერთიანდება — ჩინეთი, ვიეტნამი, სამხრეთი კორეა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან — ყაზახეთი, თურქმენეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვები. სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები აღლუმზე გვერდიგვერდ იდგნენ. არც ერთი ლანძღავს რუსეთს, არც მეორე, თუმცა პრეტენზიები აქვთ. არც უკრაინა მიდის ღია კონფრონტაციაზე დიპლომატიური კუთხით.

**— თქვენ აფხაზეთის ომის მონაწილეები ხართ. აფხაზეთში ებრძოდით რუსებს. ასეთი ლოგიკით როგორ ლაპარაკობთ?**

— რუსეთთან პირდაპირი ბრძოლები ჩვენ არ გვქონია, თუ არ ჩავთვლით ტამიშის დესანტს. რომელიც, ფაქტობრივად, განადგურდა. ჩვენ ბრძოლები გვქონდა აფხაზებთან, რომლებმაც დახმარება სთხოვეს რუსებს... ჩვენს გვერდით იბრძოდნენ რუსი მებრძოლები, ორი რუსი გოგონაც იბრძოდა. არ შეიძლება რუსეთთან მუდმივ კონფრონტაციაში ყოფნა, ჩვენ იმას ვლაპარაკობთ, რომ დიალოგი და მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# საუკუნეებით დაუბანელმა ევროპამ საქართველოს როგორ უნდა მიუთითოს, რა არის სწორი და რა არის არასწორი?

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მასპინძელმა ქვეყანამ პარტნიორობის მონაწილე 6 ქვეყნის წარმომადგენლებს ხელით ნაკეთი ხის სასტვენები („სვილტაუნიექსი“) უსახსოვრა. ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო, მაგრამ... სასტვენი ფრინველის ხმას გამოსცემს თუ ლომის ღრიალისას, რა მნიშვნელობა აქვს, „შვიშტოკის“ გამო გარბოდა ის ხალხი ლატვიაში თუ იგულისხმება, რომ „შვიშტოკი“ ვიზა-ლიბერალიზაციაზე უკეთესია, როგორც „მაპ-ზე უკეთესი“ უკვე ვიხილეთ?!

უპირველესად, ის არის გაურკვეველი, რატომ და ვინ მიაბა საქართველოს ხსენებას აუცილებლად უკრაინა და შემდეგ, თქვა ანგელა მერკელმა, რომ საქართველოსთვის (და უკრაინისთვის) სავიზო რეჟიმის შერბილება ჯერ ადრეა და დანარჩენ მასხარაობას რატომ უკრავენ ტაშს? — მასხარაობა კი, მართლაც უგვანო სცოდნიათ ევროპელებს...

„შვიშტოკების“ დარიგებამდე ორიოდე დღით ადრე (12 მაისს) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საბოლოო განაჩენი გამოიტანა, ორგანიზაცია „იდენტობას“ და 13 განმცხადებლის სასარგებლოდ მე-14 მუხლთან მიმართებით მე-3 და მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა, რის გამოც საქართველოს სახელმწიფოს 32 000 ევროს გადახდა დაეკისრა, „იდენტობას“ 1500 ევრო, დანარჩენები 2000-4000 ევროს გაინაწილებენ, ანუ მთლიანობაში 33 500 ევრო უნდა გადაიხადოს. „სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა იმ რისკების შესახებ, რომელიც მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ არსებობდა, შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, აქციის მონაწილეების ადექვატური დაცვა უზრუნველეყოთ“ — ნათქვამია გადაწყვეტილებაში. აღსანიშნავია, რომ სასამართლო 2013 წლის 17 მაისის აქციის დარბევის საქმესაც განიხილავს.

რა თქმა უნდა, იმ ფონზე, როცა იტალიის პარლამენტის ნეოლიბერალური ფრაქციის წევრები ე.წ ჰომოფობიის წინააღმდეგ პერფორმანსს შუა სესიის მსვლელობისას წამოიწყებენ, „ზასაობას“ ატეხენ ერთმანეთში განურჩევლად სქესისა, საქართველო დასასჯელია...

ვინ არის თქვენი მასხრად ასაგდები და დასაცინი საუკუნოობით დაუბანელო ევროპა? ევროპამ საქართველოს როგორ უნდა მიუთითოს რა არის სწორი და რა — არასწორი?

ანტიკურ სამყაროში ჰიგიენური პროცედურები ერთ-ერთი მთავარ სიამოვნებად ითვლებოდა, რომლის დასტური ცნობილი რომაული თერმებია (აბანოები). მხოლოდ რომში 1000-ზე მეტი აბანო ფუნქციონირებდა, თუმცა შემდეგ, კათოლიკურმა ეკლესიამ ყველა აბანო დახურა.

ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ ბანაობა სარისკოა, რადგან ბანაობისას ორგანიზმში ავადმყოფობა ხვდება კანის (ფორები იხსნება) მეშვეობით, თან ცივი წყალი აციებს ადამიანს — ეს მაშინ, როდესაც მდინარეში უამრავი სიბინძურე ისხმებოდა და ამავე მდინარიდან იღებდნენ სასმელ წყალს... იყო მეორე მიზეზიც, რაც უფრო ყურით მოთრეულს ჰგავს,


ევროპული რწყილსაჭერები


საპირფარეშო ევროპულ სასახლეში

სიშიშვლე ცოდვად ითვლებოდა, თუმცა ასე მოგვიანებით XVIII-XVIV საუკუნეებში ფიქრობდნენ. ცხელი აბაზანის მიღება მთლად არარეალური იყო — შეშა ძვირი გახლდათ, მისმა ძირითადმა მომხმარებელმა, ინკვიზიციამაც კი სხვა სახის მოკვდინებით ჩაანაცვლა ასე „საყვარელი“ სიკვდილით დასჯა, კოცონზე დაწვა...

უამრავი დოკუმენტური მასალაა ცნობილი დიდგვაროვნების შესახებ, რომლებიც დაუბანლობისგან გამოწვეული დაავადებებით გარდაიცვალნენ...

ესპანეთის დედოფალი იზაბელა კასტილიელის (XV საუკუნის ბოლო) სიტყვებია, რომ მან მხოლოდ ორჯერ იბანავა, დაბადებისას და ქორწილის დღეს;

ჰერცოგ ნორფოლკის სხეული დაუბანლობით გამოწვეული ჩირქოვანი გამონაყარით იყო დაფარული, თუმცა მაინც უარს ამბობდა ბანაობაზე, მხოლოდ მის ძლიერ დათრობაზე იყო დამოკიდებული მისი დაბანა რათა გონებადაკარგული ძალის გამოყენებით როგორმე დაებანათ მსახურებს;

რუსმა ელჩებმა, რომლებიც ლუდოვიკო XIV-ის კარს ეწვივნენ, ისტორიაში სამუდამოდ დატოვეს ფრაზა „მისი აღმატებულება ისე ყარს, როგორც მხეცი“. თვით რუსები მთელ ევროპაში გარყვნილებად და გადახრების მქონედ ითვლებოდნენ, რადგან თვეში ერთხელ (ზოგჯერ მეტი) მაინც ბანაობდნენ.

თუკი XV-XVI საუკუნეებში შეძლებული მოქალაქეები წელიწადში ორჯერ მაინც იბანდნენ, XVII-XVIII საუკუნეებში სრულიად შეწყვიტეს აბაზანის მიღება, მხოლოდ სამკურნალო მიზნით „იყენებდნენ“. ამ „საშინელი და სამარცხვინო“ პროცედურისთვის კი გულმოდგინედ ემზადებოდნენ — წინდაწინ ოყნასაც იკეთებდნენ... საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ემ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ იბანავა, ისიც იმიტომ, რომ ექიმებმა ურჩიეს, თუმცა ბანაობამ ისე შეაძრწუნა, დაიფიცა, რომ არასოდეს აღარ იბანავებდა...


დედოფლის აბანოს ნანგრევი მცხეთაში

კათოლიკე მქადაგებლები (გარდა იმისა, რომ სხეულის მოვლა ცოდვად ითვლებოდა) ხალხს მოუწოდებდნენ ძონძებში სიარულისკენ და დაუბანლობისკენ, რადგან მხოლოდ ასე შეიძლებოდა სულიერი სიწმინდის მიღება. ტილებს სულაც „ღმერთის მარგალიტებს“ უწოდებდნენ და სიწმინდის ერთ-ერთ ნიშნად თვლიდნენ... ცალკეული ორდენის წევრები იმით ტრაბახობდნენ, რომ არასოდეს შეხებია წყალი მათ ფეხებს გარდა მდინარეზე გადასვლისა...

იმდენად დაუბანელი იყო ხალხი, რომ ექიმი ბილცი XIX საუკუნის ბოლოს გამოცემული სამედიცინო სახელმძღვანელოთი სთხოვდა ხალხს რომ ებანავათ. „არიან ადამიანები, რომლებიც, სიმართლე უნდა ითქვას, ვერ ბედავენ მდინარესა თუ აბაზანაში ბანაობას, რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, არასდროს შესულან წყალში. ეს შიში უსაფუძვლოა. მე-5 ან მე-6 აბაზანის შემდეგ ამას შეიძლება მიეჩვიოთ,“ — წერდა ბილცი წიგნში „ახალი ხალხური მკურნალობა“, მაგრამ დაბანასთან დაკავშირებით ნაკლებად სჯეროდათ ექიმის...

სუნამო — ეს არის ევროპული მოვლენა, რეაქცია სუნზე. ცნობილი ფრანგული პარფიუმერიის თავდაპირველი ამოცანა იყო მძაფრი და მდგრადი სუნით გადაეფარათ ის სიმყრალე, რაც წლობით დაუბანელ სხეულებს ასდიოდა.

შუა საუკუნეების ევროპის სიბინძურის შესახებ ცნობებს იმდროინდელი სპარსეთის ელჩის მოგონებიც აღწერს. როდესაც ის ერთხელ (როგორც ჩანს, პირველად) სასახლეში მიიწვიეს ორი დღით, ელჩმა სასწრაფო მიზეზი მოიდო და სპარსეთის დელეგაციამ სასახლე დატოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ელჩმა საძინებლის მოფუსფუსე მწერებისგან ამოძრავებული ქვეშაგები (ლეიბი) იხილა. სასახლეში სტუმრობის შემდეგ დელეგაციის წევრებმა ტანისამოსები დაწვეს და თავები გადაიპარსეს...

მხოლოდ დაუბანლობა არ აყროლებდა ევროპას. „წინწაწეული“ ევროპული სასახლის „ტუალეტი“ უმარტივესი იყო — ყველაფერი ისხმევა ფანჯრიდან!

ევროპას „დაავიწყდა“ ჩარეცხვადი საპირფარეშოების არსებობა და კვლავ ღამის ქოთნებზე გადასხდნენ. მივიწყებული კანალიზაციის როლს ქუჩებში არსებული თხრილები ასრულებდა, სადაც „უშურველად“ მიედინებოდა აყროლებული მასა (საუკეთესო შემთხვევებში ოთახი-საპირფარეშო არსებობდა, მაგრამ იქაც ღამის ქოთნის გამოყენებით, ანუ იქ მოსაქმებულიც, ქუჩაში, ასევე თხრილში ან მდინარეში ილვერებოდა). ადამიანები ისაქმებდნენ იქ, სადაც მოუნდებოდათ, არ ჰქონდა მნიშვნელობა სასახლის კიბეები იყო თუ ციხე-სიმაგრის, აივანი თუ ეზო. ფრანგი მეფეების სასახლეში არ იყო არც ერთი საპირფარეშო, მეფის კარზე მყოფები და მეფეები იკუზებოდნენ ან გაღებული ფანჯრის ფართო რაფებზე, ან პირადად მათთვის მიჰქონდათ ღამის ქოთანი, რომლის შიგთავსიც, ჩვეულებრივ, სასახლის უკანა კართან ილვერებოდა. ფრანგული სამეფო კარი პერიოდულად გადადიოდა ერთი სასახლიდან მეორეში მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე შეუძლებელი ხდებოდა დღეების განმავლობაში საწოლების ქვეშ შემდგარი აქოთებული ღამის ქოთნების სუნის სუნთქვა.

იგივე ხდებოდა ვერსალშიც, მაგალითად, ლუდოვიკო XIV-ს დროს, რომლის ცხოვრების წესი კარგად არის ცნობილი სენ სიმონის მემუარებიდან. სასახლის კარის ქალბატონები უშუალოდ საუბრის დროს (ან ვთქვათ, კაპელაში თუ მესის დროს) დგებოდნენ და ვითომც არაფერი, რომელიმე კუთხეში ისაქმებდნენ. ამ „საჭიროებისთვის“ სასახლის კედლები აღჭურვილი იყო მძიმე პორტიერებით, კორიდორებში კი კეთდებოდა ყრუ ნიშები, არადა, შუასაუკუნეების ევროპისთვის კვებიდან გამომდინარე, დიარეა (კუჭის აშლილობა) პერმანენტული მოვლენა იყო...

მას შემდეგ, რაც ლუდოვიკო IX-ს (XIII ს) ფანჯრიდან ფეკალიები გადაასხეს, პარიზის მცხოვრებლებს ფანჯრიდან „რაღაცების“ ტყორცნის უფლება მხოლოდ სამჯერ შეძახილის „ფრთხილად!“ შემდეგ შეეძლოთ.

დედოფალ ანტუანეტას სასახლეში საგანგებო მსახურები ჰყავდა რომელთა მოვალეობა მხოლოდ განავლის ალება იყო...

ევროპის შუასაუკუნეების ციხესიმაგრეებს არ ჰქონდათ კანალიზაცია, მაგრამ ჰქონდათ გალავანი და წყლით ამოვსებული თავდაცვითი თხრილი — ამ თხრილში ისხმებოდა ფეკალიები. საფრანგეთში გალავნების მიღმა სიბინძურის გორაკები იმხელაზე იწევდა, რომ კედლის დაშენება უწევდათ.

ქალაქის ქუჩები იძირებოდა ჭუჭყსა და განავალში იმდენად, რომ უამინდობისას შეუძლებელი იყო გავლა. ჩვენამდე მოღწეული ქრონიკების მიხედვით, ევროპის ბევრ ქალაქში გამოჩნდა ოჩოფეხები, რომელთა გარეშე ქუჩებში უსაფრთხოდ გადაადგილება შეუძლებელი იყო.

დაუბანლობითა და მისგან გამოწვეული დაავადებების ისტორიით, ევროპას, ცხადია, ვერ შევედრებით ქართველები, ამ მხრივ რა „ჩამორჩენილები და ულმერთოებიც“ ვიყავით საუკუნეების მანძილზე, ჯერჯერობით ისეთებად ვრჩებით — ბოლო-ბოლო, აბანოების სიმრავლე გვარცხვენს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი აბანოები და საკანალიზაციო სისტემების ნაშთები იქით იყოს, შორეული წარსულიდან დღემდე დახარისხებულადაც კი გვაქვს აბანოები. მაგალითად: თორღვას აბანო, მენჯის სამკურნალო აბაზანები, ნუნისის, უჯარმის, წყალტუბოს აბაზანები, ახტალის ტალახის აბაზანები და ა.შ... ბოლო-ბოლო, შუაგულ საქართველოს დედაქალაქში, ევროპა რომ ჭუჭყისა და განავლის სუნად ყარდა, გოგირდის აბანოები გვქონდა და გვაქვს...

თბილისის აბანოები მოხსენიებული აქვს X საუკუნის არაბ გეოგრაფსაც კი, გაოცებულს სიტყვებით „აქ წყალი უცეცხლოდ დუღს...“ აბანოს სახელი მისი მფლობელის ვინაობას ასახავდა ან რაიმე ნიშან-თვისებიდან იყო გამომდინარე — „ერეკლეს აბანო“, „მეითრის აბანო“, „ენალას აბანო“, „როსტომის აბანო“, „გრილი აბანო“, „ჭრელი აბანო“, „პატრუქის აბანო“ და ა.შ

I საუკუნით დათარიღებული, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ქვისა თუ მარმარილოთი მოპირკეთებულ აბანოებში (არმაზი, ბიჭვინთა, ოზურგეთი, კახეთი, ქვემო ჭალა, ახალციხე და ა.შ) არც ბანაობა აუკრძალავს როდესმე ვინმეს და არც ინკვიზიციას გაუჩაღებია კოცონი...





იტალიის პარლამენტში ატეხილი კოცნაობა

2015 წლის 12 მაისს დასჯილი და რიგის სამიტის გადაწყვეტილებით შეურაცხყოფილი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამბობს: როგორც ახლა, ყოველწლიურად გადავიხდით 33 500 ევროს საკუთარი ჯიბიდან, მაგრამ „მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი!“ ხოლო, მიგვიღებთ თუ არა მაგ თქვენს რაღაც ევროკავშირში, რომელიც თქვენივე კავშირის წევრების თქმით დაშლის პირასაა, დიდად არ გვენაღვლებაო...

**გიორგი ჩხეიძე**

# ფუად ახუნდოვი: შეხედოს სომხეთმა, როგორი ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანელებს და ქართველებს და მიხვდებიან, როგორ უნდა მეგობრობა და მეზობლობა

**ბაქოში შევხვდით აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოლიტიკური გამოძიების სექტორის ხელმძღვანელს, ბატონ ფუად ახუნდოვს.**

**გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ფუად ახუნდოვთან, რომელიც სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის“ ჩაიწერა.**

**— ბატონო ფუად, გთხოვთ შეაფასოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დღევანდელი ურთიერთობები. მიხარია, რომ ჩვენ კვლავინდებურად ვმეგობრობთ.**

— მე ვფიქრობ, ჩვენსა და საქართველოს შორის ყველაფერი კარგად არის. რაც შეეხება სომხეთს, აქ საქმე სხვაგვარადაა. ისინი გამუდმებით გენოციდზე ლაპარაკობენ მაშინ, როცა ისტორიული ფაქტები, სინამდვილეში, სულ სხვა რამეზე მეტყველებენ.

აი, მე ახლახან დავიწყე სომხური საზოგადოების ინფორმირების კამპანია და მინდა გითხრათ, რომ სომხეთი უნიკალური ქვეყანაა. ავიღოთ ჩვენი რეგიონი. ის არაჩვეულებრივია. იქ ბევრი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. სომხეთი გარშემორტყმულია მრავალეროვანი აზერბაიჯანით, საქართველოთი, თურქეთითა და ირანით. ვერ შეძლებენ საწინააღმდეგო აზრი განავითარონ და ვერ მოგვიყვანენ მაგალითად ისეთ მონოეთნიკურ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია. იაპონიისგან განსხვავებით, რომელსაც გარს ოკეანე აკრავს, სომხეთი კუნძული არ არის. ის იზოლირებული ვერ იქნება. მისი მონონაციონალიზმი უპერსპექტივოა.

რაც ეხება ურთიერთობის დარეგულირებას.

ჩვენი მხრიდან პრობლემა არ არსებობს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია. სანამ სომხები არ გავლენ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ჩვენი მხრიდან პოზიტივები, ბუნებრივია, ვერ იქნება.

ცხადია, არა ვარ კონფრონტაციის მომხრე, მაგრამ, როგორც ზემოთაც გითხარით, მსურს სომხურმა საზოგადოებამ იცოდეს, და არა მხოლოდ სომხურმა საზოგადოებამ, რომ, ჩვენს რეგიონში, ჩვენი „მეგობარი“ სომხები, მთელი მე-20 საუკუნე სომხეთიდან დევნიდნენ აზერბაიჯანელებს, ანგრევდნენ კულტურულ ძეგლებს და ახლა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გადაწყვიტეს შექმნან „ახალი“ ქალაქი, რომელიც მე-19-20 ს-ების პერიოდს შეიცავს, რათა გაექცნენ შუა საუკუნეების აზერბაიჯანულ-მუსულმანურ ისტორიას, რაც თვალნათლივ არის ასახული ქალაქ ერევანში.

**— წარმოიდგინეთ, რომ ეს ჩემთვის ახალი ინფორმაციაა.**

— დიახ, ახლანდელი სომხეთი აზერბაიჯანის ერევნის სახანოს მიწებზე არის შექმნილი, მაგრამ ჩვენ, სომხებისგან განსხვავებით, არ ვუყენებთ მათ ტერიტორიულ პრეტენზიას და გვინდა, რომ სომხეთის ხელისუფლებამ შეინახოს მის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც, რა თქმა უნდა, სომხურ კულტურას არ მიეკუთვნება.

**— რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა ცნობა საქართველოში არსებულ იმ 442 ეკლესია-მონასტრის შესახებ, რომელთა**



**სომხური კულტურის ძეგლებად აღიარებას სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას სომხური მხარე.**

— მათი შეხედულებით, როგორც აზერბაიჯანში არის სომხური კულტურის ძეგლები, ასევე არის საქართველოშიც.

ისტორიის ფალსიფიკაცია სჩვევიათ სომხებს. ეს მათი მთავარი პრობლემაა.

**— აღწევენ ამით რაიმეს?**

— ამით მიაღწიეს იმას, რომ საქართველო და აზერბაიჯანი უფრო მეტად შეკავშირდებიან, ხოლო თვითონ დარჩებიან აზერბაიჯანული მიწების მითვისების ოცნებაში. დიახ, მათ თვალი უჭირავთ საქართველოს და თურქეთის მიწებზეც.

გასაგებია, რომ აწუხებთ „დიდი სომხეთის“ იდეა, მაგრამ მოაზროვნე სომეხი ხალხი თანდათან უკვე ყველაფერს ხვდება. ინტერნეტში უამრავი ინფორმაციის მოძიება შეიძლება.

**— ბატონო ფუად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში, როგორ ვითარდებოდა აზერბაიჯანი, რთული იყო თქვენთვის ეს წლები? ბაქოში, გარეგნულად, ყველაფერი მშვენივრადაა, ეს აზერბაიჯანელი ხალხის დამსახურებაა თუ სწორად არჩეული სახელმწიფო პოლიტიკის?**

— მე სტუდენტი ვიყავი, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა მაშინ, რომ 21-ე საუკუნეში ჩვენი ქვეყანა ასეთ წარმატებებს მიაღწევდა დამოუკიდებლად. რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობა, საკუთარი ქვეყნის პატრონობის უფლება და საშუალება, ეს ძალიან დიდი სიმდიდრეა აზერბაიჯანისთვის და საქართველოსთვისაც.

სხვა საქმეა, როცა სისტემა დაინგრა, ის ცუდად მუშაობდა თუ კარგად, ამაზე არ ვსაუბრობ, მთავარია, რომ ის მუშაობდა. არსებობს ასეთი ჩინური გამონათქვამი — გეცხოვროს გარდამავალ პერიოდში. ეს ნიშნავს, რომ გარდამავალ პერიოდში იქნება სიძნელეები. ცხადია, ეს რთულია, რა თქმა უნდა. კარგია ქვეყნებს შორის ერთიანობა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ჩვენი სურვილი ვყოფილიყავით დამოუკიდებელნი, ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგვიხდა. დღეს აზერბაიჯანი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს.



**— საქართველო აქტიურად მიდის ევროსტრუქტურებსა და ნატოში გაწევრიანებისკენ. თქვენთვის რა არის მეტად პრიორიტეტული — ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია, სომხეთის მსგავსად ევრაზიული სივრცისკენ ლტოლვა თუ სრული დამოუკიდებლობა?**

— ჩვენ ვცდილობთ, ვაწარმოოთ ჰარმონიული პოლიტიკა, რათა ყველა ორგანიზაციასთან ასეთივე ჰარმონიული ურთიერთობა გვქონდეს, როგორც ჩვენს მეზობელ საქართველოს. ყველანაირი ორგანიზაცია, რომელიც არ ვნებს აზერბაიჯანს, ჩვენთვის მისაღებია.

**— მე ვხედავ და თქვენი ქვეყნის უფრო ღრმად მცოდნენიც აღიარებენ, რომ დამოუკიდებლობის წლებში აზერბაიჯანმა ბევრ წარმატებას მიაღწია. ეს თქვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების დამსახურებაა თუ არის კიდევ სხვა რამ, რამაც ქვეყნის გლობალური წინსვლა განაპირობა?**

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ მიმოიხედეთ ირგვლივ, ბევრს აქვს ბუნებრივი რესურსები, მაგრამ მდიდარი ქვეყნები არ არიან. ჩვენს ქვეყანას აქვს სწორი პოლიტიკა, ბუნებრივი რესურსების მართვის სწორი სტრატეგია, სწორი და სამართლიანი დამოკიდებულება მეზობლებისადმი.

მიმაჩნია, რომ ჩვენი წარმატების ერთ-ერთი ფორმულა სწორედ მეზობლებთან დამოკიდებულებაა.

შეხედოს სომხეთმა, როგორი ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანელებს და ქართველებს და მიხვდებიან, როგორ უნდა მეგობრობა და მეზობლობა.

სომხებს საქართველოს შავიზღვისპირეთისკენაც აქტიურად უჭირავთ თვალი, რამდენადაც ვიცი. გაიხსენეთ, როგორ იბრძოდნენ აფხაზეთში და ახლა იქ, თურმე, უფრო მეტი სომეხი ცხოვრობს, ვიდრე თვით აფხაზი. ეს შემთხვევითი არ არის. დიახ, ოფიციალური ცნობები არსებობს ამის შესახებ.

მე ანტისომეხი არ ვარ, უბრალოდ, ვლაპარაკობ იმას, რაც სიმართლეა.

ამიტომაც, ამ კუთხით, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ. შევკრიბოთ მეცნიერ-მკვლევარები და ისტორიულ სიმართლეზე ვილაპარაკოთ.

ჩვენ დამოუკიდებლად ვმართავთ ჩვენს ქვეყანას და ამიტომაცაა ჩვენი დამოკიდებულება გვაქვს საქართველოსადმი, თურქეთისადმი და სხვა ქვეყნებისადმი. დავუშვათ, რაიმე არ მოეწონა თურქეთს ან საქართველოს ჩვენს მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯებისგან, პასუხი იქნება: იცით, ძმებო, გვაპატიეთ, ჩვენ გვაქვს ჩვენი პოლიტიკა. ყველა გვიგებს ამას, რუსეთიც კი. თურქეთიც, წარმოიდგინეთ, ირანიც ანგარიშს გვიწევს. ჩვენ შესანიშნავი პოლიტიკური კურსი გვაქვს, არ გამიგოთ ისე, თითქოს ვეფერებოდე ჩვენს პრეზიდენტს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: ჩვენ ძალიან კარგი პრეზიდენტი გვყავს, მისი რეიტინგი ქვეყანაში 80%-ზე მეტია. ჩვენი ეკონომიკა იზრდება: ერთ ადამიანზე სამი მანქანა მოდის. ილჰამ ალიევი ზრუნავს აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე და შედეგიც ისაა, რომ მას მხარს უჭერს მოსახლეობის დიდი ნაწილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელი ხალხის საერთო-ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ გაკვალულ გზას გაჰყვა ილჰამ ალიევი და გააკეთა ყველაფერი ქვეყნისთვის, რაც კი შესაძლებელი იყო. მაქსიმალურად მოისპო ქვეყანაში კორუფცია. ყველა სტრუქტურა ასევე მაქსიმალურად კომპიუტერიზებულია.

**— რამდენიმე კვირაში ბაქოში სტარტს აიღებს ევროპული თამაშები. როგორც ვიცით, აქტიურად ემზადებით. კონკრეტულად რას იტყვით ამ სამზადისის შესახებ?**

— სპორტი და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები ყოველთვის დღესასწაულია. ჩვენი ქვეყანა მზადაა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას მაღალ დონეზე შეხვდეს. პირველი ევროპული თამაშებისთვის მზადების პერიოდში ყველა თანამედროვე და მოწინავე ტექნოლოგია გამოვიყენეთ, ისეთებიც კი, რომლებიც მანამდე არც იყო გამოყენებული. ვიმედოვნებთ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩატარდება. გულღიად ვუმასპინძლებთ როგორც სპორტსმენებს, ასევე ტურისტებსაც და გულშემატკივრებსაც ევროპული თამაშების ოლიმპიადაზე აზერბაიჯანში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვნებათაღელვა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და მინისტრი მწყაზარი სახით




ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და განათლების მინისტრის აშკარა დაპირისპირების ფონზე, ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი დაინტერესდა. მოპოვებული დოკუმენტების ანალიზიდან გაირკვა, რომ ხეც-ის თანამშრომლების შრომის ანაზღაურება შეუსაბამოა საქართველოს საჯარო სექტორში არსებულ სახელფასო პოლიტიკასთან და ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საქართველოს საჯარო სექტორში. შედარებისთვის, ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ცენტრისა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა უწყებების სახელფასო ნუსხა, რომლითაც ირკვევა, რომ სსიპ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო 490 ლარს შეადგენს , ხოლო მინიმალური - 175 ლარია. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სხვა უწყებებში (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და ა.შ) მინიმალური ხელფასი 700-დან 900 ლარამდე მერყეობს, ხოლო მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო თითქმის 3000 ლარს აღწევს.

სანამ საზოგადოება და არასამთავრობოები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა ხელფასებს ითვლიდნენ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილი ცხრა კაციანი კომისიიდან შვიდმა წევრმა (ცენტრის კოლექტივის რეკომენდაციის იგნორირებით) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორად ისტორიკოსი და ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი ზაზა აბაშიძე აირჩია. ამავე დროს ცნობილი ხდება, კომისიის მუშაობაში საკანონმდებლო ორგანოს წევრების ჩარევის შესახებ. „ჩემთვის სრულიად გასაოცარი იყო, რომ კომისიას ესწრებოდა სამი პარლამენტარი გუბაზ სანიკიძე, ფრიდონ საყვარელიძე და გია ჟორჟოლიანი. როგორც ამიხსნეს, პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ კომისიას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ განხილვაში მონაწილეობის უფლება. ბატონმა სანიკიძემ დაარღვია წესი და მიიღო მონაწილეობა განხლვაში. მან თავისი კომენტარები დატოვა, როცა კომისია ესაუბრებოდა აბაშიძეს. ამან ჩემზე დატოვა ძალიან უარყოფითი შთაბეჭდილება — განაცხადა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა და რუსთაველის ფონდის ხელმძღვანელმა **მარინა ჩიტაშვილმა**.

მალე ცნობილი ხდება, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი დირექტორმა ბუბა კუდავას მხარდამჭერ თანამშრომლებთან მუშაობაზე და შესაბამისად, თანამდებობაზე უარი განაცხადა. “არავითარი სურვილი არ მაქვს ამ ინსტიტუტში შევდგა ფეხი. არ უნდათ თანამშრომ-



მარინა ჩიტაშვილი

ლებს და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ის რაც აქვთ. მე რა საკვირველია ხვალ სამსახურში არ მივალ. მუხლის ჩოქვით რომ მოვიდნე,ნ მე იქ ფეხს არ შევდგამ,’’- აცხადებდა ზაზა აბაშიძე რამდენიმე დღის წინ, თუმცა გადაწყვეტილება მალევე შეცვალა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურებაზე, საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლაზე და სამომავლო გეგმებზე ***„საერთო გაზეთს“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე ესაუბრა:***

— არ ვიცი, ეს ყველაფერი საიდან დაიწყო და რა გახდა ბუბასა და სამინისტროს შორის კონფლიქტის მიზეზი, მაგრამ ვიცი, ეს არ უნდა განმეორდეს და ქვეყნის უმთავრეს სამეცნიერო დაწესებულებას ასეთი სასაცილო ხელფასები არ უნდა ჰქონდეს. ამაზე უნდა ვიზრუნოთ. როცა მინისტრს და მინისტრის მოადგილეს შევხვდი, პირველ რიგში ამაზე ვისაუბრეთ და მითხრეს, რომ მთავრობა მიიღებს ყველა ზომას, რომ აუცილებლად გაიზარდოს ბიუჯეტი და მათ შორის, სახელფასო ფონდიც. მე ფინანსისტი არა ვარ, მაგრამ იქ ფინანსისტებთან და აუდიტის წარმომადგენლებთან ერთად მივალ, რომ საქმის კურსში ვიყო, რა არის და როგორ არის. რომ მერე ფინანსთა სამინისტროს ჩემი ხედვა უნდა წარვუდგინო.



ზაზა აბაშიძე

**— კონფლიქტი, რომელის გამო ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე უარი განაცხადეთ, უკვე ამოწურულია?**

— მე უკვე ვიყავი ინსტიტუტში და თანამშრომლების დაახლოებით 70% შევხვდი. ამ ადამიანებს ავუხსენი, რომ მე არავითარ კავშირში არა ვარ ბუბას იქიდან წასვლასთან არც იმ კონფლიქტთან, რომელიც იქ იყო. მე „გარედან“ მოსული პიროვნება ვარ და ამდენად, ეს ჩემთვის მართლა უცნობია. მართალი გითხრათ, არც მინდა ამ კონფლიქტის სიღრმეებში შევიდე და ვიღაცის მხარი დავიჭირო ან არა.

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში განვითარებულ მოვლენებზე საკუთარი მოსაზრების გაზიარება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერს მანანა ნაჭყებიას** ვთხოვეთ:

—მე გულდასმით შევისწავლე ორივე მხარის არგუმენტები და დარწმუნდი იმაში, რომ რაც ბუბა კუდავას ირგვლივ ხდება, ეს არის მის მიმართ რაღაც ტიპის პრეტენზიები. ეს არის დაუმორჩილებელი ადამიანი, რომელმაც მინისტრის სამწუხაროდ, გააკეთა ის განცხადება, რომელიც გააკეთა და ამას მოჰყვა მისი გადაადგილება.

**— თამარ სანიკიძე კუდავას თანამდებობიდან გათავისუფლებას უარყოფს და ამბობს, რომ ეს საკადრო ცვლილება უფლებამოსილების ვადის ამოწურვით იყო გამოწვეული.**

— შესაძლოა, თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაუვიდა, მაგრამ ჩვენ არაერთი ადამიანი ვიცით, რომელსაც უფლებამოსილების ვადა გაუვიდათ და თავიდან აირჩიეს. სამწუხაროდ, იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან, დაავიწყდათ ავტონომიურობა, რომლისთვისაც ვიბრძოდით და დღეს ვართ სრულიად აბსურდული სიტუაციის წინაშე, როცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს ირჩევენ მინისტრი, მისი მოადგილეები და კომისიის წევრები, რომლებიც ამ სიტუაციაში მხარეს წარმოადგენენ. მეორე მხარეს გვაქვს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყველა თაობის თანამშრომელთა პროტესტი. ხანდაზმული თაობის გვერდით დგას ახალგაზრდა თაობა, რომელიც ბრძოლისთვისაა შემართული. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექტივში ჩვენ ვხედავთ ერთსულოვნებას და ამ დროს განათლების მინისტრის მშვიდი და მწყაზარი სახით განცხადებების კეთება სრულიად მიუღებელია. თამარ სანიკიძის საუბარში არ ჩანს გულისტკივილი ან თანაგრძნობა ამ ადამიანების მიმართ. ჩვენ კი გვინდა მინისტრი, რომელსაც დარგზე და თითოეულ თანამშრომელზე გული შესტკივა. მინისტრის პოზიცია ეჭვს აჩენს, რომ დავალებული აქვს ცენტრიდან მოაცილოს ადამიანი, რომლის ძმაც არის საქართველოს ყოფილი ელჩი საფრანგეთში და ერთმნიშვნელოვნად, ნაციონალური მოძრაობის მომხრე.

**— ცენტრის დირექტორის შესარჩევი კომისიის მუშაობის პროცესში პარლამენტარების გამოჩენას როგორ შეაფასებდით?**

— მე მინდა ვკითხო გუბაზ სანიკიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დღეს პარლამენტშია, იმისთვის ვიბრძოდით, რომ პარლამენტის წევრმა გადაწყვიტოს ვინ იყოს ამა თუ იმ ინსტიტუტის თუ ცენტრის დირექტორი და ვინ არა? პარლამენტი ქმნის კანონებს, რომელიც ძალიან ცუდი და სრულიად მიუღებელია სამეცნიერო დაწესებულებებისთვის და არამც და არამც არ ერევა კადრების შერჩევაში. ყველას გვაქვს იმდენი გონებრივი შესაძლებლობა, რომ რაღაც ქმედების უკან დავინახოთ პოლიტიკური ნიშნები, ამიტომ მგონის, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და და სანიკიძე და სხვები იყვნენ მისი აღმსრულებლები.

**— მე ვესაუბრე ზაზა აბაშიძეს, რომელმაც მითხრა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობისგან მიიღო ცენტრის ბიუჯეტისა და სახელფასო ფონდის გაზრდის პირობა. თქვენი აზრით, რატომ გახდა ამისთვის აუცილებელი ცენტრის დირექტორის შეცვლა?**

— ძალიან გული მწყდება, რომ ზაზა აბაშიძე ამ გაუგებრობაში მოხვდა. იმიტომ, რომ მიყვარს ეს ადამიანი, პატივს ვცემ და არ მინდა, რომ მან თავისი მოღვაწეობა



მანანა ნაჭყებია

და ძალიან საინტერესო საქმიანობა დაამთავროს იმით, რომ საზოგადოების ნეგატიური განწყობა დაიმსახუროს. სრული აბსურდია. თუ ბუბა კუდავა თანამშრომლების ხელფასებს „ჭამდა“, მაშინ თანამდებობიდან კი არ უნდა გაეშვან, უნდა დაიჭირონ, მაგრამ ცხადია, ეს ასე არ არის და კუდავა თანამშრომლებს იმას აძლევდა იმას, რაც ბიუჯეტში იყო. აბაშიძის განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კუდავა ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო. მას, როგორც პოლიტიკურ ოპონენტს ბიუჯეტს არ უზრდიდნენ და მისი გაშვების შემდეგ ეს პრობლემა მოხსნილია. სულ არ მაინტერესებს კუდავა იქნება თუ სხვა, ვისი გულშემატკივარია. მთავარია, საქმე გააკეთოს და საერთოდ, ის, რომ ნაციონალური მოძრაობა დღესაც ცოცხლობს მთლიანად ამ ხელისუფლების დამსახურებაა.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ცენტრის ყოფილ დირექტორთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმცა ბუბა კუდავას მობილური ტელეფონი მომსახურეობის ზონიდან გასული აღმოჩნდა.



თამარ სანიკიძე

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...“

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი ადამიანის ძირითად უფლებას და თავისუფლებას ეხება. პირობითად ეს უფლებები ადამიანის სოციალ- ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებს ასახავს და საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა დაცული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (ვგულისხმობთ 2000 წლიდან ამოქმედებულ კოდექსს), მთავარ ღირებულებად სწორედ ეს თავი იქნა მიჩნეული და დღესაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სწორედ ის უფლებებია დავის საგანი. სიცოცხლის, ჯანმრთელეობის და პირადი უფლებების ფონზე უმთავრეს პრიორიტეტად ადამიანის ღირსება და პატივი მოიაზრება.

ანდა როგორი შესანარჩუნებელია ღირსება, როცა წერია ერთი და კეთდება მეორე. ხშირად ისე წერია, რომ ბუნდოვანია, რეალობას მოწყვეტილია, უცხოურ ჰაიდლაინებზე აგებული, სისტემიდან ამოვარდნილია და არც კომენტარი გააჩნია.

ხომ არ წარმოადგენს არსებულის ჰარმონიულ გაგრძელებას, შეფუთული, კარგად შელამაზებული, კოჰაბიტირებული ფორმით.



ქვეყნის პოლიტიკა, სიძლიერე, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი რეალურად მოქმედი კანონებით განისაზღვრება. კრიტიკა დიდი იყო, მაგრამ მიდგომები იგივეა.

ვფიქრობ, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცლილებათა პაკეტით უნდა დაგვეწყო. სამართალდამცავ სტრუქტურებში მოჩვენებითი ცვლილებები აბსურდამდე მიგვიყვანს და არც ჩიხში შესვლაა გამორიცხული, თუ საკანონმდებლო კუთხით რეალური ცვლილებები არ იქნა მიღებული.

ე.წ. ლიბერალიზაციის პოლიტიკა ყბადაღებულ თემად შემოგვრჩა, უბრალოდ, ქაღალდზე დაწერილი — საბჭოთა პერიოდივით.

სინამდვილეში, სასჯელის დანიშვნისას შეუძლებელია რაიმე შეღავათზე ფიქრი და აქ თავი და თავი ისევ საკანონმდებლო მოცემულობაა. საპროცესო შეთანხმების გარეშე ისევ შეუძლებელია მინიმუმის ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა, პირობითი მსჯავრის გამოყენების წესი კვლავ ტაბუდადებულია და განსაზღვრულ პირობებსა და კრიტერიუმებს მოითხოვს, რაც მოსამართლის დამოუკიდებლობას ზღუდავს. ამას ემატება მოსამართლეზე ე.წ. მართლმსაჯულების ინსპექტორის ზედამხედველობის შემოღება, რაც სასამართლო რეფორმის ერთ–ერთი ეტაპითაა განსაზღვრული. სად არის კონსტიტუციით გათვალისწინებული მოსამართლის დამოუკიდებლობა და პრინციპი. არავის ძალუძს ანგარიში ჩამოართვას მოსამართლეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე. რატომ არ გააუქმეს აღნიშნული მუხლი,რომელიც 2005 წლიდან მოქმედებს?!

კანონის უკიდეგანო ინტერპრეტაცია არ შეიძლება უსაზღვროდ გაიზარდოს და გაფართოვდეს.

ამის ახსნა ასეთი კუთხით მთავრობის წარმომადგენლებს აძლევს ხელს, რამდენადაც საზოგადოება დაბნეულია. ზოგი სასამართლოსკენ იშვერს ხელს, ზოგი — პროკურატურისკენ.

ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარე ჩაქუჩის კაკუნით პოზირებს. სათქმელად კარგი ალიბი აქვთ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონპროექტი.

სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შერწყმა სიტუაციას ვერ ცვლის. იქნებ რჩევები ეროვნული სულისკვეთების მოაზროვნე მეცნიერთათვის ეკითხათ და არა სნობიზმით დაავადებული პირებისთვის. -მუდამ კუდის მოქიცინე ე.წ. ვაიმრჩევლებისთვისდა?ავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოში სპეციალიზებული პოლიციელები, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები გამოიძიებენ და განიხილავენ არასრულწლოვანთა საქმეებს. ახალი კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში აერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულებისა და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს და აწესებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ახალ სტანდარტსა და მექანიზმს, რომელიც ევროპული სტანდარტებისა და გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის შესაბამისია.

აღნიშნული კოდექსის თანახმად, პირველ რიგში, განიხილება არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების შესაძლებლობა. განრიდების ღონისძიება გულისხმობს: წერილობით გაფრთხილებას, მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდას და საზოგადოების სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულებას. მნიშვნელოვანია, განრიდების პროცესში არ მოხდეს ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც ხელს შეუშლის არასრულწლოვანის ნორმალურ სასწავლო პროცესში მონაწილეობას.

უცვლელი რჩება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, რაც ისევ 14 წლით განისაზღვრება. სისხლის სამართლის დევნასთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულების, მედიაციისა და განრიდების (თუ პირი ჩაიდენს ნაკლებად მძიმე, ან მძიმე დანაშაულს, პროკურორს გააჩნია უფლებამოსილება, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა გარკვეული პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში) ინსტიტუტს. “პატიმრობის, როგორც სასჯელის ფორმის, გამოყენება არასრულწლოვნებთან მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი და მისი მაქსიმალური ზომა 10-15 წლით განისაზღვრება. არასრულწლოვან პატიმართათვის ბრალდებულად ყოფნის ვადა 9-დან 6 თვემდე მცირდება. ახალი კოდექსის მიხედვით, ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე, ბავშვისათვის პატიმრობის ვადა 60-დან 40 დღემდე მცირდება. ნასამართლეობა კი მოიხსნება სასჯელის მოხსნისთანავე. “თუმცა, თუ ადრე გასამართლებული არასრულწლოვანი დანაშაულს განმეორებით ჩაიდენს, სასჯელის დანიშვნის დროს, მისი ნასამართლეობა მხედველობაში მიიღება. შესაბამისად, კოდექსის მთავარი მიზანი

არასრულწლოვანთათვის რესოციალიზაციის შანსის მიცემაა.” — ნათქვამია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში.

.არასრულწლოვანთა მიმართ ძირითადი ცვლილება და გარდატეხა, 2010 წელს მიღებულმა მედიაციისა და განრიდების პროგრამამ შეასრულა. თუკი არასრულწლოვანთა რეალური მდგომარეობა ვინმეს გულით დააინტერესებს, საკითხი მტკინვეულობას და უმძიმეს დანაშაულებს ეხება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტი ამ საკითხთან მიმართებით დაუხვეწავი და გაუგებარია. პირობითი მსჯავრის გამოყენების წესი გაურკვეველ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. თუკი ამდენი თანხა ენერგია და დრო იხარჯებოდა ხომ არ იქნებოდა უპრიანი პროექტში ხაზგასმით მიეთითებინათ პირობითი მსჯავრის გამოყენების კონკრეტული პირობები,ვიღაცას ისევ კანონის უსაზღვრო ინტერპრეტაციის იმედი აქვს ეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც თითოეულ მოსამართლეს თავზე ინსპექტორი ედგება თუკი მოსამართლე არსებული ხელისუფლების ნებას არ შეასრულებს საოცარი დისციპლინური დევნა ელოდება.რეალობა ერთია, დღევანდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გულწრფელი ინტერვიუებით თავს იწონებს და პირადი საკითხებიც თითქოს არც აინტერესებს მხოლოდ მართლმსაჯულების დახვეწის ინტერესით არის დაკავებული. თუმცა ინტერვიუებში კარგად ჩანს, როგორ ელოდება სტრასბურგის გადაწყვეტილებას და პრივატული თემებით დაინტერესებული, არც სტრასბურგის დელეგაციას ელოდება გულგრილად, არადა, საზოგადოებისთვის ცნობილია,რომ თავი და თავი საკანონმდებლო ნონსენსია და რომელიც საკანონმდებლო ორგანომ უნდა გამოასწოროს იმ პარლამენტმა, რომლის თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის ყოფილი პოლიტიკური პარტიის ლიდერი გახლდათ და რომელიც დასავლეთიდან იმართება. სირთულეების შექმნის შემთხვევაში კი საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად დანიშნული მოსამართლის მერაბ ტურავას იმედი აქვთ. კაცის, რომელმაც თავისი სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელები-





ლი გახლდათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, არადა, მთავარი პრიორიტეტი მიანიჭეს პრინციპს - თავისუფლების აღკვეთა სასჯელის უკიდურესი ზომა, თუმცა ბუნდოვანია რას იზამს ტრინინგ გავლილი პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე, როცა საკითხი მკვლესას კანონს თავისებური ინტერპრეტაცია მართლაც მისცა და ბრალის განსაზღვრება თავის საქმიანობას მოარგო და გერმანული სამართლებრივი დოქტრინებით გაჯერებული სისხლის სამართალი შემოგვთავაზა, რომელიც აბსოლუტურად მოწყვეტილია ქართულ სინამდვილეს. მალე კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდება საზოგადოებას სტრაბურგში მოღვაწე ევროსასამართლოს მოსამართლე ნონა წოწორიას ვადა გასდის,საინტერესოა, რესპუბლიკელებს იგი სტრასბურგში უფრო სჭირდებათ თუ აქ! რამდენიმე სიტყვით ისევ არასრულწლოვანთა კოდექსის პროექტის შესახებ.

ძველი ქართული სისხლის სამართლის ძეგლებიდან მომდინარე, სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყანას — საქართველოს ტრადიციების არმქონე, სხვადასხვა სახელმწიფოთა სამართლიდან ამოგლეჯილი, გადმოქართულებული ნონსენსური სამართალი დაუმკვიდრეს.

ეს დავალება იყო თუ ვიღაცის ახირებული სურვილი? საოცარია, თუ შევცლას ითხოვდა, რა საჭირო იყო ასეთი ყბადაღებული კრიტიკა განვლილი წლებისა. საზოგადოებისთვის მარტივად აეხსნათ, რომ არასრულწლოვნების მიმართ საკანონმდებლო პრობლემები არსებობდა. რატომ ზაფრავდნენ მწვავე თემების გაშუქებითა და არასრულწლოვანთა გვარ-სახელების იდენტიფიცირებით თავად მოზარდებსა და საზოგადოებას?!

კარგია ოპონირება და ოპოზიციაში ყოფნა, მაგრამ თუკი მაინცა და მაინც ცვლილება საჭირო გახლდათ, ორი კოდექსის შერწყმა, არა მგონია, შველოდეს საქმეს. რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესს, დაზარალებული, როგორც პროცესის მონაწილის სუბიექტის ამოღებამ სისხლის სამართლებრივი პროცესიდან, თითქოს რეალურად შეასუსტა დაზარალებულის ინტერესი.

ხშირად მიფიქრია, სად წავიდნენ ამდენი გარდაცვლილის, ქონებრივად და მორალურად დაზარალებულის გულშემატკივრები.

ისინი დროებამ და კანონმა გააქრო და საბოლოოდ არაფერი შეგვრჩაა ხელში.

ასეთ საკანონმდებლო ფონზე არ დაგვავიწყდეს ევროპული ტერმინები — გამოხატვის თავისუფლება, აზრის თავისუფლება და მისთანები. თუმცა გვავიწყდება ღირსება, რომელიც ქართველ ერს დღემდე კბილებით უჭირავს და თუნდაც სიცოცხლის ფასად არავის დაუთმობს.

**ქეთევან ზარნაძე**

# ვინ არის კაცი, რომლის ტვინშიც 200 000 კალენდარია თავმოყრილი?



*გთავაზობთ ინტერვიუს გასაოცარ ფენომენზე დავით ქობალიაზე, რომელიც მეხსიერებაში ათასობით კალენდარს იტევს. მას შეუძლია გითხრათ ასობით და ათასობით წლის წინ მომხდარი მოვლენა კვირის რომელ დღეს ემთხვევა.*

*დავით ქობალიას არ აქვს არავითარი მათემატიკური განათლება, მეტიც, მას მხოლოდ საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული და, როგორც თვითონ ამბობს, სკოლაშიც არ იყო წარჩინებული.*

*მისი მონათხრობი იმდენად არაორდინარული და უცნაურია, ზოგიერთმა, შეიძლება, არც დაიჯეროს, მაგრამ ფაქტია, დავითს შეუძლია გვითხრას, მაგალითად, 5015 წლის 27 მაისი კვირის რა დღე იქნება.*

*წაიკითხეთ ინტერვიუ და თქვენც ამ სასწაულის მომსწრე გახდებით.*

– ჩემს მეხსიერებაში 200 000 კალენდარია – 100 000 ახალი სტილის და 100 000 ძველის სტილის.

ჯერ შემოვიდა მე-20 და 21-ე საუკუნის კალენდარი, 1901-დან 2010 წლამდე. პირველი კალენდარი რომ შემოვიდა, ოთხი წლის ვიყავი.

**– ვერ გავიგე, რას ჰქვია „შემოვიდა“?**

– რაღაც ხმამ მითხრა: ასეთი და ასეთი ინფორმაცია უნდა ჩაგიდო თავშიო.

**– რა ტიპის ხმა იყო?**

– ხმა არ მესმოდა, მაგრამ გონებაში, როგორც აზრი გაიელვებს, ისე მოძრაობდა ეს ინფორმაცია. პირველად რომ მითხრა, მაშინ ოთხი წლის ვიყავი და რა თქმა უნდა, ვერ აღვიქვი ყველაფერი. ამიტომ შემდეგ, უკვე რვა წლის ასაკში, კვლავ იგივე ინფორმაცია შემოიჭრა ჩემს ცნობიერებაში. ეს ჩემი ნებით არ ყოფილა, თავისთავად მოდიოდა აზრი და ვიღაც თვითონ მაძალებდა მიმექცია ამისთვის ყურადღება. როგორც მასწავლებელი გადმოსცემს ინფორმაციას, ისე მაძლევდა „ის“ ცოდნას.

**– ეს „შემოსვლები“ რაიმე განსაკუთრებული ფიზიკური მდგომარეობის დროს ხომ არ ხდებოდა? მაგალითად, ან ავად ყოფნის დროს, ან ძილის ან ტემპერატურის მომატების მომენტში?..**

– არა, მისთვის განსაკუთრებულ მდგომარეობას არ ჰქონდა მნიშვნელობა. ის „მუშაობდა“ ჩემს ტვინზე, ოღონდ ჩემს ფხიზელ ტვინზე. ძილის დროს ასეთი რამ არასდროს მომხდარა.

რვა წლის ასაკში დიდი ინფორმაცია შემოვიდა და თუმცა მე მაშინ პატარა ვიყავი, ვხედავდი მეხსიერებაში ნაკადად როგორ შემოდიოდა დალაგებული კალენდრები.

**– ასეთი რამ რომ ხდებოდა, მშობლებს არ უთხარით?**

– დავაპირე თქმა, მაგრამ ხმამ მითხრა: ჯერ გაჩუმდი, ბოლომდე არ არის კალენდრები შემოსულიო.

მას მთლიანად შესწავლილი ვყავდი. იცოდა, როგორი ხასიათის ვიყავი, რა გონების და შესაძლებლობების ადამიანად გავიზრდებოდი.

კალენდრები ვისთვის უნდა მიეცა, ესეც დაგეგმილი ჰქონდა წინასწარ. ეს კი არა, რას როდის ვკითხავდი, ისიც იცოდა. მითხრა, ანუ ინფორმაციულად გამესაუბრა: მთელ დედამიწაზე ვეძებდი ადამიანს, ვისთვისაც ეს უნდა მიმეცა და ყველაზე მეტად შენი ბუნება და ხასიათი მომეწონაო.

**– როგორ ფიქრობთ, რა გაქვთ ისეთი, რის გამოც მხოლოდ თქვენ ამოგირჩიათ?**

– არ ვიცი, მეც მიკვირს. *(ეცინება.)*

**– დავით, თქვენი აზრით, ყოველივე ეს ღვთისგან არის?**

– კი, ასე ვფიქრობ. პატრიარქმაც მითხრა: ეს ღმერთისგან არისო. მეც მიკვირს, რატომ მომცა ღმერთმა კალენდრების ცოდნა.

გავაგრძელებ: ინფორმაცია შემოდიოდა დოზებით.

1978 წლიდან 1980 წლამდე ნელ-ნელა შემოდიოდა, რადგან ასაკით პატარა ვიყავი და გონება ბევრს ვერ დაიტევდა.

ერთხელ ჩემს თავს ვუთხარი: რას ავიჩემე ეს კალენდრები-მეთქი და ამის გაფიქრებისთანავე გავშეშდი, ნაბიჯიც ვერ გადავდგი.

**– მაშინ რამდენი წლის იყავით?**

– 17 წლის. მერე უკვე ერთბაშად შემოვიდა ხუთი კალენდარი, ამჯერად, ჯარიმად. *(იცინის.)*

სკოლაში კარგად არ ვსწავლობდი. თითქმის მუდამ კალენდარზე ვფიქრობდი. მასწავლებლები დედაჩემს იმასაც კი ეუბნებოდნენ სხვა სკოლაში გადაიყვანეთო.

უხილავი ხმა კი მეუბნებოდა: არა უშავს, გავა დრო, შენს შესახებ ყველა გაიგებს, გაზეთები შენზე დაწერენ და მაშინ ხომ მიხვდებიან მასწავლებლები, რომ თავის დროზე თვითონ ცდებოდნენო.

სკოლა გალში დავამთავრე. მერე აფხაზეთის მოვლენები რომ მოხდა, აქეთ წამოვედით, ხაშურში დავსახლდით. იქ დამთავრდა კალენდრების შემოსვლა. 1994 წელი იყო შემოსვლის ბოლო წელი. საბოლოო ჯამში, 16 წელიწადი გრძელდებოდა კალენდრების დალაგება ჩემს გონებაში.

**– რაიმე არხი, გზა თუ ჰქონდა თქვენს გონებაში ამ ინფორმაციის შემოსვლას?**

– ინფორმაცია მარჯვენა მხრიდან შემოდიოდა, ტვინის მარჯვენა მხარეს. მომცა კიდეც ინფორმაცია: მარჯვენა მხარე „შენი“ არის, აქედან შემოდის ცოდნაო.

მერე საკითხი ინფორმაციის გამჟღავნებაზე რომ მიდგა, უხილავმა ხმამ მითხრა: მოსაუბრეებს დაუკვირდი. ნახე, ვინ რას იტყვის და მერე შენც შეგიძლია შენი უთხრაო. ერთხელ ერთი ნაცნობი კალენდრის შესახებ ამბობდა რაღაცას. ის ადამიანი იმას რომ იტყოდა, ისიც იცოდა წინასწარ, როდის, რა მომენტში, ვისთან უნდა მეთქვა ამის შესახებ, ეს „იმან“ უკვე იცოდა წინასწარ. ამიტომ მითხრა, კარგად დაუკვირდი, ვინ რას იტყვის და ილაპარაკებსო.

მაშინ ვთქვი ხალხის წინაშე პირველად ჩემი ცოდნის შესახებ.

ჩემი „მასწავლებელი“ თვითონ „კურსებზე“ დადიოდა. ისიც ვიღაცას ეკითხებოდა, რა უნდა ეთქვა ჩემთვის.

**– თქვენ რა იცით, რომ ის სხვას ეკითხებოდა ამის შესახებ? ჰკითხეთ, ვინ იყო მისი „მასწავლებელი“?**

– არა, რადგან მე ვეკითხებოდი იმას. რასაც თვითონ შთამაგონებდა. ეს მას არ მოუწოდებია. საჭირო რომ ყოფილიყო, თვითონ გამიხსნიდა გონებას ისე, რომ ეს მეკითხა.

კალენდრების ბოლო შემოსვლისას მითხრა, რომ უნდა განვმარტოებულიყავი. საერთოდ, ინფორმაციას ყოველთვის მარტო მყოფს მაწვდიდა. ავედი სახლში. ვიცოდი, რომ, დაახლოებით, 2 საათს, არავინ მოვიდოდა. მაშინ შემოვიდა 199 800 კალენდარი. ორგანიზმში ყველანაირი ფუნქცია გამეთიშა და ორი საათის განმავლობაში ძეგლივით ვიდექი. შემოვიდა ეს კალენდრები და თანმიმდევრობით დალაგდა. მერე შეამოწმა, იყო თუ არა ყველაფერი წესრიგში. თუ იქნებოდა არასწორად შემოსული, რომ გაესწორებინა.

მაგალითად, 1582 წლის კალენდარი არასწორად შემოვიდა. პაპი გრიგოლ XIII-ის დროს კალენდარი ხომ შეიცვალა, ისიც ისე შემოვიდა. ის კალენდარი როგორც გადმოიწია 12 დღით, ისე არის ჩემს ტვინში დაფიქსირებული.

ინფორმაციების შემოტანა რომ დაამთავრა, ჩემმა „ლექტორმა“ მითხრა: მშვიდობით. შენი გზით იარეო.

**– ანუ ეს მოხდა, როგორც მითხარით 1996 წელს?**

– კი, მას შემდეგ კონტაქტი აღარ ყოფილა. თუმცა 2005-ში ისევ შემოვიდა, კალენდრები ფურცელზე რომ გადავიტანე, მაშინ.

200 000 კალენდარი შეივსო, ჩინური და ებრაული კალენდრებიც დამიმატა მერე, ანუ სულ 400 000 კალენდარი. მაგრამ შემდეგ თქვა, არ არის საჭირო ესენიო და თვითონვე „წაშალა“.

**– დავით, 3000 წლის 4 მაისი რა დღეა?**

– ოთხშაბათი *(დაუფიქრებლად პასუხობს.)*

15000 წლის 6 ნოემბერი იქნება ხუთშაბათი.

უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ისტორიის თარიღებშიც ბევრი შეცდომაა. მაგალითად, 1121 წლის 12 აგვისტო იყო პარასკევი. წიგნში ოთხშაბათი წერია. 1068 წლის 10 დეკემბერი იყო ოთხშაბათი და წიგნში შაბათია აღნიშნული.

მახსენდება, ერთხელ, მის ინფორმაციებს ყურადღება არ მივაქციე და მერე გამეხუმრა: სიმღერით მოგაწოდოო? მომისმინე კარგადო! და მერე თითქოს სიმღერითო, ისევ შემოუშვა კალენდრები.

**– ხმა გესმოდათ?**

– არა, ეს იყო შეგრძნება.

ალბათ, ბევრი არ დაიჯერებს ჩემს მონაყოლს, მაგრამ უნდა ვაღიარო, ასეთი მეც არაფერი გამიგონია. ხომ მხედავთ, მეც თქვენნაირი ადამიანი ვარ. არ ვიცი, რა მოხდა.

**– დავით, მექანიზმი შეგიძლიათ აგვიხსნათ, როგორ „იწერებოდა“ კალენდრები?**

– ჯერ შემოდიოდა კვირის დღეები, მერე რიცხვები, თავზე ეწერებოდა თვე. 12 თვის შემოსვლის შემდეგ დიდი ასოებით ის წელი, რომელი წლის კალენდარიც იყო ეს. **გაგიკვირდებათ, მაგრამ აფხაზეთში ცხოვრებისას მეგრულად შემოდიოდა კალენდრები, აქეთ რომ გადმოვედი, ქართულად დაიწყო შემოსვლა.**




*P.S. მისი პასუხები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის ნებისმიერი წლის და რიცხვის კვირის დღეზე წამიერად ხდება. დაუფიქრებლად გიპასუხებთ, რა დღე იყო პირველი ათასწლეულის ნებისმიერ თვესა და რიცხვში და კვირის რომელი დღე იქნება, მაგალითად, 4000 წლის 27 მაისი.*

*საინტერესოა, რომ დავით ქობალიას, შეიძლება ითქვას, მწირი მათემატიკური განათლება აქვს და შეუძლებელია, ის წამებში რაიმე სახის გათვლებს აკეთებდეს. მით უფრო, რომ ამ უნარით მას არასდროს ჰქონია რაიმე მერკანტილური ტიპის დაინტერესება. მას აქვს, უფრო სწორად, მიაწოდეს, ეს ცოდნა და უფალმა უწყის, როდის მისცემს მისი უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებისთვის გამოყენების საშუალებას.*

*მართლაც, შეუცნობელი არის, უფალო, გზანი შენნი.*

*რაც შეეხება დათო ქობალიას ფენომენის აღიარებას. მის შესახებ ცნობები ლონდონში, გინესის რეკორდების კომისიაში გაიგზავნა. აღმოჩნდა, რომ მაშინ გინესის კომისიას არ გააჩნდა კალენდრების განყოფილება.*

*2012 წელს დათო ქობალიას წერილი მიუღია გერმანიიდან. ქალაქ გესენში ყოველწლიური მსოფლიო გონებითი გამოთვლების ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.*

*ჩვენი უცნაური ფენომენი 40 წლისაა. არ აქვს სამუშაო, არის აფხაზეთიდან დევნილი. უსახსრობის გამო არ შეუძლია თავისი უნიკალური ცოდნის შესახებ მსოფლიოს ამცნოს.*

*ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ დათო ქობალია ხაშურში წავიდა. საკუთარ მეურნეობას უნდა მიხედოს...*

*მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნომერზე: 555 5214 70*

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანხამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8–15

საინტერესოა, რომ მსგავსი მოსაზრება ჯერ კიდევ 1818 წელს წამოაყენა ჯონ კლივზ სიმს-უმცროსმა, იმ განსხვავებით, რომ „ღრუ დედამიწის“ ნაცვლად, დედამიწის გარსი იყო ფუღურო, რომლის სისქედ დაასახელა 1,300 კმ და ჰქონდა 2,300 კმ დიამეტრის გამოსასვლელები ორივე პოლუსის მხარეს. იგი შეეცადა ექსპედიციის გაგზავნას ჩრდილოეთ პოლუსზე, მაგრამ პრეზიდენტმა ენდრიუ ჯექსონმა შეუშალა ხელი.

მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა გააგრძელა მამის საქმიანობა და წამოაყენა დამატებითი მოსაზრება, რომ დედამიწის შიგნით ცხოვრობს ისრაელის ათი დაკარგული ტომი...

გერმანული ე.წ „ღრუ დედამიწის თეორიის“ წარმოშობის სათავესთან, ფაქტობრივად, მე-19 საუკუნის ამერიკელი წინასწარმეტყველი კიროს (შემდგომში „კორეში“) თიდი იდგა, რომელსაც „დიადი ქალღმერთი“ გამოეცხადა. მის თეორიას მცირე ხანს მიექცა ყურადღება ამერიკაში, მე-20 საუკუნის დასაწყისში კი გერმანიაში გადაინაცვლა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ისიც იმიტომ, რომ ომის ვეტერანი პეტერ ბენდერი მოექცა მისი „მოღძვრების“ გავლენის ქვეშ, მან კი თავის მხრივ მოახერხა ჰერმან გერინგის დაინტერესება.

პირველი ცდა მაგდებურგში ჩატარდა, ინჟინრებმა სცადეს გაესროლათ რაკეტა, რომელიც „ფუღურო დედამიწის“ მეორე მხარეს გაატანდა. ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ ფაქტია, დამსწრე ტექნიკოსები შემდგომში უკვე „ფაუ-2-ის“, პირველი ბალისტიკური რაკეტების პროგრამაში მუშაობდნენ, რომლებმაც რაკეტა კი, გაისროლეს, მაგრამ „ღრუ დედამიწის“ გავლით მეორე მხარეს – ვერა.

მეორე ესქპერიმენტი რიგერის კუნძულზე ჩატარდა და მასში მონაწილეობდნენ მძლავრი ტელესკოპებით აღჭურვილი საზღვაო ოფიცრები და მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ აღმოეჩინათ ბრიტანული საზღვაო ფლოტი ცაში. აღნიშნული უაზრო „საქმის“ არსი შემდეგში მდგომარეობდა, „მოძღვრების“ მიხედვით, სამყარო წარმოადგენს კლდოვან მასას და მის ერთ-ერთ ქვაბულში ვცხოვრობთ ჩვენ. სინათლეები, რომლებიც ვარსკვლავებად და პლანეტებად მიგვაჩნია, სინამდვილეში სხვა ქალაქების სინათლეებია, რომლებიც ამავე ქვაბულის კედლებზე არიან განლაგებული... ბენდერის და მისი ოჯახი რომ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა „რაიხის შეცდომაში შეყვანის“ გამო, გასაკვირი არ უნდა იყოს...

### გიგანტები და „ღრუ“ ერთად ბორჯომ-ხარაგაულის მთებში

ბორჯომის ხეობის მთებში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გავლით, მაღლა, ალპურ ზონაში, 2006 წელს არქეოლოგები სენსაციური აღმოჩენის წინაშე დადგნენ, აღმოაჩინეს 2,5-3 მეტრი სიმაღლის ადამიანი-გიგანტების ძვლები, რომელთა ასაკი 25 000 წელია და იქვე ნატაძრალიც იყო.

**ოთარ ბალათურია, პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი:** – „დასადგენია, გიგანტური ძვლები ვისია, გიგანტოპითეკის (ადამიანის მსგავსი მაიმუნი, ოღონდ, უფრო მაიმუნისკენ რომ იხრება), მეგანთროპის (ადამიანსა და მაიმუნს შორის მყოფი) თუ ჰომოგიგანტიკუსის (გიგანტური ადამიანი). თუ დამტკიცდა, რომ ის ადამიანის ერთ-ერთი წინაპარია, შემდეგ უნდა დადგინდეს, ქართველია თუ არა. საერთოდაც, მაინტრესებს, ბალათურია ხომ არ არის, რადგანაც „ბალათური“ ბევრ ენაში (ქართული, ინდური, ოსური, ირანული, მონღოლური, სლავური ენები) „გოლიათს“ ნიშნავს – „ბალათარი“, „ბაადური“, „ბაჰადური“, „ბაგატირ“... იმის შანსი, რომ თუნდაც პაწაწუნა ნაწილი აღმოჩნდეს, რათა დნმ ანალიზი გაკეთდეს, მიზერულია, თუმცა, ვნახოთ...“

(სხვათაშორის, შურდული ბაგრატიონების გერბში ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რადგან ამ გვარის ერთ-ერთ წინაპარს, დავითს, შურდულით მოუკლავს გოლიათი. შურდული, ეს არის ქვის სასროლი იარაღი, რომელიც გავრცელებული იყო მსოფლიოს ბევრ ხალხში. შურდული იყო საბრძოლო, სანადირო, სამწყემსო და სათამაშო. საშურდულე ქვებისთვის ქართველ მეომარს საგანგებო აბგა-ჯიბეები ანუ ტავარჯუხი ჰქონდა.)




გივი ალაზნისპირელის წარმოსახვითი ნახატი

1992 წლის აგვისტოში პრესით გავრცელდა პროფესიით კომპოზიტორისა და დირიჟორის, ეზოთერიკ გივი ალაზნისპირელის მიმართვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტისადმი, რათა მიეცათ სიტყვით გამოსვლის უფლება სიმპოზიუმზე, რომელიც თბილისში, ნოემბერში უნდა ჩატარებული. მისცეს თუ არა ბატონ გივის სიმპოზიუმზე გამოსვლის უფლება, უცნობია, თუმცა რა თეზისები უნდა ეთქვა, ვფიქრობთ, არც ახლაა უინტერესო, პირიქით...

**გივი ალაზნისპირელი:** – „1) დედამიწის 42 გრ პარალელისა (როგორც უკვე აღვნიშნეთ „ივერთა გადაადგილების გზა“ სწორედ 42-ე პარალელზე გადის – გ.ჩ) და 43 გრ. მერიდიანის გადაკვეთის კვადრატში, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ, ხარაგაულის მიმდებარე მთებში აღმოჩენილია ეპიცენტრი, სადაც სამყაროს ცენტრიდან დედამიწის მიმართ კოსმიურ-აზრობრივი ღერძი პროექცირდება. ბუნების ეს მოვლენა საქართველოში ოდითგანვე „სვეტიცხოვლის“ სახელით ყოფილა დამკვიდრებული, ხოლო შუმერთა ცნობიერებაში იგი „დურ-ან-ქი-ის“ ეპითეტითაა შემორჩენილი, რაც თანამედროვე ქართული ენით ცის და მიწის კავშირს ნიშნავს. ბიბლიასა და სახარებაში ბუნების ეს ფენომენი მოიხსენიება როგორც „სიცოცხლის ხე“!

2) ასეთი ღერძის მიწაზე დაშვების შორიახლოს ნაპოვნია ქვის მასალისგან ხელით ნაგები „ვეშაპი,“ რომლის ზომები მკაცრად შეეფერება ბიბლიისეული აღწერილობის ნოეს „ხის“ კიდობანს. აღნიშნული „ვეშაპი“ ფაქტობრივად წარმოადგენს საქართველოს ქვეშ არსებულ უდიდესი მიწისქვეშა ტაბუირებული სივრცის კარიბჭეს, საიდანაც ძალიან ღრმად ორი გრძელი გვირაბი ეხვევა მიწაში აღნიშნულ სიცარიელეში ჩასასვლელად.

„სვეტი-ცხოველის“ ფენომენი, მიწაში ჩაშვების მომენტში უერთდება მიწიურ „გ“ ველს („გველს“), რომლის გამოც ეს ორივე მიწისქვეშა გვირაბი „გველის“ სახელითაა როგორც შუმერთა, ასევე ბიბლიისა და ახალი აღთქმის ფურცლებზე მოხსენიებული. სიტყვაში „გველი“ ეზოთერულობა დევს და თანაც უდიდესი.

გთავაზობთ აღმოჩენილი მიწისქვეშეთის წარმოსახვით ესკიზს. მისი გადათვალიერებისას არ შეიძლება ვერ შენიშნოს თქვენმა თვალმა, დაბლა, საქართველოს ქვეშ, ერთ მთაზე აგებული ქალაქი (სულ ქვემოთ). ეს ის ქალაქია, რომლის შესახებაც დასასრულს მოგვითხრობს „აპოკალიფსი“. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს „ზეციური იერუსალიმი“. ბატონებო! თავს ნებას ვაძლევ გაუწყოთ – იგი აღმოჩენილია! ეს ქალაქი მიწისქვეშეთში იმყოფება და თანაც საქართველოს ქვეშ!

აქვე უნდა ითქვას, რომ „ზეციური იერუსალიმი“, ეს ერთ-ერთი სახელწოდებაა „ბაბილონისა“, ხოლო ამ ქალაქს მანამდე „ური“ უნდა რქმეოდა, რომლის შესახებაც დიდი ინფორმაციაა შუმერთა ეპოსში შემორჩენილი...

რთულია ერთ პატარა წერილში იმის გადმოცემა, თუ როგორ მოხდა ამ ათასწლეულებით გამოკეტილი და მივიწყებული მიწისქვეშა ქვესკნელის აღმოჩენა და იქ ჩაუსვლელად გამოკვლევა, მაგრამ ერთი კი ფაქტია – ჩვენი იბერია იმ სულიერ საგანძურზე ზის, რომელიც კავკასიონზე „მიჯაჭვულ ამირანს“ გულისხმობს. ეს საიდუმლო გახსნილია!

სიმპოზიუმზე გამოსვლისთვის მოვითხოვ 7-10 წუთს. ამ დროში შევეცდები ფაქტების, სლაიდებისა და ლოგიკის საფუძველზე მცირედად მაინც ვაუწყო თბილისში ჩამოსულ სტუმრებს რომ ნაპოვნია ის, რასაც კაცობრიობა უკანასკნელი 4 000 წლის მანძილზე ეძებდა, დედამიწის რიგით პირველი სკოლა მისტერიისა – შამბალა!




აარ არის გამორიცხული, რომ ასეთი გრანდიოზული აღმოჩენა საფუძვლად დაედოს მსოფლიოს დღევანდელ, სულიერად გამოფიტული ზნეობის ხელახალ აღორძინებას. ამას გარდა, აღმოჩენილია მიწისქვეშა სისტემა, რომლის სახელწოდებაა „ლაზარე“, რაც მოკლე ხანში დაადასტურებს, რომ იბერიელნი და ებრაელები ძმები არიან.“

ამ მიმართვის შემდეგ ჰიტლერის მაგების „ღრუ დედამიწის თეორია“ გაახსენდება ადამიანს, ქართული ხალხური ზღაპრების „ქვესკნელი“ და ა.შ...

რაგინდ ვიძახოთ კანარისის დივიზიის ფარგლებში შემავალი სამხედრო ტყვეებით შექმნილი „თამარ-1“, „თამარ-2“, „მთიელი“ და „ბულბული“, ფაქტი ფაქტად დარჩა, საქართველო 1917 წელს გერმანიამ იხსნა თურქეთისგან, ოფიციალურად – პოლიტიკური ტაქტიკა იყო; მერე კი, 1941-1945 წლებში, დიდი სამამულო ომის დროს, თითქმის მთელი ევროპის გადამბუგველი ჰიტლერის გერმანია, ლამის აღთქმას დებდა საქართველოს ხელუხლებლობის შესახებ. 1997-1998 წლებში ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ტერიტორია, რომელიც ამოუცნობის „საბადოა“ იჯარით გადაეცა ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც რატომღაც ისე მოხდა, რომ გერმანული იყო...

საქართველოში არაერთი ქვაბულია, რომლის პირდაპირი დანიშნულება დღეს უცნობია, მხოლოდ ვვარაუდობთ რაღაცებს, მაგრამ იქნებ ეს ჩვენმა გონიერმა წინაპარმა იმ დროს გამოთხარა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დავიწყებული კოსმიური ცოდნა? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კლდეში „გამოთლილ“ ყველა ქვაბულს თუ გამოქვაბულს სასმელი წყლის საკითხი „მოგვარებული“ აქვს, არადა, „გამოცხადებაში“ წერია, რომ ციდან ჩამოვარდნილი დიდი ვარსკვლავი დავარდება მდინარეების მესამედ ნაწილზე და დიდძალი ხალხი დაიხოცება წყლებისგან, რადგან ისინი დამწარდებიან და სასმელად უვარგისები გახდებიან. თუ ჩვენმა წინაპარმა შთამომავლობისთვის არ გამოთხარა ამდენი ქვაბული და ის არ იყო საიდუმლო ცოდნის მფლობელი, რანაირად უნდა გაეთვალა, რომ წყალს აღმა დაეწყო დინება ქვაბულში? როგორ ადის ვარძიაში წყალი ქვემოდან ზემოთ? ან ქვის „ვეშაპში“, რომლის ზემოთ ჰაერია, ქვემოთ – სიცარიელე, შიგ ვეშაპში კი სასმელი წყალი ჟონავს. საიდან? – ალბათ, წარსულიდან, ანუ სხვა განზომილებიდან... ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ პირველი წამალია დაწყლულებული კანისა, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა...

ისევ გერმანია და ჰიტლერს დავუბრუნდეთ – საიდან მოიგონეს მისმა ასტროლოგებმა „ღრუ დედამიწის თეორია“, რა მიწისქვეშა ქალაქის შესახებ „ბოდავდა“ ბნედამორეული ფიურერი, რატომ სჯეროდა ასე მტკიცედ მისი არსებობა მიწისქვეშეთში და არა ზეცაში, ქალაქისა, რომელსაც უზენაესი მართავს? რას შეიძლება მიეწეროს დედამიწის შიგნით არსებულ „რაღაც ცხოვრებაზე“ ეჭვი, ფანტაზიები, წარმოსახვები და ა.შ?

რასა-ადამიანთა ნაწილი თუ ცაში „ხედავს“ სხვა სამყაროს, ნაწილი მიწაში, ანუ აქვე, დედამიწაზევე მოიაზრებს დედამიწაში ჩასასვლელ(ებ)ს. რაოდენ უცნაური დამთხვევაც უნდა იყოს, მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებშია ერთდროულად წარმოდგენილი ქვესკნელში ჩასასცვლელიც და ზესკნელიც, სადაც დედამიწისგან განსხვავებული დროის მდინარებაა. მხოლოდ ქართული ზღაპრების გმირებს ამოაქვთ ქვესკნელიდან სამ დღეში უკვდავების წყალი, თუმცა დედამიწაზე უკვე იმდენი ხანი ხვდებათ გასული, რომ მათი ნაცნობ-საცნობი არავინ და აღარაფერია...

იოანე, 8, 42 იესო ამბობს: „მე გამოვედი და მოვედი ღმერთისგან...“

ჩვენ ვიცით, რომ იესო ცად ამაღლდა, ამიტომ მის მოსვლას ციდან ველით, მის სამყოფელს ზეცაში მოვიაზრებთ, თხოვნისას ზეცას შევცქერით, მაგრამ არ ვუკვირდებით, საიდან მოვიდა. იესო არ ამბობს რომ იგი საიდანმე ჩამო-ვიდა, ის ამბობს რომ საიდანღაც გამო-ვიდა...

„გამოცხადება“ 21,18: – „მისი გალავანი იასპით არის ნაგები, და ქალაქი წმინდა ოქრო“... და ჩამოთვლილია ის ძვირფასი ქვები, რომლითაც ნაშენია ქალაქი. მას არ სჭირდება მნათობები, რადგან მუდმივად განათებულია. ქალაქის ქუჩის შუაში, მდინარის ორივე მხარეს სიცოცხლის ხეა, რომელსაც მოაქვს თორმეტი ნაყოფი ყოველთვე და მისი ფოთლები სამკურნალოა... „მე, იოანემ, მოვისმინე და ვიხილე ეს...“

რაღაც აქვს კოდირებულად შემონახული ქართულ ხალხურ ზღაპრებს ზეპირსიტყვიერად, რაც ქვესკნელს წარმოაჩენს უპირატეს სამყაროდ (სადაც სულაც არ მოიხსენიება მიცვალებულთა სულები), სადაც ცოდნაა, სულიერი საგანძურია, მაგრამ რა არის ის რაღაც, ამის ახსნა ჯერ კიდევ არ ძალუძს ადამიანს...

(გაგრძელება იქნება)


იური კობალაძე

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# მე თბილისური ინტერნაციონალიზმის სკოლა გამოვიარე

### იური კობალაძე გეოპოლიტიკაზე, ქართულ სამზარეულოსა და სტუმარ-მასპინძლობაზე

**რუსეთში მცხოვრებ ცნობილ ქართველებს შორის იური კობალაძეს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ქართველად მიიჩნევენ. წარსულში — კადრის მზვერავი, საგარეო სადაზვერვო სამსახურის გენერალ-მაიორი, ახლა კი — პუბლიცისტი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის (Ì ÃÈÌ Î) პროფესორი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ამ ინტერვიუში იგი საუბრობს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა საქართველოში რუსების მიმართ, რა მდგომარეობაშია დღეს რუსულ-ქართული ურთიერთობები და უნდა ვიქონიოთ თუ არა მისი ნორმალურ კალაპოტში წარმართვის იმედი. იური კობალაძე რამდენიმე რჩევას სთავაზობს მათ, ვინც საქართველოში აპირებს დასვენებას.**

**— ჩვეულებრივი ქართველის აზრით, რა შეიცვალა რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელ ურთიერთობებში?**

— როცა სტუდენტი გახლდით, ჩემი თაობისთვის მოსკოვი და მთლიანად რუსეთი, პეტერბურგი (იმ დროს ლენინგრადი) ყველაზე მეტად გვიზიდავდა. დღეში შვიდი-რვა რეისი სრულდებოდა. სად ვისწავლოთ? მოსკოვში. სად გავერთოთ? მოსკოვში. ყველაფერი ეს ერთბაშად გახდა მიუწვდომელი. გაითვალისწინეთ — რუსეთში მცხოვრებთათვის საქართველო ძველებურად ღიაა. კი, ბატონო, ჩამობრძანდით, საზღვარზე ვიზას ჩაგირტყამენ და ბოთლ ღვინოსაც გიბოძებენ, გმადლობთ, რომ ჩამოხვედითო. აი, ქართველისთვის კი მოსკოვში მოხვედრა ტანტალოსის ტანჯვაა.

**— ვიზებს არ იძლევიან?**

— იძლევიან, მაგრამ მათი მიღება რთულია. შვეიცარიის საკონსულო რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს. აუცილებელია რიგში დგომა, ვიზის გადასახადის გადახდა... ყველაფერი ეს დიდ დროსაც მოითხოვს. ხშირად მთხოვენ დახმარებას და კარგად ვიცი, რა ხდება. ამიტომაც ნაკადი მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობს. რუსეთში პრაქტიკულად უკვე არც არავინ დადის. ხანდახან ვხუმრობ ხოლმე — მოსკოვში სოკოებივით მომრავლებული რესტორნების რაოდენობა აჭარბებს მოსკოვსა და მთლიანად რუსეთში მყოფ ქართველების რიცხვს. იმ ცნობილი გაძევება-დეპორტაციის მერე, ჩემი აზრით, ქართველები აღარც დარჩნენ. პირობითად თუ ვიტყვი, მე უკანასკნელი ქართველი ვარ.

**— შესაძლებელია კი რაიმე სწრაფი გადაწყვეტილების მიღება?**

— რთული სიტუაციაა. არც კი ვიცი, როგორ შეიძლება მოგვარდეს ვიზების გაუქმების საკითხი და საერთოდ, შესაძლებელია კი მისი მოგვარება. არადა, ეს აუცილებლობაა. ქართველებს ხომ არ შემოუღიათ სავიზო რეჟიმი რუსეთთან?!. მათ გამოაცხადეს, რომ წყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას — ეს სხვადასხვა რამ არის. რუსეთმა იქნებ გადადგას შემხვედრი ნაბიჯი. ეს მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებდა ქვეყნებს შორის ურთიერთობასაც და საქართველოში რუსეთის შესახებ წარმოდგენასაც. გაიზარდნენ თაობები, რომლებიც რუსეთში არ ყოფილან. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ იმოგზაურონ რომში, პარიზში, ლონდონში და ღმერთმა უწყის, კიდევ სად. რუსეთში შესვლა მათთვის აკრძალულია. ჯერჯერობით, ვერანაირ ნიშანს ვერ ვხედავ, რომ სავიზო რეჟიმს გააუქმებენ. რა უშლის ხელს? ოფიციალური პოლიტიკა მეტისმეტად სავალალოა. თვალმისაწვდომ მომავალში რაიმე წინსვლას პირადად მე არ ველი, რადგან საქართველო უარს არ ამბობს ევროპულ ინტეგრაციასა და ნატოში შესვლაზე, რუსეთისთვის კი ეს მიუღებელია.

**— მიუხედავად ყველაფრისა, უბრალო ქართველები რუსეთს აღიქვამენ მეგობრად, ნათესავად თუ მტრულ მეზობლად?**

— რასაკვირველია, მტრულ მეზობლად, მაგრამ ეს არ ეხება რუსებისადმი ქართველთა დამოკიდებულებას. შეეკითხეთ ნებისმიერს, ვინც საქართველოშია ნამყოფი. არავისგან მომისმენია, ვინმეს საყვედური დასცდენოდეს ანტირუსული განწყობების გამოვლენის გამო, ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოთ. ამ მხრივ ქართველები ძალიან შემწყნარებელი არიან. საქართველოში არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმი. სიტყვა „დარბევა“ ქართველებისთვის ყოველთვის უცხო იყო. ყოველთვის, განსაკუთრებით თბილისში, კულტურების ერთმანეთში შერწყმა შეიმჩნეოდა — ეკლესიები, მეჩეთი და სინაგოგა მიწის პატარა მონაკვეთზე ერთმანეთის სიახლოვეს არის აშენებული. პირადად მე სწორედ ამ თბილისური ინტერნაციონალიზმის სკოლა გამოვიარე. ცხადია, რაღაცა შეიცვალა, მაგრამ მთლიანობაში სხვისი კულტურის აღქმა შენარჩუნებულია. რასაკვირველია, ყველა ლაპარაკობს გულითადობაზე, სტუმარმასპინძლობაზე, რაც დიდწილად აიხსნება მატერიალური დაინტერესებითაც — ანუ, რუსები ჩამოდიან და საქართველოში ფულს ხარჯავენ.

**— რას ურჩევდით მათ, ვისაც საქართველოში მოგზაურობა სურს?**

— იყიდოს ბილეთი და ჩაჯდეს თვითმფრინავში. ინტერნეტის მეშვეობით იოლია თითოეულის ჯიბის შესაბამისი სასტუმროს მოძებნა: იქ მრავალვარსკვლავიანი ოტელებიც არსებობს და საოჯახო სასტუმროებიც. შეარჩიონ მარშრუტი. საქართველოში ბევრი რამ არის სანახავი: ძველი ქალაქები, მთები, ზღვა. ვურჩევდი ბათუმში ჩასვლას. იქ ბებიაჩემი ცხოვრობდა და მე სკოლის არდადეგებს გამუდმებით მასთან ვატარებდი. რა თქმა უნდა, დააგემოვნებენ გემრიელ კერძებს. ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში ყველაზე მეტი რესტორანი მოდის, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. გემრიელად ამზადებენ.

**— მართალია, რომ ქართველი ავტოინსპექტორები ქრთამს არ იღებენ?**

— ეს საერთოდ ფანტასტიკაა! ჩემს თავზე გამოვცადე და დავრწმუნდი. ამ მხრივ, მართლაც, რომ შთამბეჭდავი წინსვლაა. ავტოინსპექცია აღარ არსებობს. ახლა პოლიციაა, რომელიც საგზაო ფუნქციებს ასრულებს. ვაკვირდებოდი, როგორ ეხმარებოდა პოლოციელი მძღოლს საბურავის გამოცვლაში, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ამ თვალსაზრისით საქართველოში განსაცვიფრებელი წარმატებებია.

**— ახლა თურქეთი ძლიერ სარეკლამო კამპანიას ეწევა რუსი ტურისტების მისაზიდად, საქართველო კი ამგვარ აქტიურობას არ ამჟღავნებს. რატომ?**

— მიჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ხანდახან ვათვალიერებ ტურისტულ ვებგვერდებს, სადაც ბევრი რეკლამაა. საქართველოს ჯერჯერობით არ შეუძლია, ამ დარგში თურქეთს კონკურენცია გაუწიოს. ჩვენ ხომ ოდესღაც ძალიან ვამაყობდით იმით, რომ საქართველოზე თვითმფრინავით გადაფრენისას საქართველო გაჩახჩახებული იყო, თურქეთი კი — ჩაბნელებული. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა — თურქებმა დიდი ნახტომი გააკეთეს. მათ შექმნეს შესანიშნავი ინფრასტრუქტურა, რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები კი მათ ამაში ძალიან დაეხმარნენ — თურქეთში მოგზაურობისას იქ ფულს ხარჯავდნენ. დიდზე დიდი კურორტები გააშენეს, სადაც დამსვენებელთა 90 პროცენტი რუსეთიდან არის ჩასული. საქართველოში კი, როგორც ამბობენ ხოლმე, სომხები ისვენებენ, რომლებსაც არ აქვთ ზღვა, ყაზახები და დსთ-ს ქვეყნების მცხოვრებნი სიამოვნებით სტუმრობენ ბათუმს.

**— რუსეთში ქართული სათვისტომოები ძლიერია?**

— სამწუხაროდ, არა. არის ხოლმე აქტიურობის გამოვლინებები, არსებობენ განცალკევებული ჯგუფები, რომლებიც პერიოდულად მირეკავენ, ჩნდებიან. წინა თაობა — საბჭოთა კავშირის ნამსხვრევი — თვითლიკვიდირებულია. ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე საეჭვო ტიპები, რაღაც მითიური ალდგენის იდეებით და ჩემს გადაბირებას ცდილობენ.

**— თქვენი წარსულის გათვალისწინებით, ეს განსაკუთრებით სახალისოა...**

— მე, ცხადია, გემრიელი ლუკმა ვარ — ჩემი ბიოგრაფიით, რუსეთთან ჩემი კავშირებით. ვერანაირ აქტიურ მოძრაობას ვერ ვხედავ. ჩემი შეფასებით, თითქმის აღარ არსებობენ სათვისტომოები, რასაკვირველია, სომხური სათვისტომოს გარდა, რომელსაც ახლა აყვავების ხანა უდგას.



**— არსებობს თუ არა ახლა რუსეთში ცუდი წინასწარგანწყობა ქართველების მიმართ?**

— 2008 წლის დეპორტაციისა და ანტიქართული განწყობილებების ამოხეთქვის შემდეგ ამგვარი აკვიატებები აღარ არსებობს. რუსების სასარგებლოდაც უნდა ითქვას, რომ ისინი მტრულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ, თუკი ამას მხარს არ უჭერს სახელმწიფო პოლიტიკა. ახლა რუსეთისთვის მთავარი მტერი უკრაინაა.

**— და არა უკრაინელები...**

— მალე უკრაინელებიც მტრებად შეირაცხებიან. ჩემი აზრით, უკრაინელთა ახალ თაობასა და ბანდეროველებს პრაქტიკულად იდენტური ცნებები, წარმოდგენები აქვთ. საქართველოსთან დაკავშირებითაც იგივე ხდებოდა. ჩემი ქალიშვილი რუსეთშია დაბადებული, მთელი ცხოვრება აქ გაატარა და ქართული თითქმის არ იცის. მეზობლებმა იგი დაასმინეს და მის მოსკოვურ ბინაში საბუთების შესამოწმებლად მივიდნენ. სიტუაცია ხშირად აბსურდული ხდებოდა. სკოლებში გამოიცემოდა ბრძანებები, შეედგინათ ყველა ქართველის სია, გაესახლებინათ ყველანი... პირადად ვიცნობ ქართველებს, რომლებიც იძულებული გახდნენ აქაურობა დაეტოვებინათ. ერთი ანეგდოტური ამბავი მეც შემემთხვა. ამ კამპანიის დროს გამაჩერა ავტოინსპექტორმა და საბუთები მომთხოვა. ვეუბნები, არ მინდა საბუთები გაჩვენოთ. რომ ნახავთ, მაშინვე დამაპატიმრებთ-მეთქი. რა მიზეზით უნდა დაგაპატიმროთო, მკითხა. — ქართველი ვარ და იმიტომ, ვუპასუხე. დიდხანს იცინოდა, არაფერიც არ შეუმოწმებია, გამიშვა.

**— როგორი რეაქცია ჰქონდათ საქართველოში?**

— მედიასაშუალებები, რა თქმა უნდა, წერდნენ ამაზე. იყო ისტორიები, რომ ვიღაც თვითმფრინავში, აეროპორტში გარდაიცვალა. ეს დაძაბულობას ქმნიდა, მაგრამ დრამატული არ გამხდარა. ყოველ შემთხვევაში, რუსულ კულტურაზე აღზრდილ ჩემი თაობის ადამიანებზე, რომლებმაც იციან რუსული ენა, ამას მაინცდამაინც არ უმოქმედია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, როცა საქართველოში ჩადიან თეატრალური დასები, შესამჩნევია ფესტივალებზე, სადაც უამრავი ხალხი დადის. დაინტერესება დიდია.

**— რას გრძნობენ ახალი თაობის წარმომადგენლები, ახალგაზრდა ქართველები, რომლებისთვისაც უცხოა რუსული კულტურა და კარგად ახსოვთ 2008 წლის მოვლენები?**

— საქართველოში არ ვცხოვრობ, შესაბამისად, რაიმეს თქმა მიჭირს. მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ შეაფერხა ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარება. საქართველო არასოდეს შეეგუება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწყვეტას, რუსეთი კი არასოდეს იტყვის ამაზე უარს. ქართულ უნივერსიტეტში ჩამოსული სპეციალისტები ლექციებს კითხულობენ ინგლისურად, რადგან ახალგაზრდობამ რუსული არ იცის. ერთხანს გაჩნდა დაინტერესება, შვილებს რუსულს ასწავლიდნენ, მაგრამ ეს ინტერესიც გაქრა. ოცწლიანი გაუცხოების, განსაკუთრებით ომის შემდეგ, მივაღწიეთ იმას, რომ რუსეთი გადახაზულია ქართველთა პოლიტიკურ რუკაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის.

**— გამოდის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ჯვარი დაესვა“?**

— ჩემი აზრით, რუსეთს დიდი შეცდომა მოუვიდა, როცა ამ ანკლავების დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა. მაგრამ, როგორც ინგლისელები ამბობენ: არასოდეს თქვა არასოდეს. ოდესღაც ყველაფერი იცვლება და ოდესღაც ეს მოგვარდება. დღესდღეობით კი, ამ სიტუაციიდან თავდასახსნელ გზას ვერ ვხედავ. უნდა დაველოდოთ თაობების ცვლას, შესაძლოა, გამოიძებნოს ერთგვარი კომპრომისი.

ისტორია გვასწავლის, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური ხასიათის სირთულეები ყოველთვის როდი ახდენს გავლენას ხალხების ცნობიერებაზე. უნდა განვავითაროთ ურთიერთობები, უნდა გავამყაროთ ადამიანებს შორის კონტაქტები, სახელმწიფოთაშორისი კავშირები. ამ თვალსაზრისით მე ხელს არ მაძლევს ის, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის ხდება. მე სისხლხორცეულად ვარ ამით დაინტერესებული — დედა რუსი მყავს, მამა — ქართველი.



მოამზადა
**ელზა ნაბახტეველმა**



# თბილისიდან ოლოდამდე

2015 წლის 3 მაისს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის, სამეცნიერო წრის სტუდენტები ვიმყოფებოდით ოლოდაში. ჩვენი ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა მოგვენახულებინა ეს ძეგლი, გადაგვეღო ფოტო-ვიდეო მასალა და პოპულარიზაცია გაგვეწია ამ ძეგლისათვის, რადგან საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის მისი არსებობის შესახებ. ეს არის XI საუკუნის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მდებარეობს ჯავახეთში, ასპინძის რაიონში (ასპინძიდან 40 კმ) სოფელ მირაშხანიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საქართველო-თურქეთის საზღვარზე. იქ მოხვედრა შესაძლებელია სპეციალური საშვებით, რომელსაც სასაზღვრო პოლიცია გასცემს მოთხოვნის შესაბამისად. ასევე თან უნდა იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ექსპედიციაში მონაწილეობა მივიღეთ 9 სტუდენტმა, რომელთაც კონკრეტული დავალებები ჰქონდა ექსპედიციის ფარგლებში. გასვლა მოხდა უნივერსიტეტის ეზოდან. სოფელ მირაშხანამდე 5 საათზე მეტი დაგვჭირდა. იქიდან კი ფეხით გავუყევით ოლოდამდე მისასვლელ გზას. სანამ ოლოდამდე მიხვალ გზად უამრავი საინტერესო რამის მნახველი და მომსწრე ხდები. ყველაზე გასაოცარი კი ბუნების ლანდაშაფტების ცვლილებაა ის, თუ როგორ ცვლის ქართლის გაშლილ მინდორ-ველებს ბორჯომის შერეული ტყეები და ნაძვნარი, შემდეგ ეს ყველაფერი როგორ გადადის ჯავახეთის ზეგანისთვის დამახასათებელ ბუნებრივ თავისებურებებში. ყველაფერი ამის შემხედვარე კი რწმუნდები, რომ ძალიან საოცარ ქვეყანაში ცხოვრობ, ამ პატარა საქართველოში ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი, რომელსაც, სამწუხაროდ, პატრონი არ ჰყავს.

ფეხით, დაახლოებით, 5 კილომეტრის გავლა მოგვიხდა საშუალო სირთულის ციცაბო მთებზე, გზა საკმაოდ დამღლელი და არცთუ ისე მარტივი იყო, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს არის კლდეში ნაკვეთი საცხოვრისები, რომელიც, დაახლოებით, 100 მეტრზეა გადაჭიმული. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინმა კომპლექსის პირველმა ნაწილმა, რომელიც კლდეში სამ სართულადაა ნაკვეთი და ზედა სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია ამავე კომპლექსში არსებული ქვის გვირაბით (რომელიც კიბის ფუნქციას ასრულებს). მის მოპირდაპირედ, უკვე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბუფერულ ზონაში კი გაცილებით მასშტაბური კომპლექსია განთავსებული. ეს არის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გადაჭიმული კომპლექსი და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ მისი მცირედი ნაწილია მოხვედრილი. სასიამოვნო სანახავია ტრიალ მინდორზე უზარმაზარ კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ნახვა, რომელსაც ფერად-ფერადი ყვავილები და გაზაფხულის სურნელი ალამაზებს. ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევს, არც ტელეფონი იჭერს, მხოლოდ ჩვენ და მტკვარი ვარღვევთ სიჩუმეს. ისეთი შეგრძნება გაქვს თითქოს ძველი დროში დაბრუნდი, მაგრამ მალევე უბრუნდები რეალობას იმ ვანდალი ადამინების ,,წყალობით“, რომლებიც ღვინის ჭიქებში ფიცულობენ საქართველოს სიყვარულს და გარემოს დაბინძურებით კი ამტკიცებენ თავიანთ სიტყვებს. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, იმ მიუვალ ადგილზეც თუ დამხვდებოდა სიგარეტის კოლოფები, ლუდის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, თუმცა დამავიწყდა ჩვენ ხომ საქართველოში ვართ და არ გვიჭირს ისეთი ადგილების დაბინძურება, რომლებიც ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. გულგრილად არც ერთი ექსპედიციის წევრი არ შეხვედრია ამ ამბავის და შესაბამისი ზომებიც მივიღეთ და ნაგვისგან გავანთავისუფლეთ ის ტერიტორია, შეძლებისდაგვარად.





ვინაიდან სასაზღვრო ზონაში ვიმყოფებოდით, მესაზღვრები ჩვენს პარალელურად მტკვრის მეორე მხარეს ჩვენთან ერთად გადაადგილდებოდნენ შეიარაღებულნი და ჯავშან–ჟილეტებით აღჭურვილნი.

ძეგლის მონახულების შემდეგ კიდევ დიდხანს მოგვიწია ციცაბო მთებზე სიარული, გზის დასასრულს კი მესაზღვრეები დაგვხვდნენ, რომელთაც იკითხეს, ვინ ვიყავით და რას ვაკეთებდთ იმ ადგილებში. ჩვენ დაწვრილებით ავუხსენით, თუ საიდან ვიყავით და რა მიზანს ემსახურებოდა ჩვენი იქ ყოფნა. მართალია, უკან სწორი გზით უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ ისევ 5 კილომეტრი გვქონდა გასავლელი და საკმაოდ დაღლილებიც ვიყავით. მესაზღვრეებმა გამოიჩინეს გულისხმიერება და მანქანით მოგვიყვანეს სოფლამდე, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მათ. ასევე მინდა მადლიერება გამოვხატო ასპინძის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისადმი (ბ-ნ გიორგი ტივაძე), რომელიც არც ერთი წუთით არ მოგვშორებია გვერდიდან და დაგვეხმარა ოლოდამდე მისასვლელად.

უკან დაბრუნებულები ადგილობრივ მოსახლეობას გავესაუბრეთ. გვაინტერესებდა, რა პრობლემაბი აქვთ, რა აწუხებთ და ზოგადად, როგორია სოფლის მდგომარეობა. სოფელი მირაშხანი აჭარელი მუსლიმი ეკომიგრანტებით არის დასახლებული. სოფელში მოქმედებს სკოლა სადაც 60-მდე ბავშვი სწავლობს. არ აქვთ საბავშვო ბაღი, საავადმყოფო. სოფელში ფუნქციონირებს რძის გადამამუშავებელი ქარხანა ადგილობრივ ნედლეულზე. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მესაქონლეობას მისდევს და საკარმიდამო ნაკვეთებს ამუშავებენ, სწორედ ეს არის მათი ძირითადი შემოსავლის წყარო. გარე სამყაროს უკავშირდებიან მარშუტკით, რომელიც ასპინძამდე დღეში სამჯერ დადის. სოფელში მხოლოდ ერთი მაღაზიაა, რომელშიც მხოლოდ პირველადი მოხმარების საკვები და საყოფაცხოვრებო ნივთები იყიდება. თუ რაიმე სჭირდებათ, სწორედ ამ მარშუტკას აბარებენ. გავესაუბრეთ ბავშვებს, დავინტერესდით, რას აპირებენ, რა გეგმები აქვთ მომავალში, როგორია მათი ყოველდღიური ყოფა. მათი ყოველდღიურობა არცთუ მრავალფეროვანია, ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, მხოლოდ სახლი-სკოლა და ათასში ერთხელ კლასელების დაბადების დღეებზე თუ წავლენ. უნდათ, რომ იყოს რამე გასართობი, რითაც ცოტათი მაინც გაიხალისებენ ერთფეროვნებას. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ოცნებად რჩება, რეალობა კი ძალზედ მძიმეა. რამდენიმე მათგანს სწავლის გაგრძელებაც უნდა: ზოგს იურიდიულზე, ზოგს – ჟურნალისტიკაზე, თუმცა უმრავლესობისთვის ეს ყველაფერი მათ ბავშვურ ოცნებებთან ერთად კვდება და უკვე 17 წლისები ამ ცხოვრების მძიმე ფერხულში ებმებიან. წლევანდელ მე-12 კლასში 8 ბავშვი სწავლობდა, აქედან 5 უკვე გათხოვდა ისე, რომ სკოლის ატესტატიც კი არ აუღიათ.

ძალიან გაუხარდათ ჩვენი დანახვა, რადგან იშვიათობაა უცხო ადამიანების ნახვა მათთვის. გამომშვიდობებისას ცრემლები ყელში ეჩხირებოდათ და ძალიან გვთხოვეს, რომ კიდევ ჩავიდეთ მათთან.

ოლოდა არის ის ადგილი, რომელსაც თუ ვერ ნახავ, უნდა იცოდე მაინც მისი არსებობის შესახებ. ეს ჩვენი ისტორიაა და ჩვენი, ახალგაზრდების მოვალეობაა დავიცვათ, გავუფრთხილდეთ და მივაწოდოთ ხალხს ინფორმაცია ოლოდას არსებობის შესახებ.

**მზია ჯაჭანაშვილი** -
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**



# გურამ შარაძის გახსენება



ბატონო გურამ, 8 წელი გავიდა, რაც არ გვესმის თქვენი ომახიანი ხმა, 8 წელია თქვენეული სიდინჯით არ მიუყვებით ჭავჭავაძის გამზირს განუყრელი ჩანთით, დაუღალავო ამაგდარო. თქვენ ხომ ერს უცოცხლებდით ილიას, აკაკის, ვაჟას, სამშობლოზე უზადოდ შეყვარებულ სახელოვან მამულიშვილთა სახეებს. ახსენებდით, რანი ვიყავით, რანი ვართ და საით მივექანებით, დიდი ილია ბრძანებდა: როცა ერი თავის ისტორიას ივიწყებს, მაშინ იწყება მისი გადაგვარებაო... სწორედ აწმყო და მომავალი გაღელვებდათ, ცდილობდით თვალი აგეხილათ უღირს ქართველთათვის, რომელთაც სამშობლოს ბედი საერთოდ არ აწუხებდათ, მხოლოდ პირადული ინტერესებით შემოიფარგლებოდნენ. გაშფოთებდათ, რომ ჩვენი სამშობლო თანდათან იყიდებოდა, ზნეობრივად იძირებოდა, ყოველ ხერხს მიმართავდნენ ქართველის სულში ჩაეკლათ მართლმადიდებლური ღირებულებები, რის გამოც თქვენ შეუპოვრად ებრძოდით ანტიქრისტიანულ ბნელ ძალებს, შინაურ თუ გარეულ მტრებს. თქვენი გამჭრიახი გონება ჭვრეტდა საბედისწერო მომავალს, სწორედ იმას, რომელ უზნეობის მორევშიც ვტრიალებთ დღეს. სწორედ თქვენში ხედავდნენ შინაური თუ გარეული მტრები რეალურ წინააღმდეგობას, რამეთუ გრძნობდნენ, რომ მათთან არანაირ კომპრომისზე არ წახვიდოდით. საქართველოს დაუძინებელი მტრები ხედავდნენ, რომ გურამ შარაძე მათ არაფერს დაუთმობდა, შეუპოვრად იბრძოლებდით ერის ტრადიციების, სარწმუნოების დასაცავად. გურამ შარაძე შიშის ზარს სცემდა მათ. როგორც დიდ ილიას, ასევე თქვენ ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევდა ენა, მამული, სარწმუნოება. სწორედ ამიტომ დასავლეთის ყურმოჭრილმა მონამ საააკაშვილმა თავის ბანდასთან ერთად საგულდაგულოდ დაგეგმეს თქვენი ფიზიკური განადგურება. სამწუხაროდ, ეს მათ შეძლეს. იმ საბედისწერო დღეს დღისით, მზისით ქალაქის გულში სიცოცხლეს გამოგასალმეს ისე მუხანათურად, როგორც ილია ჭავჭავაძე. მოწამებრივი აღსასრულით ადგილი დაიკავეთ იმ თავდადებულ მამულიშვილთა შორის, რომელთაც სიცოცხლე მიიტანეს ერის ინტერესების, სარწმუნოების სამსხვერპლოზე, რომელთაც საკუთარი სისხლით წერეს ღვთივრჩეული, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ისტორია. თქვენი ღვაწლით და თავდადებით XXI ს-ის მოწამე გახდით. დარწმუნებული ვართ, მანდ, ზეციურ სასუფეველში შფოთავს თქვენი სული.

ქალბატონი სვეტლანა შემოგიერთდათ, შეგროვდით ოჯახი სახელოვან შვილებთან ერთად. სიცოცხლე გრძელდება. ბატონო გურამ, თქვენ გყავთ სახელოვანი შვილი რუსუდანი, ახლობლები. რუსუდანი ყოველთვის ცდილობს წარმოაჩინოს ქართველი ერის წინაშე ბინძური მკვლელის სახე, რომელმაც მუხანათურად ხელი აღმართა თქვენზე.

ჩვენ არაფერი დაგვიწერია, რაც უცნობია ქართველი ერისათვის, ჩვენ ვახსენებთ საქართველოს მოღალატეებს, რომ ჩვენ ქვეყანას ისინი ვერ დააჩოქებენ, ვერ მოსპობენ ერის ღირებულებებს, ვერ აღმოფხვრიან ჭეშმარიტ რწმენას.

ვახსენებთ, რომ ქართველი ერის საღ ნაწილს უყვარს გურამ შარაძე, პატივს მიაგებს მის ღვაწლს, უკიდეგანო შრომას, დამსახურებას ერისა და სარწმუნოების წინაშე. იცოდნენ, რომ ისე, როგორც დიდი ილიას და უამრავ სახელოვან მამულიშვილთა სახელები წარუშლელია, ასევე გურამ შარაძის სახელი ღრმად არის ამოტვიფრული ზეციური სასუფევლის წიაღში და არასოდეს წარიხოცება ქართველთა ცნობიერებაში.

ბატონო გურამ, გპირდებით, მიუხედავად მოღალატეთა დიდი მცდელობისა, დღესაც არის საქართველოში ის ძალა, ღმერთის შემწეობით, რომელიც თავდადებით იბრძვის წინაპართა მონაპოვრის დაცვისთვის.

გვწამს, თქვენ მანდედან ილოცებთ, ჩვენ კი აქ ღირსეულნი ვიქნებით სამშობლოს ინტერესებისთვის შეწირულთა, თქვენი ხსოვნის წინაშე.

თბილი მონატრებით,

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი**
**მამა ბასილი მკალავიშვილი**
**მამა ვახტანგი (მარგიანი)**
**მრავალრიცხოვანი მრევლი**

# მამანტი ძაძამია – 75



არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი“ ლექსიკონი 114 ათას სიტყვას მოიცავს, მაშინ, როცა მამანტი ძაძამიას 7-ტომეული მილიონ სალექსიკონო ერთეულს აჭარბებს. ამ ფაქტს დღემდე კვალიფიციური კომენტარები არ მოჰყოლია ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან, არც მეცნიერების ეროვნული აკადემიიდან და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი კუთხის დიდი ქომაგები, საზოგადოება „ზუგდიდელის“ გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი **ოთარ ფაცაცია** და **ბონდო ჯიქია** თქვენი მონა მორჩილითურთ ოჯახში ვესტუმრებით ამაგდარ მეცნიერს, ჰაერში სფინქსივით გამოკიდებული კითხვების გასარკვად.

კი აყვედრიან აგრონომობას ბატონ მამანტის, მაგრამ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რომ გამხდარა, ამას ყველა უყრუებს. ამ ასპექტით დოქტორია მისი სანდომიანი ასული ცირაც. ამასაც თვალს უხუჭავენ ურწმუნო თომები, ვითომ დედაქართულის მოდარაჯენი, არადა, – სინამდვილეში მისი მესაფლავენი უფრო გახლავან, ვინაიდან ისინი ყველაფერს აკეთებენ (შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად) იმისთვის, რომ სალიტერატურო ქართულს მძლავრი შენაკადების სახით მოესპოს: სვანურ-მეგრულ-ლაზური, და დარჩეს მსოფლიო ლინგვისტკურ ორომტრიალში თითივით გალოკილი ქართული 114 ათასი სიტყვის მოიმედეობით.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ეს ხალხი კვალიფიციურ გამოცემებს აქვეყნებს ქართული ენის პრიორიტეტით და სვანურ, მეგრულ, ლაზურისთვის დიალექტს სჯერდებიან, ენის სტატუსს არ მიუბოძებენ, რადგანაც ამისთანა კილო-კავებისთვის ენის საერთაშორისო კონვეცია მზრუნველობას არ ითვალისწინებს. ის ძირშივე ახშობს მაგ. თურქეთის ლაზების მეცადინეობას: მათ ბავშვებმა დაწყებით კლასებში ლაზურად ისწავლონ სათანადო საგნები. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ: თურქეთი გაცილებით პროგრესული აღმოჩნდება ვიდრე საქართველო – ამჟამად ლაზი ბავშვები ლაზურად სწავლობენ დაწყებით კლასებს დედა ენას - „სკანი ნენას“.



სანამ სახელდახელო სადილის თადარიგია, ბატონი მამანტი მაგიდაზე დააზვინებს სქელ საქაღალდეებში შეკონილ ტექსტებს. სულ 28 შეკვრა აღმოჩნდება. შემოვუსხდებით გარშემო ამ ქურგარას (სიტყვის გორა შუმერულად).

– მეგრული ენა შუმერულის მსგავსად მარცვლოვანი ენაა. – მისუსტებული ხმით გვიმხელს იგი, რამდენიმე ოპერაცია გაუკეთებია და თავი მაინც ღირსეულად უჭირავს, – ყოველი მარცვალი სიტყვას შეესაბამება. მეგრული ქართულთან, სვანურთან და ლაზურთან ერთად ქმნის პროტოიბერიულ პრაენას. აქ აუცილებელი არ არის გამოდევნება ვინ ვის უსწრებს. მთავარი ის გახლავთ, რომ ოთხივე ენა ერთი სხეულის განშტოებანია. ნებისმიერ ენას ძირითადი სიტყვების მარაგი დაახლოებით თანაბარი გააჩნია – 2000-3000 ფონემა. ჩიქობავას 8-ტომეულის შექმნის პრაქტიკას თუ შემოვიშველიებთ, მაშინ მეგრულს გაცილები მეტი რაოდენობის სიტყვა უგროვდება. თავად შეხედეთ. ქართულს გააჩნის 14 ზმნისწინი. მათი მოშველიებით ჩვენს დედაქართულს ინფინიტივში მყოფი სიტყვა „ფრენა“ შეუძლია 14-ნაირად აწარმოოს და ანბანის შესატყვისად განალაგოს ლექსიკონში. ახლა შევხედოთ, რა ვითარებაა მეგრულში. კვლევებმა გვიჩვენა, რომ მეგრულ ენას გააჩნია 86 ზმნისწინი და შესაბამისად, სიტყვა „ფურინი“ (ფრენა) 86-ჯერ ხვდება სალექსიკონო სივრცეში. ერთი შეხედვით, მეგრულის სიუხვე აშკარაა სალიტერატურო დედაენასთან, 6-ჯერ აღემატება, ანუ ამ კუთხით 114 000-სიტყვიანი ქართული ლამის 700 000-ამდე იზრდება.

ბატონი მამანტი ძაძამია 75 წლისა მოიყარა, სამი მეოთხედი საუკუნე უკან მოიტოვა, გვინდა სულითა და გულით მივულოცოთ ჯანის სიმრთელე, წარმატებანი იმ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში, რასაც ქართული ლექსიკოგრაფია ჰქვია სახელად.

**გური ოტობაია,**
**მწერალი**
**26. 05. 2015.**


## ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი“ დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:
571 05-94-39; 593 64-63-03; 2 67-32-06

# პაროდიები

## ანთებული იყავ მღერად!..

*130 წლის ანსამბლ „ერისიონის“ წევრებს და მათი 80 წლის ხელმძღვანელს — **ჯემალ ჭკუასელს.***
***მურმან ლებანიძის ლექსის — „მიხეილ მესხს“ — მოტივებზე***

სხვა ვინ ვიცი თქვენებრ ქროდეს,
ამაყი ვარ, გხედავთ როცა,
მე რომ თქვენი სმენა მქონდეს
და თქვენი ხმაც მე რომ მომცა,
უფრო მეტად ვუმღერებდი საქართველოს!

მაგრამ, განა მამულისთვის,
თქვენ ნაკლებად მღერით?
ანთებული კელაპტრებად,
საქართველო გენატრებათ,
უცხოეთში ფრენით...

ოთხმოცის ხარ, ჩვენო ჯემალ,
კარგად ვიცით, რომ ხარ დიდი,
არსად წახვალ მამელუკად
და გურიას არ გაყიდი.



თერთმეტი წლით შენზე უმცროსს
და პრესაში დაღლილ „მგოსანს“,
სურს ძმასავით გესაუბროს
და ასეთი ლექსით გლოცავს:

იდღეგრძელე, გაიხარე,
ანთებული იყავ მღერად,
რომ გურული „კრიმანჭული“
კვლავ მოჰფინო მინდორ-ველად!

## შენ, ჭირთა ჩვენთა მალამო!..

**მსოფლიოში სახელგანთქმულ მხატვარ-მონუმენტალისტს ზურაბ წერეთელს**
**ირაკლი აბაშიძის ლექსის „ხმა კატამონთან“ მოტივზე**



ო, ზურაბ ჩვენო (ძმობაში — ზურა),
შენი ნიჭით და სიკეთით „ხურავ“,
იქ, უცხოეთში, ჩვენო ალამო,
აქ, ჭირთა ჩვენთა, ტკბილო მალამო...
...ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს,
ველარ ნახულობ შენ ისე ხშირად,
შენი საჭრეთლით და შენი ფუნჯით
ხან პარიზში ხარ, ხან განგის პირად,
თუმცა მზე დედა-საქართველოსი
შენ გიღირს ძვირად, ყველაზე ძვირად!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001




გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“ ახალი ნომერი, რომელშიც იხილავთ ვახტანგ ხარჩილავას, გულო კობიაშვილის, გურამ პეტრიაშვილის, ჯარჯი ფხოველის, დავით გაბუნიას, როლანდ ნიჟარაძის, თორნიკე გოგნიაშვილის, გიზო თავაძის, ილია ერქვანიას პოეტურ და პროზაულ ნაწამოებებს, სხვა ქართველი მწერლების ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს და ახალ თარგმანებს. აგრეთვე ლევან ანჯაფარიძის, ზაურ კალანდიასა და ლაშა იმედაშვილის კინოსცენარს მხატვრული ფილმისთვის.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი* ***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69**

* * *

**— წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?**

— არა.

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**— შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?**

— არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

**— რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?**

—საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159-ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

* * *

**— განვქორწინდი მეუღლესთან. გვყავს არასრულწლოვანი შვილები. როგორ მოხდება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

* * *

**— რა შემთხვევებში ენიჭება სისხლის სამართლის კანონს უკუძალა?**

— თქვენთვის საინტერსესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სს კოდექსის მე-3 მუხლი. კონკრეტულად:

მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

4. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

* * *

**—გარდამეცვალა ძმა, რომელსაც გააჩნდა საკმაოდ დიდი ქონება. ყველაფერი დარჩა მის მეუღლესა და შვილს. მე, როგორც დას, მეკუთვნის თუ არა წილი?**

-არა.

თქვენი ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე და შვილი / ასევე, მშობლები, თუ ისინი ცოცხლები არიან/. და ან ძმა არის მეორე რიგის მემკვიდრე. მეორე რიგის მემკვიდრე მამკვიდრებლის ქონებას მიიღებს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც მეორე რიგის მემკვიდრე, გარდაცვლილი ძმის სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებთ.

ავეჯის
გადაზიდვა



593 20 46 87